



ისტორიული გეგვიდრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2014 წ. ნოემბერი, №11 (52), ფასი 3 ლარი



ილიას გაკვეთილები

„უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტარი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგის, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან.“ 4

ისტორიული საღილი თავად ივანე მუხრან-ბატონის სასახლეში

დიმიტრი ყიფიანი:

ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა. ვინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი.



აკაკი წერეთელი:

დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? ეს ანდერძი იყო დედაენა და ერობა!



22 ახალი გეოგრაფიკური სივრცე, რომელიც მარადიულ მიზნამდე მიგვიყვანს

საქართველო-ნატო 26

ნიადაგების აბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები 33

ეთიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში 36

40 გუგამ ფიცხსალაპა — გეგვიდრაობის კახი, ვაჟახი, მართალი მოქალაქე და დიდი მასიობი



კორნელი სანაძის შემოქმედებითი კათოსი

48

„გაირღვა ღრუბელი და მთვარე-გოლიათს სხივები მოსტაცა, ქუჩებში დაჰყარა, მივდივარ, მივყვები და ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, სუჭუჭა, პატარა“.

გლადიმერ სოლოგუბი:

რუსული მწერლობა უნდა ჩაუკვირდეს ქართველი ხალხის ცხოვრებას და იქიდან ამოკრიბოს ჭეშმარიტი შემოქმედების მასალა 19





სარჩევი

მაგულიშვილი ილიას გაქვითილება	4
■ ქართველები რუსეთში საეხილური ქოშისიის შექმნა რუსეთში დასახლებული	
■ გატონიშვილებისა და მათი შთამომავლობის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად	8
ჩვენი ისტორია თედო სსოქია: ისტორიული საფილი	
■ თავად ივანე მუსხან-გატონის სასახლე	15
მემორია გზად და ხიდად ■ ვლადიმერ სოლოგუბი: რუსული მწერლობა უნდა ჩაუკვირდეს ქართველი ხალხის მსოფრთვეს და იქიდან ამოკრიბოს ჭეშმარიტი შემოქმედების მასალა	19
■ ქავკასიის მუზეუმი	21
თვალსაზრისი ■ ახალი გეოპოლიტიკური სივრცე, როგორც მარადიულ მიზნამდე მიგვიყვანს	22
მითები და რეალობა ■ საქართველო-ნატო	26
სოფლის მეურნეობა ■ ნიადაგების აბროსანარყო დახსნა	33
დედობრაფია ■ ეთნიკური პრობლემები თანამედროვე საქართველოში	36
სსოვნა ■ გურამ ფირსხალავა – მებრძოლი კახი, ვაჟკახი, მართალი მოქალაქე და დიდი მსახიობი	40
ხელისნობა საქართველოში ■ თბილისელი ოქრომჭედლები	42
ხელთვნება ■ ქორნელი სანაქის შემოქმედებითი პათოსი	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95


UDC (უბკ) 050 (479.22)
0-892

ილიას გაკვეთილები

8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა

რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ქართველებისთვის ილია ჭავჭავაძის ფენომენი. განსაკუთრებით ეს ეხება მის პუბლიცისტიკას, რომელთან პირველი შეხებისთანავე მკითხველს ატყვევებს ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიცია, ფართო თვალსაწიერი და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარი. არ დარჩენილა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც ილიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას, იქნება ეს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, თეატრი, თარგმანმცოდნეობა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე და ფინანსები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა.შ.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ წერილებს სახალხო განათლების საკითხებზე.



ვიცინოთ თუ ვიტყვი

გგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე ამკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებო.

ჩვენ რის ამბის მბობაც გვინდა, დაუჯერებელია. არც თითონ დავიჯერებდით, რომ სანდო კაცისაგან არ იყოს გადმოცემული.

„ივერიაში“ ამას წინათ მოხსენებული იყო, რომ გორში არსებობს

შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის, მაგრამ ეგ ეგრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადაუნყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუსუყებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? **შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე**

იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტყვი?

წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შევიდა ორმოცდაათი მონაფე. ამათ რიცხვში ოცდათერთმეტი ყმანვილი ქართველია, დანარჩენნი სხვადასხვა გვარ-ტომისანი არიან. მაშასადამე, რაოდენობა ქართველთ ყმანვილებისა შეადგენს ორ-მესამედს მთელის რიცხვისას. მომავალშიაც, რასაკვირველია, ქართველთა მონაფეთა რიცხვი ამ-გვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოსვლია. მის დირექტორს მოუნვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მონაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულები ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდი-

შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ თუ ვიტყვი?



მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
 მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა:
 არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
 არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
 არამედ მწყურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
 შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,
 რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
 გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ილია ჭავჭავაძე



ნი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. — ამ-გვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი — ქართველად არ უცვნიან გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, — რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხვენ, ოც-დათერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცი-ნოთ თუ ვიტყვით?

სემინარიასთან არსებობს მო-

სამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით, სემინარიასთან უნდა დაარსებულიყო სამი პროსემინარია: ერთში უნდა ისწავლონ ქართველებმა, მეორეში — რუსებმა და მესამეში — სომხებმა. შარშან სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია. ყოველის ეჭვის გარეშე იყო ყველასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულის ენის სსენებაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია, რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკ-

ვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თავის-და სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ **ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მაინც-და-მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ: ამაზედ ვიცი-ნოთ, თუ ვიტყვით?**

იმავე პროსემინარიის პირველს განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღაბნის მეტი არა ისწავლოს-რა. უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართულის სწავლა კი არა, ვგონებ ისიც დაავინყდეს ბავშს, რაც იცოდა. ამ მეთოდის მომგონებელი გახლავთ ქართულის პროსემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. სანყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას!.. ჩვენი ქართული ანდაზა „ორი კურდღლის მდევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“ უფ. ნათიევს ვერ მოსწონებია და უთქვამს: მე დავუმ-


**ქართულს სასწავლებელში
 რომ ქართულს არ ასწავლიდნენ
 — ეს მაინც-და-მაინც
 დაუჯერებელია.
 ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ:
 ამაზედ ვიცი-ნოთ თუ ვიტყვით?**



ტკიცებ ქვეყანასაო, რომ მე
ოთხს კურდღელს გამოვუდგები
და ოთხსავე ერთად დავიჭერო.
ნეტავი ექვსიც ერთად დაიჭი-
როს, ოღონდ კი მარტო კურდღ-
ლებს გამოუდგეს და ბავშვების
სწავლას კი თავი დაანებოს. უფ.
ნათიევის ვარჯიშობაზედ უნდა
ვიცინოთ თუ ვიტყვით?

უფ. ნათიევი არც ოთხის კურ-
დღლის გამოდგომას დასჯერე-
ბია. მეხუთე კურდღელიც გაუგ-
დია წინ. არ ვიცით, რა უნდა ვუ-
ქოთ უფ. ნათიევს, — სირბილი,
თუ მეძებრობა. ქართულს და რუ-
სულს ანბანთან იგი ასწავლის
თურმე მონაფეებს მესამე ანბან-
საცა. ეს ანბანი არ გახლავთ არც
ფრანციული, არც ნემეცური, არც
ლათინური, არც ბერძნული, ერ-
თის სიტყვით, იმ ანბანით, რაც კა-
ცობრიობა არსებობს, არც წიგნი
დაბეჭდილა და არც დაწერილა.
იგი არ უნახავს წარსულსა, არ არ-
სებობს ანმყოფი და ყოვლად შე-
უძლებელია მომავალში. იგი მოზ-
მანებია უფ. ნათიევს მისთა მონა-
ფეთა უბედურებისათვის. რა ან-
ბანია ასეთი ახირებული ანბანი?
— იკითხავს მკითხველი.

აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი
უნახავს, რომ ქართული სიტყვე-
ბი რუსულის ასოებით უნდა დაი-
წეროსო. აუღია და თვის ანბანში
შიგა და შიგ ქართული სიტყვები
ჩაურთავს რუსულის ასოებითა.



**გაგონილა, რომ ესეთი
წვრილფეხობა, როგორც უფ.
ნათიევი და სემინარიის გამგებობა,
ესე ფუჭად ხდილეს მთავრობის
ჩვენდამი მზრუნველობას და
გულმტკივნეულებას?.. ჩვენ ამაზედ
უნდა ვიცინოთ თუ ვიტყვით?**

რადგანაც რუსულს ანბანს აკლია
ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმე-
ბის გამოსახატავად, ამიტომაც
უფ. ნათიევს თავისით მოუგონე-
ბია ახალი ასოები, არც რუსული,
არც ქართული, არც ამ მთისა,
არც იმ მთისა, და ამ ახალის ასო-
ებით შეუვსია რუსულის ანბანის
ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმ-
დიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათი-
ევს ორი კურდღელი ერთად დაუ-
ჭერია. ბარაქალა მის ფეხმარდო-
ბას და სისწრაფეს! მაგრამ ჩვენი
საწყალის ბავშვების რა გადასახ-
დელია, რომ უფ. ნათიევი ფეხმარ-
დია. იმ ბაბილონის გოდოლს, რო-
მელიც წინ მოვიხსენიეთ, მესამე
ანბანიც დაუმატა თურმე უფ. ნა-
თიევმა. ვაი, თქვენი ბრალი, სა-
წყალო ბავშვებო! არ გეყოფათ გა-
ნა ამდენი ანბანები, რომ „ნათი-
ური“ ანბანიც, თქვენდა საუბე-

**დუროდ, არ გამოჩენილიყო?!
ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ
ვიტყვით?**

აბა, ეს ამბავი შეიძლება რომ
სხვაგან სადმე მოხდეს და ასე და-
უსჯელად ჩაიაროს? მეცხრამეტე
საუკუნეში ესე აშკარად სამასხა-
როდ საქმე გამხდარა სადმე? ესე-
თი სასაცილოდ აგდება მთავრო-
ბის კეთილ-განკარგულებისა,
მთავრობის დაწყობილებისა სად-
მე გაგონილა? გაგონილა, რომ
ესეთი წვრილფეხობა, როგორც
უფ. ნათიევი და სემინარიის გამ-
გებობა, ესე ფუჭად ხდილეს მთავ-
რობის ჩვენდამი მზრუნველობას
და გულმტკივნეულებას?.. ჩვენ
ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტყ-
ვით?

თუ ჩვენ გვკითხავთ, ორივეს მი-
ზეზი და საბუთი ხელთა გვაქვს.
1877 წ.

ჩვენი ხალხი და განათლება

უმეცრება — აი უმთავრესი სე-
ნი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში
გაგვჯდომია, შეუბრალებლად
ჰლრღნის სიცოცხლეს... ეს არავი-
სთვის საიდუმლო არ არის: თით-
ონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღა-
დებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს
ვერ გასდგამთ, რომ უმეცრების
კვალს ზედ არ წაანყდეთ, რომ
უმეცრების მწარე ნაყოფმა თავი-
სი გემო არ გაგაღებინოთ... გადი-
კითხეთ ყურადღებით გაზეთებში
ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარე-
დამ მონერილი ამბები და ჰნახავთ
— ჩვენი ხალხი უმთავრესად მი-

ნის მუშაობას მისდევს. წლითი-
წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრი-
ალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვ-
ლის, ბოსტნეული მოჰყავს; წე-
ლებზედ ფეხს იდგამს, თავს მალ-
ლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება,
ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ
წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ,
აი, წელს სეტყვამ გაუნადგურა
წლის ნაღვანევი საზრდო, მერმის
კალიამ ხელცარიელზე დასო, მე-
სამე წელს კიდევ სხვა ღვთის რის-
ხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-
ნადაგი ხელიდამ გამოეცალა,
...რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს,

**ვერც თავის საკუთარს ძალ-ღო-
ნეს დანდობია, ვერც სხვას მინ-
დობია, ვერც ცალკე ღონით გას-
ძლოლია; ...სად არის განათლე-
ბული, მეცნიერებით შეიარაღე-
ბული კაცი, რომ მისთვის გული
შესტკივოდეს და წარმატების
გზა უჩვენოს?..**

ხალხს მოსავლიანი წელიწადი
დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუ-
არა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და
გადასახადი აწევს კისერზე. ამის-
თვის ფული უნდა. მოსავალია
მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-
ერთი წყარო. მოსავალია მისი ფუ-



ლი, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? ალებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიღამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, ნამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფელს დედაკაცების ნამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ, რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს — სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუნყოფლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შენევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დანყობითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს



ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს, თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განაფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი, მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. **უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტარი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მიცნობას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან ნამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგენს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც ნამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან.** მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მინის შემუშავების მცოდნე, — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. **თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ.** უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო. ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. **ნიჭი, ბარჯა და მხნეობა დღეს თუ სხვალ ფულსაც იშოვის და შეამოუბასაც მოიპოვებს; ყოველივე ებ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკატება ოთხკედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრაფილი ცას ნუ შევაჩრდები: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებამო. ამ ნიჭსა, ბარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..**

ტფილისი, 2 მაისი, 1886 წ.



საქსიალური კოსტიმის უჩვენა რუსეთში დასახლებული ბატონიშვილებისა და მათი უთაშოვანების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

1801 წლიდან 1842 წლამდე არავითარი დადგენილება არ არსებობდა ბატონიშვილების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის. რუსეთში საცხოვრებლად ჩასული ყველა ბატონიშვილი ეწყობოდა უმადლესი ხელისუფლების უშუალო შეხედულებითა და ჩარევით, ყოველგვარი დადგენილებისა და კანონის გარეშე. ამიტომ იყო, რომ ყოველ მათგანზე დიდი თანხები იცემოდა და საკმაოდ კარგადაც ცხოვრობდნენ.

რუსეთში გადასახლებულ საქართველოს ოთხ დედოფალს: ერეკლე მეორეს მეუღლეს — დარეჯან გიორგის ასულს, გიორგი მეთორმეტეს მეუღლეს — მარიამ გიორგის ასულს, იმერეთის დედოფლებს — დავით გიორგის ძის მეუღლეს — ანა მათეს ასულს, სოლომონ მეორის მეუღლეს მარიამ კაციას ასულსა და, ბოლოს, სამეგრელოს მმართველ ნინოს ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდათ შექმნილი რუსეთის მთავრობის გადანყვეტილებით. ყველა ზემოჩამოთვლილ პირს ჰქონდა ეკატერინეს ლენტი, კარის ეკიპაჟის ყოლის უფლება, მათი შესანახი თანხები და შესაფერისი ბინა, მუდმივი პენსიები, ეძლეოდათ ერთდროული დახმარება.

ამიტომ იყო, რომ ბატონიშვილებმა თავიანთი ხელგამლილობით, გულუხვობითა და ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულებით მთელი რუსეთის იმპერიაში გაითქვეს სახელი და ხშირად დახმარებისთვისაც მიმართავდნენ მათ (ერთხელ მოხუცებული თეიმურაზ ბატონიშვილის ბინას კარგა მიადგა. თეიმურაზს მოახსენეს, რომ რომელიღაც, მათთვის უცნობ გენერალს სურს მასთან ცალკე საუბარი. ვინაიდან მან რუსული კარგად არ იცოდა,

თარჯიმნით შეეგება ხანში შესულ, გადამდგარი გენერლის ფორმის ტანსაცმელში გამონყობილ, მკერდზე ბევრი ორდენისა და მედლის მქონე, მხარზე ანას ლენტის გენერალს. შეხვედრისთანავე, მისულმა გენერალმა მკერდზე დაბნეულ ორდენებსა და მედლებზე დაიდო ხელი და თქვა:

— თქვენო ბრწყინვალეებავ, შეხედეთ აქეთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ ვიმსახურე დიდხანს და შემოძლია ვთქვა საკმაოდ სარგებლიანად და გამორჩეულად. თქვენთან მოვედი კარგით, მაგრამ მე საწყალი ვარ. ჩემს ოჯახს არ აქვს საჭმელი და არც ჩასაცმელი. ჩემი პენსია ამდენია, შესანახი კი მყავს ამდენი. ქუჩაში სიარული და სათხოვრად ხელის გაშვერა ჯერ ვერ გადაწყვიტე, მაგრამ ვიცი, ვინა ხართ თქვენ და როგორი წარმოშობისა, ამიტომ არც დავფიქრებულვარ, თქვენ გთხოვთ დახმარება.

ბატონიშვილს სიტყვა არ დაუძრავს, ამოიღო ასმანეთიანი და მისცა მოსულს. ამ შემთხვევის დამსწრეებმა, თეიმურაზის ახლობლებმა, გულკეთილ ბატონიშვილს მიმართეს:

— არაა საჭირო აჩქარება ასეთ შემთხვევაში. ხშირად თაღლითები სამხედრო ფორმასა და სხვა ყოველგვარ ტანსაცმელს იცვა-

მენ და ატყუებენ გულკეთილ ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ თვითონვე დასცინიან. უნდა გაგეგოთ, ნამდვილი იყო თუ არა იგი გენერალი და, კერძოდ, ვინ იყო იგი, რომელი გენერალი?

ბატონიშვილი შეიჭმუნა და შეეკითხა მათ: — დაუშვათ, თქვენებურად, რომ ის თაღლითი იყო. აბა, ვინ ვის მოატყუა: მე — ის თუ იმან — მე?

— თუ ის თაღლითი იყო, რა თქმა უნდა, იმან მოგატყუათ თქვენ!

— კი, მაგრამ მე ხომ ლაქა არ მომცხებია? — უპასუხა თეიმურაზმა. — მე კი მისთვის რომ მეპასუხა, მე ფული არა მაქვს, მაშინ, როცა მე ფული მაქვს, ორივე მატყუარები ვიქნებოდით — ისიც და მეც. არა, ის თუ მართლა თაღლითია, მას ღმერთი მალე დასჯის, რაიმეში გამომჟღავნდება მისი ბოროტმოქმედება. დაუშვათ, ის არ იყო თაღლითი და იყო ნამდვილად საცოდავი, საბრალო, მაშინ რა? მანამ შენ გაერკვევი სინამდვილეში, ოჯახის წევრები შიმშილით დაეხოცებიან. აბა, როგორ განსჯი? ჩემი აზრით, მატყუარად მე ერთი დავრჩებოდი, მხოლოდ მე დავრჩებოდი ცოცხალი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ბატონიშვილების

პირველი თაობა, რომელიც რუსეთში 1800 წლიდან 1861 წლამდე ცხოვრობდა (1861 წელს უკანასკნელი ბატონიშვილის — მიხეილ გიორგის ძის — გარდაცვალებით პირველმა თაობამ არსებობა შეწყვიტა), თითქმის ყოველგვარი სიკეთით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ითქვა, მათი მოწყობის შესახებ არავითარი დებულება და არც კანონი არ არსებობდა 1842 წლამდე.

1842 წლიდან ბატონიშვილების შესახებ ყოველგვარი საქმე დაევალა ჯერ საგარეო საქმეთა, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ გამგებლობას, რომელთანაც იყო IV კლასის სპეციალური მოხელე — საქართველოს მთავარი ბოქაულის სახელწოდებით. ამ ბოქაულის უშუალო ჩარევის გარეშე არც ერთი ბატონიშვილის შესახებ დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეისწავლებოდა და არ გადაწყდებოდა. ამან, რა თქმა უნდა, ცოტა გაართულა ბატონიშვილთა ცხოვრებისეული საკითხების ოპერატიულად მოგვარება, რამაც მათმა მატერიალურ უზრუნველყოფაზეც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ამას დაერთო ისიც, რომ ბატონიშვილების უმეტესობამ პენსიების ნაცვლად ერთდროულად მიღებული ფულადი თანხით ვერ შეიძინა მამულები და ვერც ყმა გლეხები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა ერთდროულად მთავრობისგან 300 ათასი მანეთი მიიღო მამულებისა და ყმა გლეხების შესაძენად, მაინც ვერ მოახერხა მიღებული თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენება, ძირითადად, მინებისა და ყმა გლეხთა სიძვირის გამო. ამიტომ იყო, რომ ბევრმა მათგანმა მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა უკან დაებრუნებინათ მიღებული ფული და კვლავ შთამომავლობითი პენსიები დანიშნოდათ. ამგვარი თხოვნები მალე საჩივრებში გადაიზარდა. თანდათანობით გახშირდა ბატონიშვილთა საჩივრები ფულის უკან მიღებისა და შთამომავლობითი პენსიების დანიშნისათვის.

ბაგრატიონებისა და ბაგრატი-

ონ-იმერეტინსკების გაუთავებელი თხოვნებითა და საჩივრებით გაღიზიანებული კავკასიის მეფისნაცვალთა თავადი ა. ბარიატინსკი 50-იანი წლების ბოლომდე შამილის წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული, ამიტომ რუსეთში მცხოვრებ სამეფო სახლის წევრთა კეთილმოწყობაზე, მათ შთამომავლობით პენსიებზე და ერთდროული ფულადი თანხის მიცემასა და უკან დაბრუნებაზე მთავრობასთან შუამდგომლობის აღძვრას ერიდებოდა. მეფისნაცვლის ჩარევის გარეშე კი არავითარი დიდმნიშვნელოვანი საკითხი არ დაისმებოდა მთავრობის წინაშე.

1859 წლის ბოლოსათვის, შამილის დატყვევებისა და კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ რუსეთის მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი ბატონიშვილთა და მათ შთამომავალთა მოწყობის შესახებ.

ა. ბარიატინსკის მიმართვის თანახმად, **1859 წლის დეკემბერში უმაღლესად იქნა ნაბრძანები ბაგრატიონებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების კეთილმოწყობისათვის სპეციალური კომისიის შექმნა.** იმპერატორის მიერ მითითებული იყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ზემოაღნიშნული კომისიის წევრები და ვინ უნდა დაენიშნათ კომისიის თავმჯდომარედ. თანახმად მითითებისა, კომისიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო თითო წარმომადგენელი — დეპუტატი აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონებიდან და იმერელი ბაგრატიონ-იმერეტინსკებიდან. დეპუტატების არჩევა უნდა მომხდარიყო რუსეთში დასახლებული ყველა ბაგრატიონისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების ურთიერთშეთანხმებით. კომისიაში უნდა შესულიყო კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველის თანაშემწე, სახელმწიფო მრჩეველი, ფინანსთა სამინისტროს მოხელე — მთავარი ბოქაული **ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი.** ამ უკანასკნელის შეხედულებით უნდა წარმართულიყო ახ-

ლადშესაქმნელი სპეციალური კომისიის საქმიანობა.

იმპერატორის გადაწყვეტილებით, კომისიას სახელმძღვანელოდ უნდა გადაცემოდა მეფისნაცვლის, თავად ა. ბარიატინსკის მიერ ხელმწიფე-იმპერატორისადმი გაგზავნილი პირადი ვარაუდი, ბატონიშვილთა ერთხელ და სამუდამოდ კეთილმოწყობის შესახებ. ბარიატინსკის ვარაუდის გათვალისწინებით, უნდა შეემუშავებინათ საბოლოო აზრი, რომელიც კავკასიის კომიტეტის წევრს, ამავე კომიტეტის საქმეთა მმართველს, სახელმწიფო მრჩეველს — ბუტკოვს უნდა წარედგინა მეფისნაცვალისთვის, რუსეთის შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებისთვის. ამ უკანასკნელთა შეხედულებები, კომისიის მიერ შემუშავებულ აზრთან ერთად, კავკასიის კომიტეტს უნდა გადასცემოდა. მალე, იმპერატორის ნება-სურვილის თანახმად, მთავარმა ბოქაულმა გულკევიჩმა რუსეთში დასახლებულ ბაგრატიონებსა და ბაგრატიონ-იმერეტინსკებს შეატყობინა მათი მოწყობისათვის სპეციალური კომისიის შექმნის გადაწყვეტილება და სთხოვა, აერჩიათ და წარმოედგინათ თავიანთი წარმომადგენლები — დეპუტატები: ერთი ბაგრატიონებისაგან და ერთი ბაგრატიონ-იმერეტინსკებისაგან. დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთში მყოფ ყველა ბაგრატიონს და ბაგრატიონ-იმერეტინსკის. **აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებმა, ხმის უმრავლესობით, სპეციალურ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად ბატონიშვილი მიხეილ გიორგის ძე აირჩია. იმერეთის ბატონიშვილებიდან არჩეულ იქნა სახელგანთქმული გენერალ-ადიუტანტი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელმაც ცოტა ხანს იმუშავა კომისიაში და განთავისუფლება მოითხოვა. მის მაგიერ დეპუტატად არჩეულ იქნა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი.** ამ კომისიის თავმჯ-



დომარედ, როგორც ნავარაუდები იყო, ზემოხსენებული, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი დაინიშნა.

კომისიის მუშაობაში, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა, დაწყებიდან დამთავრებამდე იმუშავა მხოლოდ **ნიკოლოზ კონსტანტინეს კე ბაგრატიონ-იმერეთისკომ, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა ბაგრატიონ-იმერეთისკაპის მოთხოვნისა — დაბრუნებინათ ერთდროულად მიღებული თანხები და კვლავ შთამომავლობითი პენსიები მიეღოთ, რათა არ შემოსარჯოდათ მიღებული ფული და ისევ სათხოვრად არ გახდომოდეთ საქმე. პენსიებით კი, როგორც ისინი აცხადებდნენ, არა მარტო ბატონიშვილები იქნებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფილნი, არამედ მათი შთამომავლობაც ბარანტირებული იქნებოდა ცხოვრების კარგი პირობებით. ასეთი იყო ბაგრატიონ-იმერეთისკაპის გადაწყვეტილება.**

ასეთივე სურვილი გამოხატა კონსტანტინე ბატონიშვილის მეუღლემ — ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეთისკის დედინაცვალმა **ეკატერინე ბაგრატიონ-იმერეთისკიმ**. 1859 წლის 18 დეკემბერს გერისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ვჩქარობ შეგატყობინო ჩემის მხრივ, რომ, როგორც საქართველოსა და იმერეთის სამეფო სახლთა წევრებისათვის არის სასარგებლო — შთამომავლობითი პენსიების მიღება, ასევე სასარგებლო იქნება იგი კეთილმოსურნე მთავრობისათვის, რომლის ბატონიშვილებისათვის ზრუნვა მკაფიოდაა ასახული კანონთა კრებულში. ბატონიშვილები და მათი შთამომავლობა ადვილად შეიძლება სიღარიბესა და საერთოდ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდეს ერთდროული თანხების მიღებით. ადვილი შესაძლებელია, მიღებული თანხა შემოგველიოს, რომ ჩვენც

და ჩვენი შვილებიც დავრჩეთ უსახსროდ და იძულებული ვიქნებით, კვლავ მოვითხოვოთ მთავრობისაგან დახმარება. ამიტომაც სრულიად განდობთ თქვენ ჩემი ინტერესების დაცვას. ვიცი, რომ ჩემი და თქვენი აზრი ერთმანეთის მსგავსია. მე მჯერა, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ, რათა უარყოფილი იქნეს ერთდროული თანხის მიღება და ერთხელ და სამუდამოდ დაგვენიშნოს შთამომავლობითი პენსიები“. ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეთისკის თავისმა ძმამ — სახელგანთქმულმა გენერალ-ლეიტენანტმა — ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეთისკიმ. იგი წერდა: „ძვირფასო ძმაო — თავადო ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე! შენს მიერ 18 დეკემბერს წერილით გამოგზავნილ კითხვებზე შემოძლია გითხრათ, რომ ფული, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მთავრობისაგან, არამც თუ მომავალში ვერ უზრუნველყოფს ჩვენს ყოფას, არამედ იგი დღესაც არასაკმარისია. გადიდებულ პენსიებს შეუძლია ჩვენი სრული დაკმაყოფილება. მე ვემყარები ღმერთის გულმონყალებას, ხელმწიფის მართლმსაჯულებასა და შენს კეთილგონიერებას“.

ამრიგად, **ხსენებული ბატონიშვილები ერთსულოვნად მოითხოვდნენ შთამომავლობით პენსიებს, რა თქმა უნდა, გადიდებული ოდენობით და სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ერთდროულად მიღებული თანხების დატოვების.**

იმერეთის სამეფო-საგვარეულოს მეორე შტოს წარმომადგენელი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეთისკი თვითონ შთამომავლობითი პენსიების მომხრე იყო და თავისი მცირეწლოვანი ძმისშვილების — ალექსანდრესა და დიმიტრის სახელითაც იგივე განაცხადა: „1842 წელს შთამომავლობითი პენსიების დაინიშნა დიდი სიკეთე იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. პენსიები არა მარტო უზრუნველგვყოფდა ჩვენ თვითონ, არამედ იგი უზრუნველყოფდა ჩვენს შთამომავლობასაც.

ბოლოს იგი დასძენდა: სამწუხაროდ, ყოველწლიურად მზარდმა სიძვირემ ჩვენი შემოსავალი გახადა იმდენად უმნიშვნელო, რომ იგი ნახევრად თუ გვაკმაყოფილებს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ შთამომავლობის თანდათანობით გამრავლებასაც, მაშინ ცხადი გახდება, რომ სრულიად არასაკმარისი იქნება არსებული პენსიები“.

დასასრულს, ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეთისკი პენსიების მომხრედ გამოდიოდა, ოღონდ გადიდებული ოდენობით. თითქოს და გადიდებული შთამომავლობითი პენსიების დანიშნისა და ერთდროულად მიღებული თანხების დაბრუნების მომხრენი იყვნენ ბაგრატიონებიც, თუმცა საქმე, როგორც დავინახავთ, სხვაგვარად წარიმართა.

გარდა ჩამოთვლილი დეპუტატებისა, კომისიის წევრი იყო საქართველოს მთავარი ბოქაული, იმ დროს ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი **კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ზლოზინი**. იგი ძველი წრთობის, ხანში შესული მთავრობის მოხელე იყო და საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა კომისიის სხდომებზე გამოსვლებისას კანონთა პარაგრაფებსა და მუხლებს.

ფინანსთა სამინისტროდან კომისიაში შეყვანილ იქნა ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ალექსანდრე იაკობის ძე მალოზემოვი. იგი შედარებით გულკეთილად იქცეოდა და კანონთა პარაგრაფებისა და მუხლების დამონებბასაც ერიდებოდა თავის გამოსვლებში.

ამრიგად, კომისიაში სულ 5 წევრი იყო შეყვანილი, თუმცა თითქმის ყველასათვის მოულოდნელად მეექვსე წევრმაც იჩინა თავი, რამაც სასტიკად აღაშფოთა ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეთისკი. ეს მეექვსე წევრი, ყოველგვარი არჩევისა და დანიშვნის გარეშე, იყო **ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი**, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

კომისიის სხდომები გათვალისწინებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ან კავკასიის კომი-

ტეტის შენობაში, მაგრამ კომისიის უხუცესმა წევრმა, 80 წლის მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონმა მოინდომა სხდომების თავის ბინაში ჩატარება და თუ სხვა წევრები არ მიიღებდნენ მის თხოვნას, იგი თავს ანებებდა დეპუტატობას. კომისიის თავმჯდომარემ გულკევიჩმა მხარი დაუჭირა მოხუცებული მიხეილის თხოვნას. კომისიის წევრთა გადანყვეტილებით სხდომები მის ბინაზე უნდა გამართულიყო.

მიხეილი ცხოვრობდა სერგიევის ქუჩაზე, ეკავა სამი ოთახი სერბინოვების ბინაში. კომისიის პირველი სხდომა დანიშნული იყო 1859 წლის 22 დეკემბერს, დღის 12 საათზე. სხდომის დანყებადმდე ერთი საათით ადრე, ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი, როგორც კომისიის წევრი, ეახლა მიხეილს ბინაზე. მიხეილი დახვდა ძველ ქართულ ჩოხაში გამოწყობილი. იგი გაესაუბრა სტუმარს, რომელმაც გულლიად განაცხადა თავისი აზრი და მიზანი. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ საუბრისას ხაზი გაუსვა იმპერატორის გულკევიჩის სახელს, რომ ხელმწიფე იმპერატორი, ღმერთის ნყალობით, დაეხმარებოდა ბატონიშვილებს და ისე გადანყებოდა საქმე, როგორც მათ სურდათ — დაენიშნებოდათ გადიდებული შთამომავლობითი პენსიები. მიღებულ თანხებს კი უკან დააბრუნებდნენ. ბოლოს სტუმარმა დასძინა: იმპერატორს მართლაც სურს ჩვენი კეთილდღეობა და არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა ხალხისა, „მე გავიგე გლეხთა განთავისუფლების პროექტის შესახებ“... ცხოვრებისეული დიდი გამოცდილების მქონე მოხუცს გაეღიმა და სტუმარს უთხრა: „ოჰ, ძმაო! ღმერთი მალაა, ხელმწიფე შორსაა, ჩვენი თავმჯდომარე გულკევიჩი კი ახლოსაა და ჩვენც მასთან უნდა მივიდეთ...“

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შეიმშუშნა, არ ესია მოვნა მოხუცის ნათქვამი. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეს არ მოსწონდა კომისიის თავმჯდომარე გულკევიჩი, მისგან სიკეთეს არ მოელოდა და მო-

ხუცს განუცხადა: ეს ბატონი ზედმინევით ერკვევა საქმეებში, მასთან მისვლა იოლი საქმე არაა, დაფიქრებაა საჭირო, მარცხი არ განვიცადოთ. მიხეილ გიორგის ძე ფართო ლეიბზე იყო ჩამომჯდარი, სტუმრის პასუხზე წამოდგა ფეხზე და კვლავ უცებ დაჯდა იმავე ლეიბზე, ირონიულად შეხედა თანამოსაუბრეს და წარმოსთქვა: „ნუ გეშინია, ხელი ლეიბს დაადო და დასძინა — მე, აი აქ, იმდენი მაქვს, რომ მათ ყველას თავბრუს დავახვევ“ (ლეიბში მიხეილ გიორგის ძე ფულს აგროვებდა. მთელი თავისი ქონება, ფულისა და ძვირფასი ნივთების სახით იმ ლეიბში ჰქონდა შენახული და ამიტომაც სულ ზედ იჯდა, იშვიათად თუ წამოდგებოდა ზევით).

საუბარი ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. 12 საათზე კომისიის წევრები მოვიდნენ. მათ შორის აღმოჩნდა პოდპოლკოვნიკი ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი. იგი ქართულად მიესალმა მიხეილ გიორგის ძეს, რომელიც ძალიან ცივად შეხვდა მის მისაღმებას. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძემ სასტიკად აღელვებულმა ჰკითხა კომისიის თავმჯდომარეს — გულკევიჩს ირაკლი ბაგრატიონის კომისიის წევრად დანიშვნის შესახებ და დასძინა, ვინ მოგცათ უფლება დეპუტატის აურჩევლად დანიშვნისაო. გულკევიჩმა ბუნდოვნად უპასუხა, რომ ირაკლი ალექსანდრეს ძე უმაღლესად იყო კომისიის წევრად დაშვებული. ნიკოლოზი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იწყებოდა და ბოლოც მათი მოსაზრებისა და მოწოდებების საწინააღმდეგო იქნებოდა.

იმერეთის ბატონიშვილებს, როგორც აღინიშნა, შთამომავლობითი პენსიების მიღება სურდათ და ერთდროული, ფულადი თანხის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ. აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილთა ნაწილის აზრიც ასეთივე იყო, მათაც უნდოდათ მიღებული თანხა დაებრუნებინათ და შთამომავლობითი პენსიები ჰქონოდათ, მხოლოდ გადიდებული ოდენობით. მეფის მთავრობას კი ერჩია მათთვის ერთდროული

ფულადი თანხა დაერიგებინა, მამულების შესაძენად, და ამით ეცხოვრათ მთავრობის დახმარების გარეშე. მთავრობას გადანყვეტილი ჰქონდა ბატონიშვილთა გაუთავებელი თხოვნებისა და საჩუქრებისაგან განთავისუფლება, ფულადი თანხის დარიგებით. გულკევიჩი მეფის მთავრობის გადანყვეტილების გამტარებელი იყო და ყოველნაირად ცდილობდა, ბატონიშვილებს უარი ეთქვათ შთამომავლობით პენსიებზე და მიეღოთ ერთდროული ფულადი თანხა. კომისიის თავმჯდომარეს გაუჭირდებოდა მთავრობის დავალების შესრულება, თუ კი აღმოსავლეთ საქართველოდან და იმერეთიდან თითო დეპუტატი იქნებოდა კომისიაში. ამიტომ საჭირო იყო კომისიაში აღმოსავლეთ საქართველოდან მეორე წარმომადგენელი დაენიშნათ, რათა ხმების უმრავლესობას გადაეწყვიტა ბატონიშვილებზე ერთდროული დახმარების დარიგება და უარი ეთქვა გადიდებული ოდენობით შთამომავლობითი პენსიების დანიშვნაზე. ერთდროული ფულადი თანხის მიღების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ორივე სამეფო სახლის წევრთა მეტი ნაწილი. მათ ახსოვდათ, რომ ადრე, ვინც ერთდროული ფულადი თანხა მიიღო, მალე შემოეხარჯათ, ზოგმა მამული, ზოგმა სახლი იყიდა, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელები ასცდნენ გაღარიბებას. ბატონიშვილმა კონსტანტინე დავითის ძემ სახლი იყიდა 300 ათას მანეთად. ამ თანხიდან 150 ათასი მანეთი მთავრობიდან მიღებული თანხით გადაიხადა. სახლი დააგირავა და 150 ათასი მანეთიც ბანკში ისესხა. ნაყიდი სახლით მან ვერ ისარგებლა, შემოსავალი არ ჰქონდა და გადასახადები დაუგროვდა, რასაც ვალებიც დაემატა. საქმე ისე წავიდა, რომ 300 ათას მანეთად ნაყიდი სახლი ხაზინამ გაყიდა 150 ათას მანეთად, რითაც მხოლოდ ბანკის ვალი დაიფარა. ადრე იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარებული კონსტანტინე დავითის ძე ყოველგვარ საარსებო წყაროს



მოკლებული აღმოჩნდა. მან მეორედ მოითხოვა მთავრობისაგან დახმარება, მაგრამ პირველად უარი ეთქვა. ასეთივე ბედი ეწია ირაკლი ალექსანდრეს ძეს, რომელმაც ადრე 135 ათასი მანეთი მიიღო მთავრობისაგან მამულეების შესაძენად. მამულები ვერ შეიძინა და ფული შემოეხარჯა. ბატონიშვილმა ივანე გრიგოლის ძემ 75 ათასი მანეთი მიიღო, ასევე მამულების შესაძენად, მამულები ვერ შეიძინა და მიღებული ფული შემოეხარჯა. 1840-იან წლებში სამეგრელოს მთავარმა დადიანმა იყიდა მამულები 1000 ყმა-გლეხით. დადიანი მამულებიდან შემოსავლით ცხოვრობდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სრულიად მოუსავლიანი წელი დადგა. მოსახლეობა შიმშილმა მოიცვა. დადიანი შემოსავლის გარეშე აღმოჩნდა და ერთდროული ფულადი თანხა მოითხოვა. მთავრობა მანაც ეხმარებოდა მათ თავიდან. ირაკლი ალექსანდრეს ძეს შთამომავლობითი პენსია დაენიშნა 8952 მანეთის ოდენობით. ივანე გრიგოლის ძეს კი 5373 მანეთი შთამომავლობითი პენსია მიეცა. ამიტომ იყო, რომ შემინებული ბატონიშვილების უმეტესობა შთამომავლობითი პენსიების მომხრე იყო, ოღონდ გადიდებული ოდენობით.

მეფის მთავრობის გადანყვებილებით, თუ ბატონიშვილები ერთდროული ფულადი თანხის მიღებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მათ დარჩებოდათ პენსიები, ყოველგვარი მომეტების გარეშე.

პირველი სხდომის დაწყებისთანავე, კომისიის თავმჯდომარემ გულკევიჩმა ზეპირად გააცნო დეპუტატებს მეფისნაცვლის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილი ბატონიშვილთა მოწყობის პროექტის შინაარსი: **ბატონიშვილთა მატერიალურად უზრუნველყოფისათვის გაუთავებელი თხოვნებისა და საჩივრების გამო, ბარიატინსკი საჭიროდ თვლიდა კუთვნილი ერთდროული თანხის გაცემას ყველაზე, რათა მთავრობა სამუდამოდ განთავისუფლებულიყო მათზე ზრუნვისაგან.**

კომისიის ხანდაზმული წევრი — მიხეილ გიორგის ძე — პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა. სპეციალურად შერჩეულმა, აურჩევლად დანიშნულმა კომისიის წევრმა ირაკლი ალექსანდრეს ძემ მხარი დაუჭირა მეფისნაცვლის პროექტს, ერთდროული ფულადი თანხის მიღების შესახებ. კომისიის წევრმა მალაშენოვმა და თავმჯდომარემაც ერთდროული ფულადი თანხის გაცემას დაუჭირეს მხარი.

მიხეილ გიორგის ძემ სხდომაზე წაიკითხა მთავრობის მიერ გაცემული საბუთები ბატონიშვილთა მოწყობის შესახებ. ერთი საბუთი თვით მიხეილ გიორგის ძისადმი იყო ადრე მიწერილი კორუბების მიერ. ამ წერილით, იმპერატორის დავალებით, კორუბები აცნობებდა მიხეილ გიორგის ძეს, რომ მას მიეცემოდა 150 ათასი მანეთი ყმა-გლეხის შესაძენად და შეუნარჩუნდებოდა პენსიაც. ირაკლი ალექსანდრეს ძეს არ სურდა ზემოაღნიშნული წერილების შინაარსის მოსმენა. იგი ცდილობდა, გულკევიჩისათვის ესამოვნებია და ერთდროული ფულადი თანხის დარიგება მოითხოვა. მისი განცხადებით, ერთდროული ფულადი თანხის მიღება სჯობდა შთამომავლობით პენსიას, ვინაიდან უფროსის გარდაცვალების შემდეგ პენსია იყოფოდა შთამომავლობაზე, დროთა განმავლობაში კვლავ გაიყოფოდა და, ამდენად, 20-30 წლის შემდეგ პენსიები რამდენჯერმე შემცირებული ოდენობისა დარჩებოდა. ამასთანავე, ბევრი ჩვენგანი, განაგრძობდა ირაკლი ალექსანდრეს ძე, ვატყუებთ მთავრობას და წინასწარ მოვითხოვთ რამდენიმე წლის პენსიას. ამით მთავრობასაც უხერხულმდგომარეობაში ვაყენებთ და ჩვენც მალე გვეხარჯება ვალების დასაფარად ერთად მიღებული რამდენიმე წლის პენსია. ბატონიშვილმა მიხეილმა, თანახმად კორუბების შეპირებისა, 1000 სული ყმა გლეხი მოითხოვა. კომისიის თავმჯდომარე გულკევიჩმა მას განუცხადა, რომ მთავრობა არ დააკმაყოფილებდა მის თხოვნას,

გლეხთა მომავალი განთავისუფლების გამო. მიხეილი კვლავ თავის აზრზე იდგა და ერთდროული თანხის მიღების წინააღმდეგი იყო. ირაკლი ალექსანდრეს ძემ ეშმაკობა იხმარა. მან გადმოიბირა ფარნაოზის შვილები ელენე და სალომე, რომლებმაც თავიანთი ინტერესების დაცვა ადრე მიხეილ გიორგის ძეს მიანდეს. ახლა კი თავიანთი ინტერესების დაცვა ირაკლი ალექსანდრეს ძეს გადააბარეს. ივანე გრიგოლის ძემაც შეიცვალა აზრი და ირაკლი ალექსანდრეს ძეს მიემხრო. ერთდროული ფულადი თანხის მიღების მომხრეთა რიცხვი იზრდებოდა.

მიხეილ გიორგის ძემ დაჟინებით მოითხოვა ბაგრატიონ-იმერეტინსკებიდან მეორე წარმომადგენელი კომისიაში, ვინაიდან ბაგრატიონებიდან ორი დეპუტატი იყო. ირაკლი ალექსანდრეს ძემ სასტიკი უარი განაცხადა მეორე წარმომადგენლის დაშვებაზე და დასძინა, „რატომ უნდა იყოს იმერეთის ბატონიშვილებიდან ორი წარმომადგენელი, ბაგრატიონ-იმერეტინსკები სულ ხუთი კაცი საგან შედგება, მაშინ როცა აქსართველოს სამეფო სახლის 40 წარმომადგენელია“. ირაკლი ალექსანდრეს ძე ერთდროული ფულადი თანხის მიღებისათვის იბრძოდა, მისი აზრი გულკევიჩის აზრს ემთხვეოდა და ამიტომ მათი აზრების დამთხვევამ კომისიაში ერთმანეთის დაცვა განაპირობა. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი არ თმობდა თავის პოზიციას. მან სპეციალური წერილი გაუგზავნა ხელმწიფე-იმპერატორს თხოვნით, რომ საკითხის სწორი და ობიექტური გადაჭრისათვის კომისიაში ჩაერთოთ მეორე წარმომადგენელი — დეპუტატი ბაგრატიონ-იმერეტინსკებისაგან. ამ თხოვნასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია საკითხის საბოლოო გადანყვებისათვის. ბაგრატიონ-იმერეტინსკების მხრივ კომისიაში ერთი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, ბაგრატიონებიდან კი კვლავ ორი დეპუტატი იყო. იმერეთის სამეფო სახ-

ლის წარმომადგენლებს, რომელთა მიზანი იყო შთამომავლობითი პენსიების მიღება, გადიდებული ოდენობით, ხმის მიცემისას ერთი დეპუტატი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეთინსკი იღებდა მონაწილეობას, ბაგრატიონებიდან კი ორი — მიხეილ გიორგის ძე და ირაკლი ალექსანდრეს ძე. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონი გადიდებული შთამომავლობითი პენსიების მომხრე და ერთდროული ფულადი თანხის მიღების წინააღმდეგი იყო, ხმის მიცემისას მაინც თავმჯდომარის აზრი გავიდოდა, ვინაიდან მას უჭერდა მხარს ირაკლი ალექსანდრეს ძე და მალოზემოვი. მალოზემოვი ერთხანს ბატონიშვილებისათვის მინების დარიგების ლოზუნგითაც გამოვიდა. მაგრამ მალე დაივიწყა ესეც და კვლავ ერთდროული დახმარების მომხრე გახდა.

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ალექსანდრეს ძისა და მალოზემოვის მხარდაჭერით თავისი გაიტანა. გადაწყდა ერთდროული ფულადი თანხის დარიგება ბატონიშვილებისათვის. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეთინსკი კვლავ წინააღმდეგი იყო ამ გადაწყვეტილებისა, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა. ვერც ხელმწიფე-იმპერატორამდე მიაღწია საჩივრით და განაცხადა: „დავმარცხდით. რა ვქნათ, ღმერთი მალაა, ხელმწიფე შორსაა“. კომისიის მუშაობა ორ თვეს გაგრძელდა — 1859 წლის 22 დეკემბრიდან 1860 წლის 23 თებერვლამდე. კომისიის დასკვნა კავკასიის კომიტეტში გადავიდა საბოლოო დადგენილების მისაღებად. კავკასიის კომიტეტში ორ წელზე მეტს გასტანა მსჯელობამ — 1860 წლის 23 თებერვლიდან 1862 წლის 28 აპრილამდე. კავკასიის კომიტეტში საქმის გაჭიანურებას ხელი შეუწყო 1862 წელს შინაგან საქმეთა მინისტრ ლანსკოის გარდაცვალებამ. ახალი მინისტრი მურავიოვი ძნელად შევიდა საქმის კურსში. ყოველივე ამის გამო საქმე ძალიან დაგვიანებით დამთავრდა. კომისიის მიერ მიღებული

დადგენილების კავკასიის კომიტეტში გადაცემის შემდეგ, მალე — 1862 წლის ნოემბერში მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონი გარდაიცვალა. 1962 წლის ზამთარში ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეთინსკი გარდაიცვალა.

ამრიგად, კომისიის დადგენილების წინააღმდეგ მებრძოლი აღარავინ იყო. ბატონიშვილთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება კავკასიის კომიტეტში მოინონეს და 1862 წლის 28 აპრილს იქნა უმაღლესად დამტკიცებული, რაც კავკასიის კომიტეტის 1862 წლის მომდევნო თვეების ჟურნალებში აისახა.

ბატონიშვილებისათვის ერთდროული ფულადი თანხის დასარიგებლად გამოყოფილ იქნა სესხის დამფარავი სახელმწიფო კომიტეტის კუთვნილი 1 296 495 მანეთი. ამ თანხას, მთავრობის მითითებით, დაემატა 648 247 მან. და 50 კაპ., სულ ბატონიშვილებზე დასარიგებელი თანხა 1 944 742 მან. და 50 კაპიკს შეადგენდა. ეს თანხა ყველა ბატონიშვილზე უნდა განაწილებულიყო, მაგრამ სხვადასხვა ოდენობით. საქართველოს ბატონიშვილებს უფრო დიდი თანხები გამოეყოთ, ვიდრე იმერეთის ბაგრატიონ-იმერეთინსკებს. საქართველოს ბატონიშვილებს გამოეყოთ:

- იოანე გრიგოლის ძეს — 286 165 მან. და 35 კაპ.;
- დავით და ალექსანდრე ბაგრატის ძეებს (თითოეულს) — 147 905 მან. და 16 კაპ.;
- გიორგი და პავლე ოქროპირის ძეებს (თითოეულს) — 153 791 მან. და 42 კაპ.;
- ირაკლი ალექსანდრეს ძეს — 337 503 მან. და 17 კაპ.;
- იმერეთის ბატონიშვილებს გაცილებით ნაკლები თანხა გამოეყოთ კონსტანტინეს, ნიკოლოზს და ალექსანდრე კონსტანტინეს ძეებს, თითოეულს, გამოეყოთ 59 525 მან.; ალექსანდრესა და დიმიტრი დიმიტრის ძეებს, თითოეულს — 99 682 მან. და 90 კაპ.

ამ გაანგარიშებით, სულ სა-

ქართველოსა და იმერეთის ბატონიშვილებს უნდა დარიგებოდათ — 1 903 745 მანეთი და 30 კაპიკი.

ზემოთ მოცემული 1 944 742 მანეთიდან 275 108 მანეთი განკუთვნილი იყო თავადის ასულ ელენე ოთარის ასულის, კონსტანტინე დავითის ძის ქვრივის — ეკატერინე სერგის ასულისა და თავადის ასულ ელენე ოქროპირის ასულისათვის შთამომავლობითი პენსიებით უზრუნველსაყოფად. თითოეული მათგანისათვის განსაზღვრული იყო 54 525 მან. და 64 კაპ. ოდენობით, დანარჩენი — სხვა საქმეებისათვის იყო გამიზნული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, 1 944 742 მანეთი არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც ბატონიშვილებზე გამოყოფილი თანხა შეამცირეს 467 108 მანეთით და 64 კაპიკით. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბატონიშვილებს ჩამოაკლეს 422 464 მან. და 89 კაპ.; იმერეთის ბატონიშვილებს კი 44 643 მან. და 75 კაპიკი.

მცირეწლოვან ალექსანდრე და დიმიტრი დიმიტრის ძეებს პირველად გამოყოფილი თანხა არ შემცირებიათ და კვლავ დარჩა თითოეულს 99 682 მან. და 90 კაპიკი.

ამასთანავე, დადგენილი იყო, გარდაცვლილი დედოფლის — მარიამ გიორგის ასულის პენსია — 10 ათასი მანეთი — განაწილებულიყო მის ოთხ ვაჟზე, შთამომავლობით პენსიებზე დასამატებლად.

დედოფალ დარეჯანის შვილიშვილს, თავად ირაკლი ალექსანდრეს ძეს და ბატონიშვილ ფარნაოზს, თავადის ასულ ელენესა და დედოფალ ანას შვილებს — კონსტანტინეს, ნიკოლოზსა და ალექსანდრეს, მიეცათ ისეთივე თანხა — 2 500 მან. წელიწადში — პენსიებზე დასამატებლად, როგორც დედოფალ მარიამ გიორგის ასულის შვილებს, დედის პენსიის განაწილების შედეგად.

არც სხვა ბატონიშვილები და მათი შთამომავლობა იყო დავიწყებული. ყველას მიეცა პენსიებ-



ზე დასამატებლად სხვადასხვა ოდენობის თანხა.

საბოლოოდ დადგენილ იქნა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე იმერეთის ბატონიშვილებსა და მათ შთამომავლობაზე გასაცემი თანხების ოდენობა.

დავით და ალექსანდრე ბაგრატიის ძეებმა მიიღეს 150 ათასი მანეთი, თითოეულმა.

გრიგოლ და ნიკოლოზ ილიას ძეებმა — დედის პენსიის მეოთხედის დამატებით, თითოეულმა დაახლოებით 200 ათასი მანეთი მიიღო.

გიორგი და პავლე ოქროპირის ძეებმა მიიღეს, თითოეულმა, 150 ათას მანეთზე მეტი.

ყველაზე მეტი მიიღეს ირაკლი ალექსანდრეს ძემ და იოანე გრიგოლის ძემ.

ირაკლი ალექსანდრეს ძემ მიიღო 42 0836 მან. და 49 კაპიკი. გარდა აღნიშნული თანხისა, მას ეძლეოდა შთამომავლობითი პენსია — 8 952 მან. წელიწადში. მამულების შესაძენად მან 15 წლის კუთვნილი პენსია გამოიტანა ერთად, რამაც შეადგინა — 134 280 მანეთი. თუ ამ თანხას მივუმატებთ მის მიერ მიღებულ 420 836 მანეთს, მივიღებთ, რომ მან მიიღო 555 116 მანეთი.

ცოტა ნაკლები თანხა მიიღო იოანე გრიგოლის ძემ — 306 166 მანეთი. მასვე მიეცა სესხად 75 ათასი მანეთი, რომელსაც შემდეგში იხდიდა თავისი შთამომავლობითი პენსიით — 5000 მან. წელიწადში.

ერთი სიტყვით, ორმა ბატონიშვილმა — ირაკლი ალექსანდრეს ძემ და იოანე გრიგოლის ძემ, თავიანთ თანამემამულეებთან შედარებით, გამორჩეულად დიდი თანხა მიიღეს.

ყველაზე ნაკლები ოდენობის თანხა მიიღეს იმერეთის ბაგრატიონ-იმერეტინსკებმა. ალექსანდრე, კონსტანტინე და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძეებმა, თითოეულმა მიიღო 44 643 მან. და 75 კაპ., რა თქმა უნდა, ძველი ოდენობით შთამომავლობითი პენსიების დატოვებით.

ირაკლი ალექსანდრეს ძეზე ეხოდნენ დიდი თანხის გაცემის მიზეზი ის იყო, რომ იგი მთავრობის მიერ რატომღაც საქართველოს სამეფო ტახტის პირველ მემკვიდრედ იყო მიჩნეული. იოანე გრიგოლის ძესაც მეორე მემკვიდრედ სთვლიდნენ და ამიტომაც მისცეს მილიონამდე მანეთი ორივეს. სინამდვილეში, ირაკლი ალექსანდრეს ძე იყო ერეკლე მეორის მეხუთე ვაჟის — ალექსანდრეს შვილი. ამდენად, იგი შორს იყო სამეფო ტახტის მემკვიდრეობისაგან. თვითონ ირაკლი ალექსანდრეს ძე მართლაც თვლიდა თავის თავს 60 წლის წინათ გაუქმებული ტახტის მემკვიდრედ და კომისიის თავმჯდომარის გულკევიჩის დახმარებით მთავრობაც შეცდომაში შეიყვანა. ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ირაკლი ალექსანდრეს ძის სიტყვები კომისიის სხდომაზე: **„როცა მე აქ (პეტერბურგში) ჩამოვედი, ხელმწიფემ ხელი მომკიდა და დედაჩემს უთხრა, ჩემზე არ ეზრუნა, რომ თვითონ იგი (ხელმწიფე) იზრუნებდა ჩემზე... ღმერთსა და ხელმწიფეს უნდა ვუმაღლოდე ჩემი უფლებებისათვის და მეტს არავის“.** ამით ირაკლი ალექსანდრეს ძემ ხაზი გაუსვა ხელმწიფე-იმპერატორთან ახლობლობასა და დიდ უფლებებს.

ბატონიშვილმა მიხეილ გიორგის ძემ მაშინვე შენიშნა, რომ იგი ძალიან მალლა იწვედა და ცდილობდა ტახტის მემკვიდრეობის დამტკიცებას. სინამდვილეში, გიორგი XII-ის უფროსი შვილი დავითი იყო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა. დავითის დროს შეწყდა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა. ამდენად, ირაკლი ალექსანდრეს ძე შორს იყო ტახტის მემკვიდრეობიდან. იოანე გრიგოლის ძე კი იყო გიორგი XII-ის შვილის იოანეს შვილი და, ამდენად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო ტახტის მეორე მემკვიდრედ მისი მიჩნევა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ ორმა პიროვნე-

ბამ შესძლო დიდი თანხის მიღება. თანხის არასწორი განაწილებით ყოფილ სამეფო სახლების შთამომავლებს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, რაც საფუძველი გახდა მათი საჩივრებისა და გაუთავებელი თხოვნებისა.

ერთდროული თანხის მიღებისას ბატონიშვილები და მათი შთამომავალნიც ხელწერილებს სდებდნენ ფინანსთა სამინისტროში, რომ არასდროს მოითხოვდნენ დახმარებას, როგორც ყოფილი სამეფო სახლების წევრები და შთამომავალნი. ეს ხელწერილები ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ სამმართველოში უნდა ნაჩივნიდნენ, რის შემდეგაც გაიცემოდა მათთვის გამოყოფილი თანხა.

ერთდროული თანხის მიღების შემდეგ, ყოფილი სამეფო სახლების წევრები და მათი შთამომავლობაც უკვე კერძო პირებად იქცეოდნენ. მათ უფლება ეძლეოდათ შეტანილი ყოფილიყვენ იმ გუბერნიის თავად-აზნაურთა საგვარეულო წიგნში, რომელსაც მოისურვებდნენ. სიტყვა „საქართველოსა და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების წევრები“ კი მომავალში აღარ უნდა ხმარებულიყო, არც ოფიციალურ მიმონერაში და არც შინაურ საუბრებში. ამიერიდან ისინი აღარ იწოდებოდნენ ყოფილი სამეფო სახლების წევრებად და არც ყოფილი სამეფო სახლების წევრთა შთამომავლებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მათ დაკარგეს ტიტულიც „უგანათლებულესობა“. კომისიის თავმჯდომარის — გულკევიჩის განცხადებით, მათ არ გააჩნდათ სათანადო საბუთები ზემოხსენებული ტიტულის ტარებისა.

1865 წლიდან ზოგიერთმა ბატონიშვილმა და მათმა შთამომავალმა წარადგინა საჭირო საბუთები და კვლავ მიიღეს უფლება, ჰქონოდათ ტიტული „უგანათლებულესობა“.

მიხეილ გონიკაშვილი



თედო სახოკია

ისტორიული სადილი თავად ივანე მუხრან-ბატონის სასახლეში

ბათუმის მხარის შემოერთებისთანავე, 1878 წლის ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია. ქართველების მოწინავე წრემ განიზრახა, სადილი გაემართა ამ ძვირფასი სტუმრებისათვის და ამგვარად აღენიშნათ შეერთების ეს დაუფინყარი აქტი, ერთმანეთისათვის მიელოცათ ეს ბედნიერი დღე, გული გადაეშალათ ერთმანეთისთვის და მტკიცე და ურყევი საძირკველი ჩაეყარათ ძმობისა და საიმედო მომავლისთვის. ამ შეხვედრას მოთავებდა ჩვენი დაუფინყარი მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი.

„დაგვიახლოვდნენ ორას წლობით დაშორებული და გულიდან მოწყვეტილი ძმები, ბედმა ისევ შეგვაერთა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაზომ დიდი და განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო მაშინ სიხარული მთლად ქართველობისა, რომელსაც ამდენი ხნის ნატვრა, მაჰმადიან ქართველების შემოერთება, შეუსრულდა. როცა ამ ეპოქას მოვიგონებთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ღვანლი, რა ღვანლიც მიუძღვის ჩვენს წინაშე განსვენებულ გრიგოლ გურიელს, რომელიც დაახლოებული იყო მაჰმადიან ქართველებთან. ეს ჭემმარიტი მამულიშვილი კარგად იცნობდა მათ, იცოდა, რა კილოთი, რა ჰანგით ელაპარაკნა ამ ისტორიული აქტის შესახებ, აეხსნა და ჩაეგონებინა მათთვის მისი მნიშვნელობა და ჩვენ ძმებად დავესახეთ და არა მტრებად, როგორც მაჰმადის სარწმუნოება ასწავლიდათ“, — ვკითხულობთ თედო სახოკიას „მოგზაურობანში“. თუ როგორ მიიღეს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ, ამის თაობაზე ისევ თედო სახოკიას მოვუსმინოთ:

„სადილი გამართული იყო თავად ივანე მუხრან-ბატონის სახლში, კლუბის დიდ დარბაზში. მასპინძლები ორმოცდაათ კაცამდე იყო. მათს შორის იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრ. ორბელიანი, კონ. მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშ-

ვილი, დიმ. ჯორჯაძე, დიმ. ფურცელაძე, ლიტერატურის წარმომადგენელი, გარდა ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ამჟამად თბილისში არ იმყოფებოდა, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ივ. კერესელიძე, ნიკ. ავალიშვილი, „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი და სხვ. **სტუმრები ყოფილან 16 კაცი, მათ შორის გენერალ-მაიორი შირიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ამ ღირსსახსოვარ სადილზე სიტყვები წარმოთქვეს: პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, აჭარელთა დეპუტაციის მეთაურმა ჰუსეინ-ბენ ბეჟან-ოღლიმ, შემდეგ ალ. ზუბალაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა და აკ. წერეთელმა.**

შუა სუფრის დროს ბრ. ორბელიანი, სავსე ჭიქით ხელში, წამოდგა და წარმოსთქვა შემდეგი ჩინებული, გრძნობით სავსე სიტყვა:

„ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სიხარულს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედის შვილნი, შავი ბედის გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, — ანაზღეულად, მოულოდნელად შეჰხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

ჩვენცა, ეგრეთვე, საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეო-

ბის განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირათ ქვევნიც, ბატონებო, და გნატრობდით, როდის აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა!

და აი, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად... და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც, უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედასამშობლოს შვილნი“...

გრ. ორბელიანის შემდეგ წამოდგა უფროსი დეპუტაციისა ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და წმინდა ქართული ენით რამდენიმე სიტყვით წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლისა.

შემდეგ წამოდგა ალ. ზუბალაშვილი და თქვა:

„მონყალენო ხელმწიფენო! რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხს, საზოგადოებას, თუ ბოლოს ყოველივე კარგად გათავდება, დიად, კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა!

შემდგომ მრავალწლიანი ომისა, სისხლის ღვრისა და სიმძულვარისა ორ ძმა ხალხს შორის, რუსეთისა და ოსმალის საქართველოსა, მიუხდომელმა განგებამ ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი



ჩამომტერებული ხალხი ერთად შეყრილნი ვართ და ვდღესასწაულობთ განხეთქილების მოსპობას ჩვენს შორის, ჩვენს ძმურად შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა“ იმ კაის გულითა, რომელსაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიაც გეგულებით.

ძველად დიად მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონია საქართველოსა და ესლა ერთილა მაინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლებლოდ, ესე იგი კაი გული, რომელიც ყოველთვის აღიძვრის თავგანწირულებით ყოველ საზოგადო კეთილ საქმეზედ ძმურის სიყვარულისათვის.

ამგვარ თვისებისა გამო ჩვენი გულისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა ნებით თუ უნებურად, ხომ ჩვენი ხართ, და რა გავიცანით ერთმანეთი და რა კიდევ ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ, მაშინ უეჭველია, სულ ჩვენი იქნებით, ერთნი ვიქნებით და ერთად გავსწევთ უღელსა, საზოგადო წარმატებისათვის!..

მაგრამ ვის ჰმართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის? ბატონებო, სტაქნები დაამზადეთ! ეს ქება და პატივი, დიახ გვმართებს, რომ ვუძღვნათ ძლიერ რუსეთის ხალხსა! და ეს სადღეგრძელო იყოს პატივისცემისათვის რუსეთის ხალხისა!“

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დიმიტრი ყიფიანმა:

„დღევანდელისთანა დღე, დიდი ხანია, სანატრელი იყო ჩვენთვის.

ორიოდე სიტყვა მომასხენებინეთ ამის განსამარტებელი.

ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზე გვემონებინან: ერთის მხრით — გმირული მოქმედება, რომელსაც თვალწინ წარმოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთი სახელისა, როგორც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; მეორეს მხრით — გვემონებინან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხესიმაგრეები და ტაძრები შიგნით და ტაძრები გარეთ, დიდის სიმორიდან რომ მოგვითხრობენ ქართველობის ქველობასა და ღვთისმოყვარეობას, — ათონის მთიდან იერუსალიმამდე.

ბუნების გამოძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის-რა. დროთა ბრუნვაში სხვადასხვა შეტაკებანი მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირიცა. და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა, — ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ — იმათთვის, ჩვენ იმათი აღარა ვიცით-რა, იმათ — ჩვენი.

ვინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვმადლა ეს შეერ-

თება ამდენი ხნის დაშორებულებსა. როგორც თავადმა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოსთქვა, მაღლობას განუზომლად ვზრდით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა ასასწლეული ნატვრა, ვისურვოთ, თავად გრიგოლის სიტყვებისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილი კავშირისა უკუნისამდე! და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალითა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევჭხარით, შევსვათ სადღეგრძელო იმათი!“

ნადიმის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა აპაპი წერეთელმა:

„ბატონებო! ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა, მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდახან ამ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაჰკვრია; თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე!..


დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლებო და სიხარული უღრუბლო.

და რას უნდა მივანეროთ ეს? თუმცა თითოეული თქვენთაგანიც კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთავეითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ-ახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

დიად, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?

აქ მე გადაჭარბებულს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო **დედანა და პრობა!** ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარხსენებულს მამა-პაპებს.



დიმიტრი ყიფიანი:

ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა, — ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ — იმათთვის, ჩვენ იმათი აღარა ვიცით-რა, იმათ — ჩვენი. ვინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვმადლა ეს შეერ-



პირველი, ესე იგი, **იხა**, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავინწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი **ირობა**, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთგვარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად ქართველი ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთი შეხედვისთანავე იცნობდა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ ნავალთ, — საკმაოა, რომ აქვე, აი, სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე აროდეს არ ყოფილა მოშლილი!

დიაღ, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს.

აქ, ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრისა და მოყვრის პასუხის გება; ვისგა-

ნაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.

ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადაგებს და ვინც აგვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დავუმტკიცოთ სიყვარული...

თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭული...

მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გაუღოთ, და უბედობას ვენინააღმდეგოთ!

ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!

მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვანოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ!..

სიტყვები ნიჭიერი მგოსნისა, რომელმაც გამოსხატა დამსწრე საზოგადოების აზრი, დიდი აღტაცებით მოისმინა ყველამ. მთელი სადილის განმავლობაში ლაპარაკის საგანი ძვირფასი სტუმრები, ახალი შემოერთებული მხარე და მათნი მკვიდრნი იყვნენ. ქართველის გული სავსებით აძგე-

რებულ იქნა დიდის ხნითვე დაკარგული ძმების პოვნითა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ საინტერესოა, ვიპიტოსოთ, ისიც: ამ ახლად შემოერთებულ მხარეში ჩვენი ძმები ჩვენს შესახებ რასა ჰფიქრობდნენ, მივანდით ძმებად თუ არა? სამწუხაროდ, სარწმუნოების ფანატიზმს, ეს გრძნობა შეურყევეა. მაგრამ ეს წმინდა გრძნობა არასოდეს არ გამქრალა და მარად ღვივოდა აჭარელთა სულსა და გულში, როგორც უშრეტი ლამპარი. ჩვენი აზრით, მეტად საინტერესოა, გავიცნოთ წერილი აჭარის უკანასკნელი ბატონის, შირიფ-ბეგ სიმშიაშვილისა, დაბეჭდილი „დროებაში“ ერთი წლის შემდეგ იმ სამახსოვრო სადილისა, რომელზედაც ორივე შეერთებულმა ძმებმა ერთმანეთს დაახლოვება მიულოცეს. თავის წერილში, რომელსაც აქვე აღმოვსწერთ, თავისი „აღსარება გამოსთქვა ავტორმა და სახელადაც „ბუღწრე-ფელი აღსარება“ დაარქვა. აი, ეს წერილიცა:

„კაცის ცხოვრება თავიდან ბოლომდისინ დღე-ღამესავით მუდამ ცვლა-მოძრაობაში არის.

მე მინდა, ბატონებო, მოგახსენოთ ჩემი ცხოვრების უმთავრესი თავგადასავალი გულმართლობითა.

მე, ჩემის ყმანვილობის მიღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალოების ქვეშევრდომობაში ავახილე თვალნი: თავიდანვე ჩემი თანამემამულე, ჩემ მოძმეთ ტანჯვა, ჩავგრა, თავში ცემის მეტი არა მინახიარა! გაზვიადებული ლხინი, სიხარული რა არის კაცისთვის, უთუოდ მალე მოსძაგდება, მოსწყინდება, რომ ჭირი, ნაღველი, კვნესა და ოხვრა რა იყოს!..

თუმცა მე კერძოდ, ჩემის ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპეული თუ ჩემგან შექმნილი, რომლით შემედლო თავისუფლად ოსმალური გალაღებით და შვებით სიცოცხლე, მაგრამ ესე ყველა გარეული გამოჩენილობა თვალში სულ არაფრად არ მომდიოდა!

შერიფ-ბეგ სიმშიაშვილი:

**ჩაინის ბაღიაში შეიწყვდილი ვაჟისი
 აღგომაჩაოხას ჰგავდა დაახლოვებით ჩემი
 აღგომაჩაოხა. მუღამ ვსდილოზდი ჩემი თავის და
 ჩემთა მოქმეთა გაგოსნას, ჩემი ქვაყნითურთ,
 თურქეთის ხელიდან და რუს ხელგნიფის
 ქვაშავრდომობაში შესვლას, რომლის
 მუარკველობაშიაჲ იყვნენ დიდის ხნის მოღვა ჩემი
 უმრავლას საყვარელ მოქმეთა მხარე-ქვაყნები:
 იმერეთი, ქართლი, ქახეთი, მახხეთის მხარე ნაწილი
 და სხვ.**



პირად ძალა-ნებრივ სიმხიარულე-კმაყოფილებას ვიჩენდი მართო ოსმალების სათვალფერისოდ; მაგრამ შინაგან ტკბილი სული, გული მუდამუჟამს რალაცა გამოურკვეველი სიმნუხრის ბნელ-უკუნით მოცული მქონდა; ვცდილობდი მუდამ ცისმარე დღეს, ამ ჩემის დავარდნილ-დაცემულის მდგომარეობის როგორმე გაუმჯობესებას. მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიგვარე!

ან როგორ ავიცილებდი თავიდან ეგრეთ ბოროტ-მოვლინებათ, როდის ერთის მხრით ოსმალების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცევლობა და ჩემ ტკბილ სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატივალება დღითგან-დღეზე უფრო და უფრო მატულობდა?.. მეორე მხრით, ჩემსა საყვარელ მოძმე მესხ-კლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებვირება, ავგულობა, მეთავებობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, კვლა და მისთანა, კაცობრიობითის გზა-კვალითგან გარეთ გასვლა ლუპავდა ჩემს ქვეყანას! და დღე ერთ მზგეფსად, მზგეფსი თვედ, თვე ერთ წლად და წელიწადი ერთ მრთელ საუკუნოებად.

ჯერ ოც-და-ხუთის წლისა არ ვიყავი, რომ მრავალი საუკუნოების უწყალოდ დატანჯულ მსხვერპლად ვჭგრძნობდი მე ჩემს ნორჩს, ახლად გაშლილს ყვავილოვანს სიცოცხლესა! ამნაირი ჩემი ტანჯული სიცოცხლის წამლად, ვსთქვი, ქვეყანაში შესვლა, ცოლის შერთვა, დანვრილშვილება, ხან ერთზედ, ხან მეორეზედ გულის გადაყოლება, მოყვრებში კარგი დროების გატარება, ლხინი, სიხარული, ნავარდობა და მასთან კაცის გულის მასიამოვნე. მაგრამ ამ ყველა საშუალებამ რაც არ მომიმატა ჭირი ჭირზედ, თვარემ საამისოდ არა შეუმსუბუქებიათ-რა ჩემთვის. ერთი-სიტყვით, **რკინის ბალიაში შემწყვდელი ვაფხის მდგომარეობას ჰგავდა დაახლოვებით ჩემი მდგომარეობა. მუდამ ცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოქმეთა გამოხსნას, ჩემი ქვეყნითურთ, თურქეთის ხელიდან და რუს ხელმ-**

ნიფის ქვეშევრდომობაში შესვლას, რომლის მფარველობაშიც იყვნენ დიდის ხნის მოღვა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოქმეთა მხარე-ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი და სხვ., მაგრამ არ იქნა, არ მეღირსა!..

1853 წელს ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა, ვამბობდი: აგერ, ახლა გამოვალ თურქეთის ქვეშევრდომისაგან, ჩემიანებსა და ჩემს ქვეყანასაც გამოვიხსნი იმათ მტარვალობითგან და დიდებულ რუსეთს შევუერთდები. მაგრამ, საუბედუროდ, ყოველი საშუალები გამიწყდა, გზა-კვალი დამეხშო, ყოველგნით ფოლხი მომადგა და ხელი მომეცარა;.. განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენ ზვაშიადი მიანდო, პატიოსნად შეგინახოს და არ გაგთქვას? განა მოიძებნება მუდამ თავგრ. გურიელისთანა, უფ. მ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგი ძმა-კაცები, გაჭირვებული კაცის ხელის-ხელ-მენდილად და წყლული გულის სალბუნ-წამლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისგან განწირულმა კაცმა?..

რაც იქნა, იქნა, მადლობა ღმერთსა, იმათ სულ აღარ მოვიხსენიებ, ყველას დავინწყების უფსკრულში მივსცემ. ახლა მადლობა, ქება და დიდება ყოვლის მპყრობელს, ყოვლის შემძლებელს, ყოველად სახიერს, ერთს ღმერთსა, რომ ამ ყველა ჩემი გულ-სულის შემავინრობელმა ბნელ ღამის წამმა განვლო, გადაიარა. **1877 წლის ომიანობის მოღვა, ჩემდა საუკუნო სასინარულოდ მომაცა საშუალება ღვთის მაღლით მაღალ რუს ხელმინფის მფარველობის ქვეშ შესვლისა. მეცა და ჩემს თანამეგობრულეთაც ჩვენს მრავალრიცხვად ქმეთა თანა შეერთებითა. კურთხეული განგება, რომ ჰხედავდა მუდამ ჩემი შენუხეზული გულის კვნესა-ოხვრასა, ნუგაშით მომავო საგაბიერო, მით ღამის ბნელი უკუნე ბრწყინვალედ დღედ გადაამქცა, სიმწუნა-**

რე — სინარულად და ჭირი ლხინზედ შემეცვალა!..

მის მოღმა დაეუახლოვდი ქ. თბილისს, სხვა-და-სხვა ჩინებულ პირთა, თავადთა და აზნაურთა. თავიდან მოყოლებული უკანასკნელ ასავლის მქონე პირთამდის და მათთანა პატივცემულ ყოველ ნოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერაოდეს ვერ დავივინყებ ჩემ დღეში მე იმათ დიდ მოკეთობას, ნრფელ კაცთ მოყვარეობას და მიღებულებას!.. თუმცა ახლა დროებით ცოტა ხნით დავშორდი მე იმათ მწყალობელ მოკეთე მოყვრობას, მაგრამ სული-გული ისევ იმათთან მიბრუნავს იგინი არიან ჩემი გონების მარად მაბრწყენნი, სასოიმედნი და დაუვინყებლად ძვირფასნი სათხოვარნი...

ღმერთმან ჰქენას, ისე მალე მივხვდე მე ჩემის გულის საწადასა, მათთან ხლებასა, რომლის მსგავსი უბედნიერესი წამი არ შეიძლება იყოს ჩემთვის ამ ქვეყანაზედა... ღმერთმან ჰქენას, მეცა და ჩემთა თანამოძმეთაცა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდი კეთილშობილური მოქმედება; შევერთებულიყოთ მტკიცე ძმურად ჩვენს დიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვს ძმათათანა, სულითა და გულითა და ყოველ კეთილგანწყობილებითა ხელი-ხელს მიგვეცეს და გარდაგვედგას ის გამირული ნაბიჯები, რითაც განთქმული იყვნენ ქრისტიანობისა ჩვენნი წინაპარნი საქვეყნოდ, ეხაროსთ დიდის ხნის მოღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულ-გულსა და იშვებდნენ ჩვენის ღირს მემკვიდრეობითა, რომლით წინ წავა ქვეყნის მაშენებლობა. განახლდებიან ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერება, ზნე-კეთილობით, ერთიათასად და ათიათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მყენა, გამრავლება, ყოველი საზრდო გაგვიეფდება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს ღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთმოყვარეობითა“...

უარიფ-ბაბ სიმუხიაშვილი


ქ. არტაანი, 29 თბათვეს (1879 წ.)



ვლადიმერ სოლოგუბი:

რუსული მწერლობა უნდა ჩაუკვირდეს ქართველი ხალხის ცხოვრებას და იქიდან ამოკრიბოს ჭეშმარიტი შემოქმედების მასალა

ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ რუს პოეტს, გრაფ ვლადიმერ სოლოგუბს, ავადმყოფობა მოეძალა და ექიმებმაც საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს, მაგრამ ეგზოტიკური კავკასიის ნახვის სურვილმა იმძლავრა და 1850 წელს თბილისში ჩამოვიდა. თავისი ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება პოეტმა ასე დაასაბუთა: „**მე მიწოდდა, შამახედა სხვათა მონათსრობითა და აღწერილობით ზღაპრული მხარისთვის...**“



საქართველოში ვლადიმერ სოლოგუბის მოგზაურობის პირველი ნახევარი ხიფათიანი გამოდგა. შტორმების გამო გემმა, რომელზედაც იგი იმყოფებოდა, თავი სოხუმის ნავსადგურს შეაფარა. აქედან კი პოეტი თბილისისაკენ მიმავალ გზას დაადგა და საქართველოს ბუნებით მოხიბლულმა განაცხადა: **„არასდროს არ მინახავს ასეთი განსაცვიფრებელი და დიდებული რელიგიური სურათი. საოცრად მოკრძალებული და საზეიმო გრძნობა მეუფლება ამ ზღაპრული ადგილების ხილვისას. კავკასიის ბუნებასთან საოცრად შეხამებული მღელვარე, მედიდური ზღვა დამატყვევებელია“.**

დასავლეთ საქართველოს ბუნებას, მართლაცდა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია გრაფზე. **იგი თურმე საათობით ჩრდობოდა მთებთან, ტაძრებთან და ქედს იხრიდა „ქართული საოცრების“ წინაშე.** მოგვიანებით დანერს: **„თუკი მე ისევ მომიწევს ამ საოცარ მხარეში ჩამოსვლა, მაშინ აქედან წასვლას არ ვიჩქარებ, მე ვეცდები, დავათვალიერო ბედის, ილორის... სხვა ტაძრები... ვიხილო მისი ლამაზი მთები, ხეობა-**

ბი... მაშინ მე დავწერ მგზავრობის ჩანაწერებს კი არა, არამედ დავხატავ სურათს მთელი ქვეყნისას, რომლის მსგავსსაც ევროპაში ვერ შეხვდებით“.

ვლადიმერ სოლოგუბი თბილისში ჩამოსვლისთანავე მეფისნაცვამა დანიშნა მშენებარე თეატრის დირექტორად სასცენო-სარეპერტუარო დარგში. პარალელურად პოეტი თანამშრომლობს გაზეთ „კავკაზში“. თბილისთან შეხვედრამ სტუმარი განცვიფრებაში მოიყვანა. მან 1851 წელს გაზეთ „კავკაზში“ დასტამბა წერილი, რომელშიაც დიდი სიტოპოთი მიმოიხილა საქართველოს დედაქალაქის წინსვლა: **„...ყველგან უშიშროება ინერგება, ძლიერდება ვაჭრობა, სწარმოებს ქალაქის კეთილმონყოლა... ჯერ მარტო თბილისი დღითი დღე იცვლება: მტკვრის ციცაბო ნაპირზე, პატარა ბუდეების მსგავსად ამაყად დაკიდებულ სახლებს შორის სწრაფად მრავლდება ლამაზი შენობები, შენდება ეკლესიები, აქაფებულ მდინარეზე ქვის ხიდები იგება. სწორდება მოედნები, ჩნდება ახალი ქუჩები და მთელი უბნები. ყოველ დღეს მოაქვს ახალი წარმატება, ახალი აზრი, ახალი განვითარება, ახალი სიხარული...“**

და აი, დადგა ნანატრი დღეც: იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი სკუდიერის, პროექტით აშენებული და რუსი მხატვრის, გრიგოლ გაგარინის, ყალმით მოხატული თბილისის ახალი თეატრი, რომელსაც საფუძველი 1847 წლის 15 აპრილს ჩაეყარა, 1851 წლის 12 აპრილს მწყობრში ჩადა და მოთმინებადაკარგულ მაყურებელს ფართოდ გაუღო კარი. თეატრის სიდიადით, სილალითა და მოხატულობით მოხიბლულმა ვლადიმერ სოლოგუბმა ვრცელი წერილი დაბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ (1841 წელი. №29). იგი წერდა: **„...მკედარი კალამი უძღურია გამოხატოს ახალი დარბაზის მთელი წარმტაცობა, სიკეკლუცე და სიმშვენიერე. იგი მიაგავს სტორისა და მორტიმერის მიერ აღმოსავლური სურათების მიხედვით სხვადასხვა მინანქრისაგან გაკეთებულ ვეებერთელა სამაჯურს... მე მოგიყვებით ყოველივე**



ეს ნაფიცი შემფასებლის ენით, რათა დაახლოებით წარმოდგენა მაინც შემექმნა თქვენთვის თავად გაგარინის ახალ წარმატებაზე, მაგრამ, აპატიეთ რუსული ენის სიღარიბეს, მე ვერ შევძლებ მთელ ქმნილებათა და მისი წარმტაცი გრაციით გამოწვეულ საერთო შთაბეჭდილებების გადმოცემას“.

თბილისმა თავისი განუმეორებელი კოლორიტით დაატყვევა ევროპამოვლილი პოეტი, თუმცა არც მომთხოვნ თბილისელ მაყურებელთან შეხვედრა იყო ნაკლებად შთაბეჭდავი, — მათმა ერუდიციამ, მოთმინებამ და ღირსეულის დაფასების გამონახვის უნარმა გააოცა იგი და ხმამაღლა ათქმევინა, რომ რიგი მომღერლების დაოსტატებაში თბილისელმა მაყურებელმაც მიიღო მონაწილეობაო. იგი წერდა: „...ძლიერი, მაგრამ ცოტა არ იყოს უხეში ხმა აქვს. გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი თბილისში დაოსტატდა“.

ვლადიმერ სოლოგუბი გულით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და თბილისის თეატრის საქმეც წინ წავიდა. მას ყურადღების გარეშე არ დარჩენია საქართველოს დედაქალაქის სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობა: მუზეუმისა, სამეცნიერო საზოგადოებისა, გაზეთების რედაქციებისა. ფაქტობრივად, იგი „კავკასიის კულტურის მინისტრი“ გახდა. ვ. სოლოგუბს დიდი დამსახურება მიუძღვის, აგრეთვე, ქართული თეატრის წინსვლაში, იმდენად უყვარდა ქართველი ერი, რომ ქალიშვილი საქართვე-

ТАРАНТАСЪ.

ПУТЕВЫЯ ВПЕЧАТЛЕНІЯ.

СЪИМЕНІЕ

ГРАФА В. А. СОЛЛОГУБА.



САНКТПЕТЕРБУРГЪ.

ИЗДАНІЕ ВОСЬМИНАДЦАТИ ЛѢТЪ ПЕРВАЯ.

1845.

ლოში გაათხოვა ქართველ კაცზე. ვლადიმერ სოლოგუბმა თავისი შემოქმედების ნაწილი ქართულ თემას მიუძღვნა. მის კალამს ეკუთვნის პიესა „ღამე ქორწილის წინ“, ლექსები — „გაზაფხული“, „ტფილისის ღამე“, „კავკასიის სიმღერა“, „ალავერდი“... ეს უკანასკნელი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას ხშირად მღეროდნენ კიდეც:

Аллаверды —

„Господь с тобою“...

Аллаверды! Аллаверды!

ხანმოკლე გამოდგა თბილისში ვლადიმერ სოლოგუბის მოღვაწეობა. 1854 წელს მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო მის ადგილზე წარმოგზავნილმა ნ. მურავიოვმა ზურგი აქცია თბილისის კულტურულ ცხოვრებას. ერთხელ, ვ. სოლოგუბის თხოვნით, ნ. მურავიოვი თეატრს ეწვია. მან მისვლისთანავე იკითხა:

— თქვენ ბრძანდებით „ტარან-

ტასის“ ავტორი?

— დიახ, — იყო პასუხი.

— მაშინ, შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ თქვენს ტარანტასში და გამგზავროთ აქედან.

სხვა გზა არ იყო, სოლოგუბმა დატოვა თბილისი.


რუსი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, გრაფი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი დაიბადა 1813 წლის 8 აგვისტოს პეტერბურგში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1837 წელს. თავის პროზაულ ნაწარმოებებში მწერალი მაღალი საზოგადოების ფუქსავატურ ცხოვრებაზე ამახვილებდა ყურადღებას. მისი ვოდევილები ხშირად იდგმებოდა რუსეთის თეატრებში, ხოლო მოთხრობა „ტარანტასმა“, რომელიც 1845 წელს დაისტამბა, დიდი პოპულარობა მოუტანა ავტორს. მის კალამს ეკუთვნის მოგონებები ა. პუშკინზე, მ. ლერმონტოვზე, ნ. გოგოლზე... იბეჭდებოდა ჟურნალებში — „სოვრემენიკი“, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“.

ვლადიმერ სოლოგუბი საქართველოში მეორედ 1871 წელს ჩამოვიდა. თბილისიდან გამგზავრების წინ ყოფილმა „ვორონცოველებმა“ მეგობრული ვახშამი გაუმართეს. გრიგოლ ორბელიანმა პოეტის სადღეგრძელო შესვა. ხოლო სამადლობელ სიტყვაში სტუმარმა თქვა: „...არა, მეგობრებო, აქ მე არაფერი გამიკეთებია. თქვენ ჩემზე ბედნიერი ხართ, თქვენ მოღვაწეობდით მხარის კეთილდღეობისათვის... უნდა ვთქვა, რომ მე კავკასია ყოველთვის თავდავინწყებით მიყვარდა, აქაურებიც ასეთივე მეგობრობით მპასუხობდნენ და მე მას ვუფრთხილდები...“

ვლადიმერ სოლოგუბი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქართველ ხალხს. ერთ-ერთ კერძო წერილში იგი წერდა: „რუსული მწერლობა უნდა ჩაუკვირდეს ქართველი ხალხის ცხოვრებას და იქიდან ამოკრიბოს ჭეშმარიტი შემოქმედების მასალა...“

ვლადიმერ სოლოგუბი გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, 1882 წლის 5 ივნისს, ჰამბურგში.

მამია ჩერბოლეიშვილი



„თუკი მე ისევ მოვიწვევს ამ საოცარ მხარაუნი ჩამოსვლა, მაშინ აქედან წასვლას არ ვიჩქარებ, მე ვეხდები, დავათვალიერებ გედიის, ილორის... სხვა ტაძრები... ვიხილო მისი ლაგაზი მთები, ხეობები... მაშინ მე დავწერ გზაგარკობის ჩანაწერებს კი არა, არამედ დავხატავ სურათს მთელი ქვეყნისას, რომლის მსგავსსაც ეპროვანი ვერ შეხვდებით“.



კავკასიის მუზეუმი

კავკასიური მუზეუმი მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1852-1919 წლებში. კავკასიის მუზეუმი, როგორც კომპლექსური სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან (რგსკგ) მწერალ ვლადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქართველი მოღვაწეები (ადოლფ ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გ. ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვ.). 1853 წლის დამდეგს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აირჩია კავკასიის მუზეუმის დირექცია (დირექციის თავმჯდომარე ა. ნიკოლაი, ერთ-ერთი დირექტორი ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი ა. ბერჟე).

კავკასიის მუზეუმს ჰქონდა 3 კაბინეტი: ეთნოგრაფიული, ისტორიული და საბუნებისმეტყველო. ეთნოგრაფიული კაბინეტის მონყობაში დიდი წვლილი შეიტანა რაფიელ ერისთავმა (მოანსრიგა ეთნოგრაფიული მასალა, დაიწყო ეთნოგრაფიული კატალოგის შედგენა). კავკასიის მუზეუმისთვის გამოყოფილი სახსრების სიმცირის გამო სამუზეუმო კოლექცია ივსებოდა უმთავრესად შენირულებათა გზით. არსებობის პირველ წელს კავკასიის მუზეუმს ჰქონდა მცირე კოლექცია (105 საგანი — ტანსაცმელი, ავეჯი, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მუსიკალური საკრავები, ძვ. ფულები, მემორიალური ნივთები, ეგვიპტის მუმია, მინერალები და სხვ.). შექმნილ ექსპონატებს მეცნიერები სწავლობდნენ.

1855 წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი გამოფენა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში სამუზეუმო საქმის საკითხში იმხანად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი: ერთნი თვლიდნენ, რომ საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა (ამ თვალსაზრისს იცავდა რ. ერისთავი), სხვები მიიჩნევდნენ, რომ კავკასიის მუზეუმი უნდა დახმარებოდა დასავლეთის მეცნიერებს კავკასიის გაცნობაში და ექსპონატებით შეევსო ევროპის მუზეუმების ფონდები. თანდათან გაიმარჯვა მე-2 თვალსაზრისმა (მისი მთავარი გა-

მომხატველი იყო ბარტოლომეი, რომელიც სოლოგუბის წასვლის შემდეგ, 1855 წლიდან, კავკასიის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა). კავკასიის მუზეუმის დირექცია ჯეროვანი ყურადღებით აღარ ეკიდებოდა ახალი ექსპონატების შექმნას. მაგ., 1857 წელს მან უარი თქვა, შეეძინა მიხეილ ბარათაშვილის ნუმისმატიკური კოლექცია, რომელიც შემდეგ ბერლინის მუზეუმში მოხვდა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გააუქმა კავკასიის მუზეუმის დირექცია და, არსებითად, მუზეუმის ხელმძღვანელობა ი. ბარტოლომეის დაეკისრა. 1864 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა.

კავკასიის მუზეუმი აღდგენილი იქნა 1865 წელს გუსტავ რადეს ინიციატივით. მუზეუმს გადაეცა ადრინდელი კავკასიის მუზეუმის კოლექციები (173 ისტორიულ-ეთნოგრაფიული და 3 ათასამდე გეოლოგიური და მინერალოგიური ექსპონატი). ამას შეემატა რადეს მიერ 1864-1866, მოგზაურობათა დროს, მოპოვებული ექსპონატები. კავკასიის მუზეუმმა გაცხოველებული ურთიერთობა დაამყარა უცხოეთის მუზეუმსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან. 1867 წლის 2 ივლისს კავკასიის მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა. ჰქონდა 4 განყოფილება: ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიის, შემდეგ დაემატა მე-5 „ორნამენტებისა და სიძველეთა“ (მოგვიანებით არქეოლოგიის) განყოფი-

ლება. 1865-1867 წლებში შენაძენთა შორის აღსანიშნავია პასტორ ჰოპენაკერის კავკასიის მცენარეთა დიდი ჰერბარიუმი, ბუნებისმეტყველ სტევენის ქართული მუხების კოლექცია, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი თლილი ქვა ვესპასიანეს წარწერით. 1868 წელს შეემატა ბაიერნის კოლექცია. 1869 წელს მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. 1861 წელს გაიხსნა ახალი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიის ექსპონატები, ქართულ მასალასთან ერთად — კავკასიელ და სხვა მეზობელ ხალხთა მასალაც. გამოფენის გახსნა დაემთხვა თბილისში მოწვეულ მე-5 საერთაშორისო არქეოლოგიური კონგრესის გახსნას და კავკასიის მუზეუმს გადაეცა 1879 წელს — 81 არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა; ხოლო 1889 წელს თბილისში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის დახურვის შემდეგ — იქ გამოფენილი შინამრეწველობის საგნები. 80-იან წლებში შეიძინეს ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვის კოლექციის ნაწილი. რამდენიმეჯერ დაიბეჭდა კავკასიის მუზეუმის გამკვლევარი, გამოიცა კატალოგის „Museum Caucasicum“ 6 ტომი, პერიოდულად ქვეყნდებოდა მუზეუმის „მოამბე“. XX საუკუნის დამდეგის არქეოლოგიურ შენაძენთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ახალგორის განძი და ურარტული ლურსმულ-წარწერებიანი ქვების დიდი კოლექცია. 1911 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა შენობის ავარიულობის მიზეზით და იქვე დაიწყო ახალი შენობის აგება, მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო მშენებლობა შეჩერდა.

1919 წლის აგვისტოში დაარსდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო კავკასიის მუზეუმის ფონდები და ქონება.



ახალი გეოპოლიტიკური სივრცე, როგორც მარადიულ მიზნაღვე მიზნისაკენ

ანალიტიკოსმა ზურაბ ხონელიძემ ქართულ საზოგადოებრიობას და საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზა პროექტი, რომლის ძირითადი იდეაა: „საქართველომ რეგიონში და რეგიონმა ევრაზიულ სივრცეში უნდა იტვირთოს ფუნქცია და დაიმკვიდროს ღირსეული, ყველასთვის მისაღები ადგილი“.

საერთაშორისო ფუნქციიდან ამოვარდნილი საქართველოს როლის ახლებურ გააზრებასა და ქვეყნისთვის დამატებითი ფუნქციის შექმნის აუცილებლობაში ხედავს ავტორი საქართველოს მომავალს თანამედროვე სამყაროში.

ზურაბ ხონელიძე სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროში — მინისტრის მოადგილედ, საქართველოს უზენაეს საბჭოში — განათლების დარგის კურატორად, საქართველოს პროფსაბჭოში — დამოუკიდებელი საქართველოს პროფკავშირების პირველ თავჯდომარედ. დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტში — პოლიტიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორად, დსთ-ში — საქართველოს მუდმივ და სრულუფლებიან წარმომადგენლად, დსთ-სა და ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად ვიცეპრემიერის სტატუსით. მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლესი დიპლომატიური რანგი, არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების წევრი (აკადემიკოსი).

მისი ნაშრომი — „სამხრეთ კავკასია — გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი)“ — ჯერ კიდევ 1993 წელს შეიქმნა და დააპატენტა „საქპატენტმა“ (მონუმბა 3830).

პრობლემის სიღრმისეული შესწავლის შედეგად ზურაბ ხონელიძე ასკვნის, რომ საქართველოს

სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეის მატერიალიზაციის ერთადერთი რეალური გზა შეიძლება იყოს თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს აქტიური სუბიექტის როლის დამკვიდრებით საკუთარი საარსებო სივრცის გაფართოება, სხვა ერთნაირ მშვიდობიანი თანაარსებობის, სწორი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების, გლობალურ პოლიტიკაში ძირითადი რეგულატორის დამატებითი ფუნქციის შექმნისა და მსოფლიოს მომწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვის გზით საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გეოპოლიტიკური რეგიონული სივრცით ინტეგრირება.

მხოლოდ ერთიანი გეოპოლიტიკური, ანუ რეგიონული სივრცით — სამხრეთ კავკასიით, რომელშიც მათგან იზრდებიან ცენტრის პრიორიტეტული როლი ოდითგანვე საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო მისი (სამხრეთ კავკასიის) მომავალი მნიშვნელოვანწილად აშშ-ისა და რუსეთის, ასევე, ევროკავშირის, თურქეთის, ირანის კერძო და საერთო რეგიონულ ინტერესებზე იქნება დამოკიდებული.

ავტორი დეტალურად და არგუმენტირებულად მიმოიხილავს აღნიშნული პროექტის ყველა შემადგენელს და მიიჩნევს, რომ



„სამხრეთ კავკასია, უპირველესად, მისი სივრცე, მისი შემადგენელი და შემკრები ქვეყანა — საქართველო, როგორც ორი დიდი სამყაროს, ევროპისა და აზიის, დასავლური და აღმოსავლური ქვეყნების ცივილიზაციათა და კულტურათა შესაყარი, პოლიკულტურული ფენომენი, ევრაზიულ სივრცეში, მეტიც, მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი (...), შესაძლებელია იქცეს (მკითხველებს ვთხოვ, მიაქციონ ყურადღება. — ა. ს.):

აშშ-სა და რუსეთს შორის არადაპირისპირების პლაცდარმად (როგორც ამას საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ახერხებდა. — ა. ს.), არამედ ურთიერთობათა დამაკავშირებელ, თვისობრივად ახალ საკონტაქტო სივრცედ“.

ახალი შვეიცარია? არა! უფრო დიდი, ვიდრე ევროპული მოდელი, რომელიც უპასუხებს გლობალიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს, გამოწვევებს და ჩაენერება მსოფლიოს ახალ არქიტექტურაში.

სწორედ საქართველოს ხედავს



ავტორი თანამშრომლობისა და კოორდინაციის, ცივილიზაციათა დამაკავშირებელი, ინტეგრაციული მიმზიდველობის მქონე რეგიონული ცენტრის — „მზიდი კონსტრუქციის“ როლში.

ანალიტიკოსი აზუსტებს, რომ ახალი, თანამედროვე რეგიონული მოდელის სახით ამ სივრცეში წარმოდგენილი იქნება „ძირითადად მაინც ქრისტიანული და ისლამური რელიგიების მატარებელი ქვეყნები, რომელთათვის იუდაიზმის ცხოვრების წესი არ იქნება მიუღებელი“.

და, რაც მთავარია: „მსოფლიოში იდეალური გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და სინერჯის მაღალი ეფექტის მსგავსი მოცემულობით მხოლოდ ერთადერთი რეგიონული სივრცეა და იგი სამხრეთ კავკასიაა“. რეალურად, სამხრეთ კავკასია არ არის სამი ქვეყნის — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთის — მხოლოდ მათემატიკური ჯამი, იგი, მისი დღემდე გამოუყენებელი „მთვლემარე რესურსიდან“ გამომდინარე, არის თვისობრიობა!

ქართული მარადიული იდეის — თავისუფლების დეკლარირებაში ვერ უზრუნველყო ქვეყნის თავისუფლება, მისი უსაფრთხოება. ვერ შედგა ახალი ქართული სახელმწიფო. ასეთ დასკვნამდე მიდის ზურაბ ხონელიძე.

— მაშასადამე, ეს გზა გასავლელი გვაქვს. როგორ გესახებათ თავისუფლების ტაძრამდე მიმავალი ეს გზა, ბატონო ზურაბ? — შეკითხვა პროექტის ავტორს.

— უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლება, საზოგადოება ქართული, საპატრიარქო უნდა შეთანხმდეს, რომ არ შევცვლით მიზანს. გამოვიმუშავეთ ერთიან სტრატეგიას, შევქმნით კონცეფციას, გავინანილებთ პასუხისმგებლობას (კომპეტენციის ფარგლებში), ერთიანად ვივლით საერთო მიზნის რეალიზაციისკენ.

— ამ გზაზე კი ორი ზესახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგობა, გავლენის სფეროების მოპოვების პრეტენზია აღმართული...

— პირდაპირ ვთქვათ, ამისა



და რუსეთის ფედერაციის ინტერესები.

მოდით, გავანალიზოთ არსებული ვითარება: არის კი საქარველო მათი ინტერესის საგანი? რა თქმა უნდა, არის. რითია ეს განპირობებული? ჩვენი სივრცით. მაგრამ მხოლოდ ქართული სივრცე არ არის მათთვის საინტერესო. სტრატეგიული თვალსაზრისით, მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასია (ზოგადად კავკასია), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აზიასა და ევროპას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ისლამსა და ქრისტიანობას და ა. შ. რეალურად სამხრეთ კავკასია არის გასაღები, რომელიც კეტავს და აღებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მენტალური თანამშრომლობის კარს. ამ გასაღების დატვირთვა და როლი იმდენად წონადი და მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია დღეს მას რომელიმე ცალკე აღებული ზესახელმწიფო ფლობდეს. აქ დაცული უნდა იყოს, უპირველესად, ადგილობრივი ქვეყნებისა და ხალხების, ასევე, მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოების ინტერესები. მხარეების მისწრაფებებისა და მო-

თხოვნების დაბალანსება კი არის მშვიდობიანი, აყვავებული და პროგრესირებადი რეგიონის საფუძველი.

— მაშ, რა ვქნათ?

— ამ კითხვას მოკლედ ვერ ვუპასუხებთ. რეალურად, დღეს სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა რესურსებისთვის, რაც ინვესტს სხვადასხვა სახის, მათ შორის, სივრცობრივ ექსპანსიასა და ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებას. არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს, ამიტომ პირდაპირ გეტყვით: მსოფლიოს მართავს ერთი ფაქტორი — ინტერესი. ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს ერთი ქვეყნის ინტერესებში ჩართვა რომელიმე სასაწყლოდ. რადგან ეს ნიშნავს მეორე ქვეყნის ინტერესებთან დაპირისპირებას.

არც ის შეიძლება, რომ რომელიმე ერთის ხარჯზე ჩამოვყალიბდეთ, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო.

სამწუხაროდ, სწორედ ასე ვიქცევით. ვცდილობთ, შევნიღბოთ, რეალურად ვეძებთ ძლიერ მფარველს. მუდმივი უბედურებაა ეს ჩვენი (ასე იყო ისტორიულად), ვეძებთ პატრონს, პატრონს და არა პარტნიორს.

მფარველი და პატრონი იდენტური მცნებებია.



თუ ვეძებთ პატრონს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მზად ვართ მონური ცხოვრებისთვის.

გვინდა ეს? არა.

საქართველოს მიზანი არ შეიძლება იყოს რუსულ-ამერიკული ინტერესების თანხვედრა, მთავარია, რომ ეს ინტერესები იყოს შესაბამისი ქართული სახელმწიფო ინტერესებისა. ხომ მეთანხმებით?

— გეთანხმებით!

— მსგავსი თანხვედრა არ მოხდება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველო ამისთვის საკმარისი სივრცე არ არის. გამოსავალს კი ვხედავ მხოლოდ ჩვენი სამოქმედო არეალის, ანუ სივრცის გაფართოებაში (არ ვგულისხმობ ტერიტორიების მიერთებას). სხვა ერებთან მშვიდობიანი თანაარსებობით, გლობალურ პოლიტიკაში ძირითადი რეგულატორის — დამატებითი ინტერესისა და მსოფლიოს მომწესრიგებელ ძალთა წონასწორობის დაცვის გზით უნდა დაინწყოს სივრცის ფრომირებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ერთიანი სამხრეთ კავკასიური სივრცით ინტეგრირების პროცესი.

— ანუ თქვენ ბრძანებთ, რომ სივრცეა ჩვენი ყველაზე დიდი განზომილება?

— დიახ. ყველაზე დიდი განზომილება და უპირატესობა, რომელიც აქვს საქართველოს, არის სივრცითი განზომილება. ვგულისხმობ სწორედ სამხრეთ კავკასიურ სივრცეს.

ქვეყნის ბედი დამოკიდებულია გეოპოლიტიკაზე. გეოპოლიტიკა ეს არის დრო და სივრცე. სამწუხაროდ, არსებულ დროში სივრცის უპირატესობას ვერ ვხედავთ, ან ვხედავთ, მაგრამ ვერ ვაძლევთ შესაბამის დატვირთვას, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესის საზიანოდ და სრულფასოვნად ვერ მუშაობს მსოფლიო დომინანტი ქვეყნების ინტერესების სარეალიზაციოდ.

— აქ ლოგიკურად შემოდის საგარეო ორიენტირის საკითხი.

— დიახ, მაგრამ ჩვენ არასწორად გვესმის საგარეო ორიენტირი, რომელსაც არ განსაზღვრავს მხოლოდ ქვეყნის სურვილი. რო-

მელიმე სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო ორიენტირის გამოცხადება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუ ამ ორიენტირმა „არ იმუშავა“, არ მოხდა მისი აღიარება.

— ვინ უნდა აღიაროს? ნებისმიერი პატრიოტი გეტყვით, რომ ეს ჩვენი საქმეა და სხვა არავისი! ჩვენი არჩევანია!

— მოდით, ემოციების გარეშე გავაანალიზოთ ეს საკითხი. საგარეო ორიენტირს, როგორც ვთქვით, არ განსაზღვრავს მხოლოდ ქვეყნის სურვილი, მას ქმნის ისტორიული აუცილებლობა. აუცილებლობა არ არის აბსტრაქცია. საქართველოსთვის დღეს ამ აუცილებლობას ქმნის აშშ და რუსეთი. ჩვენს შემთხვევაში ორიენტირის აღიარება ნიშნავს, რომ იგი (აღიარება) უნდა გახდეს ამ ორი სუბიექტის (ამერიკისა და რუსეთის) მეთანხმების საგანი. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში სისტემა, ანუ უსაფრთხოების „ქოლგა“ არ იმუშავებს.

მაგრამ დღეს არც მხოლოდ საქართველოს, არც ცალკე აზერბაიჯანისა და სომხეთის სივრცე საკმარისი არ არის ამგვარი მეთანხმების მისაღწევად ამერიკისა და რუსეთს შორის.

ამოცანას, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, გადაჭრის ერთიანი სივრცის ახალი მოცემულობა. როცა ვსაუბრობთ ერთიანი სივრცის ერთიან საგარეო ორიენტირზე, ვგულისხმობთ, რომ აშშ-მა და რუსეთმა, ევროკავშირთან და სხვა დაინტერესებულ ძალებთან ერთად განსაზღვრონ ერთიანი სივრცის საგარეო ორიენტირი და ჩამოაყალიბონ თანაარსებობის პრინციპები.

— უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველებისთვის, ეგებ, განმარტოთ, რა შედეგი შეიძლება დადგეს?

— საქართველოს გამოუყენებელი რესურსის ამოქმედება, რომელიც ინტეგრაციული პროცესების სიბრტყეზე დევს, ჩვენს ქვეყანასა და სამხრეთ კავკასიას საშუალებას მისცემს, იქცეს აშშ-სა და რუსეთს შორის არა დაპირის-

პირების პლაცდარმად, არამედ ურთიერთობების დამაკავშირებელ თვისობრივად ახალ საკონტაქტო სივრცედ;

— **საერთო ფუძიდან აღმოცენებული სამი უძველესი რელიგიის — ქრისტიანობას, იუდაიზმსა და ისლამს შორის ტოლერანტური ურთიერთდამოკიდებულების დაცვის, აუცილებელი დიალოგის წარმართვის უნიკალურ ადგილად;**

— ცივილიზაციათა შორის დამაკავშირებელ ინტეგრაციული მიმზიდველობის მქონე რეგიონულ ცენტრად, მსოფლიოს ახალ „სამშვიდობო ზონად“ (სივრცედ).

— მაგრამ ეს ჩვენი მიზანი კი არ არის, არამედ მიზნისკენ მიმავალი გზაა.

— რა თქმა უნდა.

მიზანი, როგორც მესმის, არის ჩვენი ქვეყნის მთლიანობა და გარანტირებული უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფა ისე, რომ არ დავეკარგოთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტურობა და შევინარჩუნოთ ეროვნული ფენომენის თვითრეგულირების უნარი.

როგორი გვესახება ეს მომავალი, დიდი თემაა და აქ ვერ განვიხილავთ.

— სამხრეთ კავკასიის ერთიან სივრცეზე ვლადპარაკობთ და აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც დღეისთვის დაკარგული გვაქვს...

— აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი, ასევე, ყარაბაღი, ერთიანი სამხრეთ კავკასიური სივრცის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილებია...

ჩვენი პრობლემა დაინყო მაშინ, როცა ქართველებს აფხაზობა წაართვეს, ანუ განცდა, რომელიც ჰქონდათ აფხაზსა და ქართველს. ჩვენი გაუცხოება ხელოვნურია და შედეგია გარე და შიდა დესტრუქციული ძალების ერთობლივი მოქმედების. საშინაო პრობლემა საგარეო პრობლემად ვაქციეთ, მისი ფრომალური ინტერნაციონალიზაციით მოვახდინეთ ქართული ისტორიული მიწა-წყლის საქართველოს კონტექსტიდან ამოვარდნა, რომელმაც, თავის



მხრივ, საქართველოს სამხრეთ კავკასიის, ხოლო სამხრეთ კავკასიის ერთიანი კავკასიის კონტექსტიდან ამოვარდნა გამოიწვია. დღეს ჩვენ საყრდენი არსად გვაქვს. ამდენად, გზააბნეულებმა ნინ კი არ უნდა ვიაროთ, არამედ – უკან. უნდა მივბრუნდეთ რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში, თუ გვინდა, რომ ხვალ-ზეგ დავსხდეთ აფხაზებთან, ოსებთან და დავინყოთ საუბარი იმაზე, თუ როგორი სახელმწიფო შევქმნათ, ერთიან ქვეყანაში რომ ვიცხოვროთ.

— ე. ი. ყოფილმა ხელისუფლებამ პრაქტიკულად რომ განწყვიტა ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, შეკრა მანკიერი წრე, საიდანაც გამოსასვლელად უკან სვლა დაგვჭირდება?

— დიას. უკან სვლა, მაგრამ არა ჩარჩენა წარსულში. სააკაშვილმა არამხოლოდ შეკრა მანკიერი წრე, არამედ აიძულა(!) რუსეთის ფედერაცია, დაჩქარებული წესით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ელიარებინა აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ორი ყოფილი ავტონომია, რომელთაც იგი ომამდე და დსთ-დან საქართველოს უპირობო გამოსვლის განაცხადამდე თხუთმეტი წელი არც განიხილავდა.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთისა და ამერიკის ინტერესები უნებურად ერთმანეთს დაემთხვა? რუსეთმა გააკეთა ის, რაც გააკეთა, ამერიკამ მამასისხლად გადაჰკიდა საქართველო რუსეთს?

— არა. რეალობა სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. შესწავლა, სხვა თუ არაფერი, ყოფილ ხელისუფლებას და მის საქმიანობას დაარქმევს სახელს, რომელიც დაიმსახურა. მთავარია, არ დავუვლოდოთ დანყებული პროცესის შემდგომ გაგრძელებას. ნაბიჯები, რომლებიც შესაძლებელს გახდის და, როგორც მინიმუმ, ამ ეტაპზე გადაავადებს დროებით დაკარგული აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციის სუბიექტებად გადაქცევას.

— კი, მაგრამ, როგორ?

— მივიპყროთ საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით, აშშ-ისა და იმავე რუსეთის ყურადღება, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციისა“ და 2008 წლის ქართულ-რუსული მოკლევადიანი ომისაგან რადიკალურად განსხვავებული იქნება. ვგულისხმობ ალნიშნულ გლობალურ პროექტს, რომელიც ფიქრის აუცილებლობას გააჩენს,

ფიქრი — დიალოგის მოთხოვნას, დიალოგი კი დაგვსვამს დომინანტ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების მაგიდასთან და ა. შ.

ღრმად მნამს, რომ რუსეთს არ სურს ამ ორი უღიარებული კვაზი სახელმწიფოს რეალური დამოუკიდებლობა. ამ თემას აქ არ ვაგრძელებ.

დასასრულ, მჯერა ყველა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა სწორი სტრატეგიული ამოცანისა და მისი სარეალიზაციო რესურსების მოძიებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევის ახალი, ზოგადად ქართული გლობალური პროექტის შეთავაზება (მით უფრო, როცა ჩვენი სახელმწიფო, მისი სივრცე უცხო ქვეყნისა თუ ქვეყნების საერთო პროექტად გადაიქცა) ეროვნული რწმენის დაბრუნებას ნიშნავს. დღეს სწორედ მსგავსი ისტორიული ჟამი დაგვიდგა. ეს ჩვენი ბედისწერაა! ამდენად, საქართველოს მთავრობას შეევასენებ დროის ფაქტორს, ზოგადად დროს, როგორც ცვლილების პროექტს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ინურება და მოვუნოდებ, უფრო გააზრებული და აქტიური მოქმედებების კენ.

ესაუბრა
არმან სანებლიძე

ჯერ მხოლოდ ასი


ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ ახლახან გამოსცა წიგნი „100 ღირსსახსოვარი სახელი“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ზურაბ აბაშიძე (ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი), ავთანდილ საყვარელიძე, რევაზ გაჩეჩილაძე და გიორგი ლორთქიფანიძე.

ქართული ენციკლოპედიის რედაქცია ამჯერად მკითხველს სთავაზობს გამოცემას იმ გამოჩენილ უცხოელებსა და წარმოშობით არაქართველ პირთა შესახებ, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ ან გარკვეული დროით ცხოვ-

რობდნენ ჩვენს ქვეყანაში და თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ კულტურაში, მეცნიერულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამოცემაში შეყვანილი არიან XIX და XX საუკუნეების ისეთი მოღვაწეები, როგორებიც არიან: ალექსანდრე დიუმა, სერგეი ესენინი, ევგენი ზემელი, მიხაი ზიჩი, ლევ ტოლსტოი, არამ ხაჩატურიანი, კნუტ ჰამსუნი და სხვები.

წიგნი „100 ღირსსახსოვარი სახელი“ სამენოვანია (ქართული,



რუსული და ინგლისური), ილუსტრირებულია; დაფინანსებულია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ.

საქართველო-ნატო

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში სოციოლოგიური კვლევების იმდენად განსხვავებული შედეგები ქვეყნდება, რომ მათგან სინამდვილესთან მიახლოებულის მითითება საკმაოდ რთულია. მართალია, ეს კვლევები, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება, ყველაზე დიდ ვნებათაღელვას პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების რეიტინგის გამო იწვევს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ნატოს მიმართ დამოკიდებულების სოციოლოგიაც. სასურველი რეიტინგების გამოქვეყნებამ უკვე მიიღო „სოციოლოგიური ომების“ სახელწოდება, თუმცა ქვეყნის საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით ეს ომები არანაკლებ თვალსაჩინოა.

ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, როდესაც საქართველოს შეუქცევად ევროინტეგრაციაზე ლაპარაკობენ, ყველაზე ხშირად ნატოში ინტეგრაციის შესახებ 2008 წლის პლენარული შედეგებს ეყრდნობიან, თუმცა ყველას ესმის, რომ გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დასახელებული ეს ციფრი რეალობას არ ასახავს. აქაც სასურველის არსებულად წარმოჩენასთან გვაქვს საქმე და ამ თვალსაზრისით ძველი და ახალი მმართველი ძალის რიტორიკა პრაქტიკულად იდენტურია. საინტერესოა რამდენიმე კვლევის ერთმანეთთან შედარება:

2011 წლის 21 ნოემბრიდან 19 დეკემბრამდე საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ თანადაფინანსებით ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანიც ქვეყნის საგარეო-

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრის კვლევა იყო. გამოკითხვაში მონაწილეობდა 1058 მოქალაქემ. ერთ-ერთი კითხვა დასმული იყო ასე: ორი მტკიცებიდან რომელს უფრო ეთანხმებით?

1. ამერიკა შორსაა და ვერაფერს გვიშველის, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე იმისათვის, რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა;

2. დღეს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, რა მოხდება, ამას ამერიკა წყვეტს და მთავარი მასთან თანამშრომლობაა, რუსეთს ბევრი არაფერი შეუძლია.


რესპონდენტების 47,7 პროცენტი პირველ დებულებას იზიარებს, ანუ რესპონდენტების დიდი ნაწილი ირჩევს რუსეთთან პარტნიორობას ამერიკასთან ურთიერ-

თობის განწყვეტის ხარჯზე.

პოლიტიკური კონსულტანტი ვალერიან გორგილაძე ამ კვლევასთან დაკავშირებით წერდა: „საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველთა 26 პროცენტიც ამ მოსაზრებას იზიარებდა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე, თუნდაც ამ პროცესმა საბოლოოდ მოგვწყვიტოს და დაგვამოროს ამერიკას.“

რაც შეეხება დანარჩენს, გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურად ნეიტრალურია და არც ხელისუფლებას ემხრობა, არც ოპოზიციას, 45 პროცენტმა გასცა დადებითი პასუხი პირველ დებულებაზე, ხოლო ის ჯგუფი, რომელსაც გაუჭირდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, იყო ძალიან მცირე, რაც ასევე მიანიშნებს სწორედ იმაზე, რომ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას შეეხება, ჩვენს საზოგადოებას გააჩნია ორი, მკაფიოდ გამოხატული გეოპოლიტიკური ვექტორი.

მსგავსი კვლევები ადრეც ტარდებოდა და მაშინ სხვა შედეგები იყო, ანუ საზოგადოებაში პირობითად „პროდასავლური“, „პროამერიკული“ განწყობა ბევრად სჭარბობდა ე.წ. „პრორუსულს“. ვფიქრობ, რომ ვითარება 2008





ნლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიცივალა. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოხდა ერთგვარი გარდატეხა, რომლის შემდეგაც მოსახლეობაში „პრორუსულმა განწყობამ“ იჩინა თავი. დღეს უკვე გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „პრორუსული“ ვექტორი არის ელექტორალური ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა მოკლებულია რეპრეზენტაციას. თუკი ამ კვლევის მონაცემებს დავეყრდნობით, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა იმას, რომ საქართველომ ნებისმიერი კომპრომისის, თუნდაც ამერიკასთან ურთიერთობის განწყვეტის ან გარკვეულწილად დისტანცირების ხარჯზე, გამონახოს საერთო ენა რუსეთთან. ეს არის ფაქტი და სწორედ ამას ადასტურებს ეს კვლევა, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა, ჩემის აზრით, უსაფუძვლოა“.

ევრაზიის ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით 2012 წლის 23 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ჩაატარა. გამოკითხვა 3068 ადამიანი.

„კვლევის თანახმად, ნატოს პოპულარობა საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამკარად დაეცა. კომბინირებული კითხვები ზოგიერთ საინტერესო მომენტს აამკარავებს — თუკი რესპონდენტებს ზოგად შეკითხვებს ვუსვამთ ნატოზე, მათი წარმოდგენები საკმაოდ პოზიტიურია (მაგალითად, შეკითხვაზე, ნატო თავდაცვითი კავშირია თუ აგრესიული ბლოკი, 52% ფიქრობს, რომ იგი თავდაცვითი კავშირია, 34%-ს პასუხის გაცემა უჭირს და მხოლოდ 12% ამბობს, რომ ნატო „აგრესიული სამხედრო ბლოკია“). მაგრამ რაც უფრო მჭიდროდ დავაკავშირებთ ნატოს ქართულ რეალიებთან და საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, მით უფრო ნეგატიური ხდება პასუხები: 33% — მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობა — მიიჩნევს, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, სა-



მაგიეროდ, 32 პროცენტი, 25 პროცენტ მომხრისა და 42 პროცენტ შეკითხვაზე პასუხის არმქონე რესპონდენტის წინააღმდეგ ფიქრობს, რომ ნატოს სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი იქნება. „ცხელ წერტილებში“, როგორებიცაა, მაგალითად, ავღანეთი და ერაყი, ნატოს ეგიდით ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16%, ხოლო 60% ამის წინააღმდეგია. მაგრამ ნატოსთვის აბსოლუტურად „გამანადგურებელი“ შედეგია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის პრიორიტეტი — გამოკითხულთა 83% უპირატესობას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიანიჭებს ნატოში წევრობის საწინააღმდეგოდ, თუკი ასეთი დილემა წარმოიშობა (რაც, დავძენთ, სავსებით რეალურია). ამასთან, ტერიტორიული მთლიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს შორისაა — მათგან მხოლოდ 73% ანიჭებს უპირატესობას ტერიტორიულ მთლიანობას, ნატოში წევრობასთან შედარებით“.

„კავკასიის ბარომეტრი“ – კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) ყოველწლიური გამოკითხვა, რომელიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაი-

ჯანში ტარდება. 2012 წლის გამოკითხვა ჩატარდა ოქტომბრის ბოლოს — ნოემბრის დასაწყისში.

კვლევის თანახმად, სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, საქართველოში უფრო მეტი ხალხი უჭერს მხარს ქვეყნის განევრიანებას ნატოში და ევროკავშირში. **CRRC „კავკასიის ბარომეტრი 2012-ის“ თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 67% ნატოში განევრიანების მომხრეა, ხოლო 72% – ევროკავშირში განევრიანების მომხრე. სომხეთში ნატოში განევრიანებას მოსახლეობის 34% უჭერს მხარს, ევროკავშირში განევრიანებას – 55%; აზერბაიჯანისთვის შესაბამისი მონაცემებია 45% და 48%. ეს შედეგები სტაბილურია ბოლო წლების განმავლობაში.**

თვალშისაცემია, რომ თუ საქართველოს და აზერბაიჯანის შემთხვევაში ამ ქვეყნების ნატოში და ევროკავშირში განევრიანების მომხრეთა ოდენობა დაახლოებით თანაბარია, სომხეთში ძალიან განსხვავებული სურათია — ევროკავშირში განევრიანების მომხრეთა რაოდენობა ბევრად აღემატება ნატოში განევრიანების მსურველთა რაოდენობას“.

2013 წლის 5–15 აგვისტოს „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა“ ჩაატარა კვლევა. კითხვაზე „თქვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხო-



ეზისთვის რომელი გზა იქნება უფრო ეფექტური?“ პასუხები ასე განაწილდა:

ნატოში განწევრიანება – 44,2%;
ნეიტრალიტეტის შენარჩუნება – 27,1%;

რუსეთთან მოკავშირეობა – 18,1%;

ევროკავშირში განწევრიანება – 9%;

მიჭირს პასუხის გაცემა – 1,6%.

კითხვაზე „თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს საქართველოს განწევრიანება ნატოში დაკარგული ტერიტორიების (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) დაბრუნების თვალსაზრისით?“ პასუხები ასე განაწილდა:

არავითარი გავლენა არ ექნება – 29,1%;

ნატოში განწევრიანება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტერიტორიების დაბრუნებას – 23,7%;

ნატოში განწევრიანება ტერიტორიების დაბრუნების გარანტიაა – 22,1%;

მიჭირს პასუხის გაცემა – 13,6%;

უფრო გართულებს ტერიტორიების დაბრუნებას – 7,6%;

ნატოში განწევრიანებით საბოლოოდ დავკარგავთ ტერიტორიებს – 3,8%“.

2013 წლის სექტემბერში NDI-მ (აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევის შედეგად, რესპონდენტთა 73 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ

მიზანს, გახდეს ნატოს წევრი და 81 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს, გახდეს ევროკავშირის წევრი.

ორიოდე თვის შემდეგ, ნოემბრის ბოლოს ლუის ნავარომ (NDI-ის ხელმძღვანელი) ახალი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მისი განცხადებით, ბოლო გამოკვლევაში მოიმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, ვისაც რუსეთი საქართველოსთვის რეალურ საფრთხედ მიაჩნია. ასე ფიქრობს გამოკითხულთა 37%. ამავე დროს, გამოკითხულთა 63%-ს არ მოსწონს საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან, 25%-ს კი — პირიქით. გამოკითხულთა 10%-ს იმედი აქვს, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, 15% ფიქრობს, რომ ეს არასოდეს მოხდება, 23% კი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება მოხდეს 2016 წლის შემდეგ.

„ნატოში განწევრიანების სურვილი მოსახლეობისათვის კვლავაც საკმაოდ მძლავრია, თუმცა მაინც შეიმჩნევა ცვლილება პასუხებში კითხვაზე, თუ როდის გახდება საქართველო ნატოს წევრი. დადებითმა პასუხმა, რომ ეს მოხდება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, იკლო და მოიმატა პასუხმა — 2016 წლის შემდეგ“.


NDI-ის კვლევების მიმართ ნდობა მცირეა, რადგან 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით, იმარჯვებდა „ნაციონალური

მოძრაობა“, ხოლო „ქართული ოცნება“ ოპოზიციურ ძალად შედიოდა პარლამენტში. კერძოდ, NDI-ის კვლევის შედეგები დინამიკაში ასე გამოიყურებოდა: კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის თებერვლის კვლევაში ჰქონდა მხარდაჭერა — 11%, ივნისის თვეში — 20%, ხოლო აგვისტოში 14%. „ნაციონალურ მოძრაობას“ 2012 წლის თებერვლის კვლევაში 38% ჰქონდა, ივნისში — 34%, ხოლო აგვისტოში — 41%. საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან ცდომილების გათვალისწინებით, ნატოსთან დაკავშირებული ერთობ მაღალი პროცენტი ასევე ეჭვს იწვევს.

მსაპირტუბო

ნატოს შესახებ

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „ყველა მეტ-ნაკლებად მეცნიერული გათვლა აუცილებლად მთვარდება ერთი მწარე დასკვნით, რომ სანამ ჩვენ ნატო წარმოგიდგენია ქოლგად რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ – ჩვენ ნატოში არავინ მიგვიღებს. ნატოში შეიძლება მიგვიღონ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს ქოლგა აღარ იქნება საჭირო; მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რუსეთი ან ინტერესს დაკარგავს საქართველოს მიმართ და იტყვის „ჯანდაბას თქვენი თავი“, ან სხვა რაღაც ექსტრაორდინალური სიტუაცია შეიქმნება. არავინ არ მიაქცია ყურადღება რასმუსენის უკანასკნელ ვიზიტს. გაიხსენეთ, ადრე რა გვესმოდა ბრუსელიდან? „თქვენ კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი“. თბილისში ვიზიტისას რასმუსენმა ერთი საკვანძო სიტყვა დაუმატა ამას: „ძალიან ბევრი გაქვთ გასაკეთებელი“. რას ნიშნავს ეს? რაც მეტი დრო გადის და რაც უფრო ელევა ბრიუსელს არგუმენტები, მით უფრო კრეატიულ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ ზედმეტი არგუმენტები ან სხვა ფორმულა გამოძებნოს. ბუდაპეშტის შეხვედრის შემდეგ ჩამოვიდა გია ბარამიძე და პირადად ჩემთან ნახევარსაათიან კამათში



სანამ ჩვენ ნატო წარმოგიდგენია ქოლგად რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ – ჩვენ ნატოში არავინ მიგვიღებს. ნატოში შეიძლება მიგვიღონ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეს ქოლგა აღარ იქნება საჭირო; მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც რუსეთი ან ინტერესს დაკარგავს საქართველოს მიმართ და იტყვის «ჯანდაბას თქვენი თავი», ან სხვა რაღაც ექსტრაორდინალური სიტუაცია შეიქმნება.



მიმტკიცებდა, რომ უფრო მეტი მივიღეთ, ვიდრე მაპი. რომ ვეკითხები, რა არის უფრო მეტი, — აი, ითქვა, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრები. კი მაგრამ, მაპის დროს ეს გამორიცხული იყო? მაპი არ გულისხმობდა ამას? თუმცა, რა არის მაპი? მე ვიცი ქვეყნები, რომლებიც 10, 12 და 13 წელიც კი აყურყუტეს მაპში. მაპიც არ არის პირდაპირ კარის შეღება და შესვლა.

თანდათანობით ელიტასა (თუ ამას ელიტა ჰქვია) და ფართო საზოგადოებას შორის ჩნდება ნაპრაალი — ფასეულობებისა და ღირებულებების თვალსაზრისით. რატომღაც პროდასავლური ვინიგრეტი მივიღეთ. რას ნიშნავს თვითონ ცნება — პროდასავლური? მაინცდამაინც ნატოს? ე.ი. ნატოს გარეშე არ არსებობს პროდასავლური კურსი? ე.ი. ის ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან, სულ ყველა პრორუსულია? ან მხოლოდ ტოტალიტარულია? არ შეიძლება ნატოს გარეშე გვეკონდეს დემოკრატია? ინდოეთი არ არის ნატოს წევრი, მაგრამ ინდოეთმა საერთოდ ქვა ქვაზე არ დატოვა იმ ძველი თეორიებისგან, რომ თითქოს ღარიბ ქვეყანაში დემოკრატია არ შეიძლება იყოს“.

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი: „მე, მაგალითად, მგონია, რომ გარდა სივრცეში ინფორმაციის მოპოვებისა, სივრცეში მოვლენების გათვალისწინებისა, ჩვენ დროში მოვლენების გათვალისწინებაც გვაკლია. ანუ ისეთ ადგილზე ვართ, რომ მსოფლიოს განვითარება, შეიძლება, ჩვენთვის ძალიან სახიფათო იყოს. დაჯახების შანსი ისლამურ სამყაროსა და ქრისტიანულ სამყაროს შორის იზრდება, ჩინეთსა და მსოფლიოს შორის იზრდება, მოკლედ, აღმოსავლეთ-დასავლეთის დარტყმის შანსი იზრდება. ამ პირობებში განყოფილებს შენ ნატო. არა რუსეთისგან თავდაცვისთვის. სანამ რუსეთი უარზე იქნება, ნატოც უარზე იქნება. მაგრამ თუკი ეს დიდი დაპირისპირებები წავიდა, პირველი რუსეთი შეგვასწრებს ნატოში. მერე, თუ გინ-



დათ, დამენიეთო, გვეტყვის. ბურჯანაძეს უთხრა კიდეცაც პუტინმა, როცა ბურჯანაძემ ჰკითხა, რატომ გვეწინააღმდეგებით ნატოში შესვლაზე — Еще никто не знает кто первый войдет в НАТО, — უპასუხა პუტინმა. ასე რომ, რუსეთში განიხილება ეს თემა... მაგრამ ჩვენ რატომღაც გვიყვარს ფიქრი სტერეოტიპებით, აი რუსეთი ნატოში არ შევა, ე.ი. ნატო დაგვიცავს“.

თინათინ ფხალაძე, „გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი: პრობლემა არის არა იმაში, თუ რა სტრატეგიული არჩევანი გავაკეთებთ, არამედ იმაში, თუ რამდენად გამოვიყენებთ ეს სტრატეგიული არჩევანი. იმიტომ რომ ის საშუალებები, რომლებიც ჩვენ გვეძლეოდა, თუნდაც ევროკავშირთან ურთიერთობით, თუნდაც ნატოსთან ურთიერთობით, როგორ გამოვიყენებთ და შეგვეძლო თუ არა მეტის გაკეთება? აი, ეს არის მთავარი და, ალბათ, იმ გზას უნდა გადავხედოთ, თუ სად დავუშვით შეცდომა.

ახლა მთავარი ჩვენი პრობლემები, ტრადიციული შეკითხვა — როგორ შეიძლება გქონდეს ურთიერთობა ნატოსთან და დაალაგო ურთიერთობები ამავედროულად რუსეთთან, ან როგორ უნდა მოანესრიგო კონფლიქტები და ა.შ. რამდენიმე მაგალითს მოგიტანთ. პატარა ქვეყნისათვის ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ თუ სტრატეგიული არჩევანი გაკეთებული გაქვს, მუდმივად მისდით შენს იდეალს და მიისწრაფვოდე იმისკენ, რომ შექმნა ისეთი ტიპის სახელმწიფო, რომელიც შენ წარმოგიდგენია იდეალურად.

დანარჩენი, სამწუხაროდ, დამოკიდებულია იმაზე, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები რაღაც პერიოდის განმავლობაში ალებს ე.წ. შესაძლებლობათა ფანჯარას. მაგალითად, 1999 წელს ძალიან სერიოზული შესაძლებლობების ფანჯარა გაიღო საქართველოსთვის, კერძოდ, მხედველობაში მაქვს სტამბულის ეუთოს სამიტი. მე მგონია, ასეთი დიდი გამარჯვებისათვის საქართველოს დიპლომატიას ჯერ არ მიუღწევია, იმიტომ რომ იმ პერიოდში ჩვენ მოვახერხეთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენ მოვახერხეთ სტრატეგიული ენერგო-პროექტებზე შეთანხმების მიღწევა და ყველაზე მთავარი, რაზედაც მანამდე ძალიან ბევრი სკეპტიკურად იძახდა, რომ ეს არასოდეს არ მოხდება — მოვახერხეთ, რომ რუსეთს ხელი მოვანერინეთ დოკუმენტზე ჯარების გაყვანის შესახებ. მე მესმის, რომ ეს იყო ელცინის რუსეთი, ეს იყო ის პერიოდი, როდესაც დეფოლტი ახალი მომხდარი იყო და ა.შ. მაგ-



რამ ასეთი კატაკლიზმები მსოფლიოში მუდმივად ხდება და ამისათვის უნდა იყო მზად. პუტინის რუსეთში დავასრულეთ ეს მოლაპარაკებები და სწორედ პუტინის რუსეთის პერიოდში მოხდა ნატოს გაფართოების ძალიან სერიოზული ტალღა და ბალტიის სახელმწიფოები შევიდნენ ნატოს შემადგენლობაში. მაშინ, როდესაც, მაგალითისათვის გეტყვით, რომ საზღვრის შესახებ მოლაპარაკებები არცერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა, არც ლატვიას, არც ესტონეთს, არც ლიტვას. მხოლოდ 2007 წელს მოახერხა ლატვიამ ხელმოწერა საზღვრის შესახებ შეთანხმებაზე რუსეთის ფედერაციასთან. იგივე პრობლემები ჰქონდა ლიტვას.

ჩემი მეგობარი, რომელიც დღეს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრია, მიყვებოდა: 2002 წელს ის იყო თავდაცვის მინისტრი და როდესაც რუსეთის სამხედრო ბაზები გავიდა ბალტიის ქვეყნების ტერიტორიიდან, იქ იყო უამრავი დანაღმული ტერიტორია, რაღაც სადავო საკითხები, ქონების საკითხები იყო. და რამდენჯერაც დავურეკე სერგეი ივანოვს და ვთხოვე შეხვედრაო, უკაცრავად ჟარგონზე, იმდენჯერ „გადამაგდო“. მითხრა, ჩამოვდივარო და აღარ ჩამოვიდა. საკმარისი იყო 2002 წელს მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 2004-ში ეს ქვეყნები ხდებიან ნატოს წევრები, იმ წუთშივე დამირეკა და მითხრაო: — თქვენ ხომ ნატოს წევრები ხდებით, მოდით, ეს საკითხი დავხუროთო.

მაგრამ აქ განსხვავება იყო იმაში, რომ შეიძლება ეს ყველაფერი აკეთო ისე, რომ არც მწვადი დანვა და არც შამფური და შეიძლება გააკეთო ისე, რომ იცი, ხვალ ნატოში შევალ და, აბა, მე და ნატოს ვინ მოგვერევა, ხვალ მაგასაც გაჩვენებთ. აი, ამაშია ძალიან დიდი სხვაობა.

თუკი ბალტიის სახელმწიფოებმა მოახერხეს იმის ახსნა, რომ მათი დასავლური ინტეგრაცია არ წარმოადგინს რუსეთისთვის საფრთხეს, რატომ არ შეზვიადიან ჩვენ ანალოგიურის ახსნა? აქ უკვე გვერდით რამ დიპლომატიკაზე, გონებასახვილოებაზე და სხვა ფაქტორებზე არის დამოკიდებული, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ არ უნდა გამოგვრჩეს მომენტები. იმიტომ, რომ ამ შესაძლებლობების ფანჯარა რაღაც პერიოდების განმავლობაში ყოველთვის იღება და თუ იმ პერიოდში მზად არ აღმოჩნდები და ამ გზაბასაყარზე არ გააქითე არასწორი არჩევანი, ან არ ხარ იმდენად ჩამოყალიბებული, რომ გააქითო სწორი არჩევანი და სწორი მიმართულებით წახვიდე, მაშინ უნდა ელოდო შემდეგ შენს, იმიტომ რომ პატარა ქვეყანას არ აქვს იმის საშუალება, რომ შექმნას და თავისით ჩამოაყალიბოს გეოპოლიტიკური რეალობა.

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი: „ჩვენ არ-

ცერთ იდეაზე, არც ნატოზე, არც ევრაზიაზე, არაფერზე ხელალებით უარი არ უნდა ვთქვათ. ჩვენ ანალიზი უნდა გავაკეთოთ, მართლაც ძალიან სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ, რა მიმართულებით და რა მოცულობით, რომელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა არის ჩვენთვის მისაღები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, როდესაც ჩამჭრელ კითხვად წარმოაჩინა ჩემთან სატელევიზიო გადაცემაში ბატონმა დავით პაიჭაძემ ნეიტრალიტეტის საკითხი. ნეიტრალიტეტი არის იდეალური ისეთი ქვეყნისთვის, როგორც ვართ ჩვენ, თუ ჩვენ ამის მიღწევა შეგვიძლია და თუ ეს შესაძლებელია. ამას მე ვამბობდი სხვათაშორის, პარლამენტის თავმჯდომარეობის დროსაც, რომ ნეიტრალიტეტი არის იდეალური საქართველოსნაირი ქვეყნისთვის, უბრალოდ, მეორე საკითხია, რამდენად არის ეს რეალისტური და შესაძლებელი. ნეიტრალიტეტი არ შეიძლება სალანძღავი სიტყვა იყოს. შუაგულ ევროპაშიც კი, როგორც არის, ვთქვათ შვეიცარიის და ავსტრიის ტერიტორიები, ნეიტრალიტეტი იყო მათთვის მონაპოვარი და ძალიან სერიოზული პლუსების მატარებელი.

ნატოს მიმართ, მე ვფიქრობ, ჩემი პოზიცია ძალიან ნათელია. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ნატოს წევრი ვყოფილიყავით, გამოგვეყენებინა ის შანსი, რომელიც თავის დროზე გამოიყენა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა. ჩვენ ეს შანსი დავკარგეთ. ეს არის ფაქტი. დავკარგეთ არაერთგზის, ეს შანსი დაიკარგა 1995 წელს, მერე — 2000 წელს, ეს შანსი დაიკარგა 2005-ში და 2008-ში. მიმაჩნია, რომ პრაქტიკულად, ამას ხაზი აქვს გადასმული. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. დღეს არჩევანი დგას ასე: ან ნატო ან ტერიტორიები.

ჩვენ არავინ ნატოში არ მიგვიღებს, ეს არის გამორიცხული. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ვარ და წესდებაც ვი-

**ნინო ბურჯანაძე:
ჩვენ არავინ ნატოში არ მიგვიღებს,
ეს არის გამორიცხული.
საერთაშორისო სამართლის
სპეციალისტი ვარ და წესდებაც ვი-**



ცი, დოკუმენტებიც, პრაქტიკაც და შიდა მოლაპარაკებების პროცესიც. არავინ არ მიგვიღებს დღეს ნატოში, როდესაც თბილისიდან 40 წუთის სავალზე არის რუსეთის სამხედრო ბაზა. ან ვამბობთ ამაზე უარს, ან ნატოში შესვლის პერსპექტივა არ გვაქვს. რაც შეეხება იგივე ISAF-ის ტიპის ოპერაციებში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, უნდა ვმონაწილეობდეთ, მაგრამ ამის სანაცვლოდ უნდა ვღებულობდეთ არა მხოლოდ რეჟიმის მხარდაჭერას, არამედ ძალიან სერიოზულ დივიდენდებს ქვეყნისთვის კონკრეტულად. დაწყებული იქიდან, რომ თუ ამერიკელ ჯარისკაცს იქ ყოფნისთვის აქვს 10 000 დოლარი ხელფასი, ჩვენს ჯარისკაცს არ უნდა ჰქონდეს 700 დოლარი. არ უნდა ამას ახსნა. ეს ჩვენ უნდა გვაძლევდეს ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ დივიდენდს და არა მხოლოდ განცხადებებს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს. ეს არის ასევე მოლაპარაკების პროცესი, ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც ძალიან სერიოზულად უნდა იქნას გამოყენებული.

საქართველო დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონის ნაცვლად მათი ინტერესების საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან შეჯერების სივრცედ უნდა იქცეს. ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავება არ უნდა იყოს მიმართული მესამე ქვეყნების ლეგიტიმური ინტერესების წინააღმდეგ, არამედ ემსახურებოდეს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. საქართველომ არ უნდა შეუნყოს ხელი რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მუქარის შექმნას. საქართველომ უნდა განამტკიცოს ურთიერთობები მეზობელ სახემწიფოებთან. საქართველოს მოქმედებები უნდა იყოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისაკენ მიმართული“.

პიტრი მამრადი: სტრატეგიული ცენტრი რომ შეიქმნა ნატოს

აგიტაციისთვის, დევიდ სმიტი გამოდიოდა თვეში 2-3 წერილით მაინც და უცხოურ და აქაურ პრესაში ქვეყნდებოდა. შეიძლება ვრცელი ტომები შეეკრათ — რატომ არის ნატო აუცილებელი საქართველოსთვის, რატომ უნდა გააკეთოს საქართველომ ყველაფერი იმისათვის, რომ ნატოში შევიდეს, რატომ არის, რომ ნატომ ხელი უნდა შეუნყოს და ა.შ. პროფესიული, კვალიფიციური ექსპერტი, თვითონ იყო სამხედრო შეერთებულ შტატებში, შემდეგ დიპლომატის რანგი მიიღო და მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. ესწრებოდნენ საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები, ჩვენებიდან — არჩილ გეგეშიძე, კახა იმნაძე, გოგასაძე, გოგი ხუციშვილი, ელენე ხოშტარია, სერგი კაპანაძე და ბევრი სხვა. **დევიდ სმიტმა ამცნო აუდიტორიას: „თქვენ იცით, რას მოვანდომე ჩემი ენერჯია და დრო, დღეს ვალდებული ვარ შეგატყობინოთ, რომ ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომაზე, რომ საქართველოს აღარასოდეს არ მიიღებენ ნატოში. მე ხაზს ვუსვამ, „Never ever“. მე პირადად, როგორც ადამიანი, მოქალაქემ შემიძლია ვუწოდო ამ გადაწყვეტილებას არასწორი, რომ ეს არის შეცდომა ნატოს მხრიდან, მე შეიძლება მეტიც ვთქვა, რომ ეს არის ლაჩრული გადაწყვეტილება, რომ ეს არის ღალატი საქართველოს მიმართ, იმ წლების შემდეგ, რაც ასეთი განწყობა იყო და დაპირებები, მე ეს ყველაფერი შემიძლია ვთქვა, მაგრამ ეს არ შეცვლის ნატოს გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენ უნდა იცოდეთ და მე ვალდებული ვარ, ეს მოგახსენოთ“. კომიზმი ვითარებისა იყო ის, რომ ელენე ხოშტარიამ, სერგი კაპანაძემ და სხვებმა დაუწყეს ყვირილის დონეზე კამათი.**

მახსენებოდა ადამიანი, რომელიც დაესწრო კონდოლიზა რაისის შეხვედრას სააკაშვილთან 2008 წლის 9 ივლისს, ჯერ რეზიდენციაში, მერე სასტუმრო „კოპალაში“. ბოლოს კონდოლიზამ

იყვირა: „შენ თუ ამას იზამ, We are out, can you understand?“ მაგრამ მეორე დღეს კონდოლიზამ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ უკეთეს ინსტრუმენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, ვიდრე საქართველოს განევრინება ნატოში და ბატონო პრეზიდენტო, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის იბრძობებს თავისი მეგობრების და პარტნიორების დასაცავად.

პოლ სონდერსი, რომელიც არის ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და ადმინისტრაციაში უმუშავია, წერს ამაზე, კონტექსტიდან, პროტოკოლიდან ცხადზე ცხადია, რომ ბრძოლაში კონდოლიზა რაისი გულისხმობს იმას, რომ შეერთებული შტატები შეებრძოლება სკეპტიკოსებს ნატოს შიგნით, რათა არ დაბლოკონ საქართველოს განვრინება, მეტი არაფერი. მაგრამ ბატონი ლავროვი გამოდის მეორე დღეს და ამბობს, რომ ნატოში შესვლა არათუ ინსტრუმენტი არ არის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა, არამედ ინსტრუმენტი ტერიტორიული მთლიანობის საშუალოდ დაკარგვის და ამაში ისინიც კი მალე დარწმუნდებიან, ვინც სხვანაირად ფიქრობს“.

2012 წლის თებერვალში უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი მკვეთრად აკრიტიკებდა სააკაშვილის რეჟიმს ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდის გამო და აცხადებდა: „საკაშვილი დასავლეთის წინაშე ქულებს იწერს — ერთგული პარტნიორი ვარო. ის გადამეტებულად უჭერს მხარს ავღანეთის მისიას, რაც ნატოსთვის და დასავლეთისთვისაც გამაოგნებელია, რადგან ასეთი პატარა ქვეყანა, რომელსაც ასე მცირე მოსახლეობა ჰყავს, ამდენი კონფლიქტი აქვს, ავღანეთში გაგზავნილი ჯარისკაცების რაოდენობით ნატოს არანევერ ქვეყნებს შორის მაინც პირველ ადგილზეა...“

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ავღანეთში ნატოს მისიაში მონა-



წილეობის გამო საქართველოსთვის ნატოს კარი გაიხსნება, დიდი ტყუილია. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ არა იმდენად, რომ ამის გამო ნატოს წევრი გავხდეთ... დღეს ჩვენ გვაქვს ვითარება, როცა ნატოს წევრი ქვეყნები საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ვერ ბედავენ შემდეგი მარტივი მიზეზების გამო:

პირველი — კონფლიქტი გვაქვს რუსეთთან, რომელსაც აქვს ბირთვული იარაღი და ეწინააღმდეგება მისი ნებისმიერი მეზობლის ნატოში გაწევრიანებას და ამის გამო დასავლეთი შეიძლება რუსეთთან კონფლიქტში ჩაერთოს;

მეორე — ნატო ფიქრობს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებით მას უფრო მეტი პრობლემა წარმოექმნება, ვიდრე სარგებელი. საქართველო ისედაც მშვენივრად მონაწილეობს იქ, სადაც ნატოს სჭირდება;

მესამე — ქვეყანაში ორი სერიოზული კონფლიქტის კერაა და ნატოს არც ერთ წევრ ქვეყანას არ უნდა, რუსი და ნატოს ჯარისკაცი ერთმანეთისგან ათი მეტრის დაშორებით იდგნენ, ვინაიდან ნებისმიერი შემთხვევითი კონფლიქტიც კი შეიძლება სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, რაც არავის აძლევს ხელს“.

დღეს ირაკლი სესიაშვილი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა. გასული წლის განმავლობაში ახალ ხელისუფლებას ავლანეთში კონტინგენტი არ შეუმცირებია, მეტიც, საქართველო ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ერთვება.

საინტერესოა, რომ პრონატოური პროპაგანდა, რომლითაც გაჯერებულია მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, ასახავს საკითხისადმი ცალმხრივ მიდგომას როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს

ივანიშვილი განმარტავდა, თავად ნატოსთან თანამშრომლობის ფაქტი კი არ აფუჭებს რუსეთთან ურთიერთობას (რუსეთი თვითონაც თანამშრომლობს ალიანსთან მთელ რიგ პროგრამებში), არამედ სააკაშვილის მცდელობები, ნატო აშკარად ანტირუსულ პოლიტიკაში გამოეყენებინა. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთს ნატოსთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და ეს გამოცდილება სიფრთხილეს აძლევს. მიუხედავად დაპირებისა, რომ ნატო აღმოსავლეთისკენ არ გაფართოვდებოდა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ყველაფერი სწორედ პირიქით მოხდა.

საქართველო-ნატოს ურთიერთობის ქრონიკა ასე გამოიყურება: გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხოლოდ ერთი ლიდერი — **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი** იბრძოდა ნატოში შესვლისთვის. უფრო სწორად, ნატოს სამხედრო ძალებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისკენ მოუწოდებდა და ამ გზით იმედოვნებდა დამოუკიდებლობის აღდგენას და „საბჭოთა იმპერიისგან გათავისუფლებას“. ხოლო აწ განსვენებული **ზვიად გამსახურდია**, რომელიც საქართველოს პრეზიდენტად ჯერ კიდევ სსრკ-ის დაშლამდე აირჩიეს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად, საქართველოს ნატოში შესვლის საკითხთან დაკავშირებით არ ჩქარობდა...

ნატოსკენ სვლა 1992 წელს დაიწყო, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც საქართველო **ნატოს თანამშრომლობის საბჭოში (NACC)** შევიდა, 1994 წელს კი შეუერთდა პროგრამას — **„თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ (PFP)**.

ამ ორ მოვლენას შორის იყო აფხაზეთის ფაქტობრივი დაკარგვა და ამაო იმედები, რომ ყოფილი დასავლელი მოკავშირეები საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუ-

არდ შევარდნაძეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდნენ. სინამდვილეში კი, გაეროს მრავალი რეზოლუციისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე ზეპირი განცხადებების გარდა, პროგრესი არ შეიმჩნეოდა.

იმ წლებში ახალი რუსეთიც მთლიანად დასავლეთზე იყო ორიენტირებული. პროცესი იმდენად ერთმნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს არავინ საყვედურობდა დასავლეთისკენ სწრაფვის გამო. რუსეთის ხელმძღვანელობა კურსში იყო, რომ ნატო საქართველოს დახმარებას უწევს — 1995 წლიდან ბევრმა სამხედრომ გაიარა მომზადება ნატოს საგანმანათლებლო ცენტრებში, 1996 წლიდან საქართველო რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა საპარტნიორო პროგრამაში, მაგრამ ილუზია, რომ ეს პრობლემებთან გამკლავებაში რამენაირად დაეხმარება, შევარდნაძეს უკვე აღარ ჰქონდა.

კიდევ ერთი იმედგაცრუება 2008 წლის აგვისტოს ომმა მოიტანა. იმათ, ვისაც ნატოს დახმარების იმედი ჰქონდა, მხოლოდ სასმელი წყალი და პამპერსები მიიღეს, მაგრამ სააკაშვილმა საპრეზიდენტო სავარძლის შენარჩუნება მოახერხა, ეს კი მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნატოს ყველა ფასეულობა.

დასკვნის მაგიერ

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ყველაფერი, რაც საბჭოთა იდეოლოგიის დროს ცუდი იყო, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ავტომატურად კარგი გახდა. თუკი ნატო მართლაც საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ შექმნილი ალიანსი იყო, ვარშავის ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ ის გაქრებოდა. სინამდვილეში კი პირიქით ხდება: ნატო ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ფართოვდება.

„გლობალური კვლევების ცენტრი“



ნიადაგების აბროსუნარეო დახასიათება



საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები და ნიადაგწარმოქმნელი ქანები ყველა ტიპის ნიადაგის გავრცელებას განაპირობებს — დანყებულ შავმიწებით, დამთავრებული უდაბნოს ტიპისა და ტენიანი სუბტროპიკებისათვის დამახასიათებელი ნიადაგებით. ნიადაგის ტიპების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ქვეყანას „ნიადაგური მუზეუმიც“ შეიძლება ეწოდოს.

ასეთი ნიადაგური საფარი, სხვა ხელსაყრელ კლიმატურ-ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნის, სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობას, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთი ძვირფასი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, როგორიცაა: ჩაი, ციტრუსები, მრავალი სახის ხილი და ყურძენი, მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი, სხვადასხვა ტექნიკური კულტურა.

ქვეყნის ტერიტორიის 43%, ანუ 3,1 მილიონამდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, აქედან 0,8 მილიონამდე ჰექტარი სანხავია, 0,3 მილიონამდე ჰექტარი — მრავალწლიანი ნარგავებს, ხოლო დანარჩენი სათიბ-საძოვრებს უკავია.

ნიადაგს და მის ნაყოფიერებას საქართველოში უძველესი დროიდან ექცეოდა ყურადღება. ამის დადასტურებაა მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელი მისიონერისა და ისტორიკოსის დონ არქანჯელო ლამბერტის მიერ წიგნში — „სამეგრელოს აღწერა“ იმის აღნიშვნა, რომ „არც ერთი ხალხი ისეთ პატივს არა სცემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. ისინი მიწდ-

რის კულტურებს თესენ მონაცვლეობით, პირველ წელს თესენ ღომს, მეორე წელს — ფეტვს, მესამე წელს — პურს, შემდეგ მიწას სამი ან ოთხი წლით ასვენებენ“. რა თქმა უნდა, ნათესმორიგეობის მაღალი კულტურა, გარდა სამეგრელოსი, დანერგილი იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ქართველები, უხსოვარი დროიდან, საუკუნეების მანძილზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად იყენებდნენ ნაკვალს, ნაცარს, მდინარისპირა ლამებს, სხვადასხვა ნარჩენს, ბუნებრივ მადნეულს (კირქვას, ტკილებს, მერგელებს) ისე, რომ ჯერ კიდევ ცოტა რამ იცოდნენ ამ ნივთიერებებსა და ნიადაგებს შორის მიმდინარე რთული ქიმიური პროცესების შესახებ.

საქართველოს ნიადაგური სფერო გეოგრაფიულად წარმოდგენილია ორ ოლქად: დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების ოლქებად, ხოლო ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ასევე ორ — მთისა და ბარის ზონებად.

საქართველოში მთისა და ბარის ზონების ნიადაგების საერთო ფარ-

თობი 6465 ათასი ჰექტარია. აქედან მთის ზონაზე მოდის 3952 ათასი ჰექტარი (61%), ხოლო ბარის ზონაზე — 2513 ათასი ჰექტარი (39%). გარდა აღნიშნულისა, საქართველოში არსებული 633 ათასი ჰექტარი მცინვართოვლიანი სარტყლის — პრიმიტიული ფრაგმენტული ნიადაგები და გაშიშვლებული ქანები სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი მიწებია.

საქართველოში გვხვდება 49 ნიადაგური ტიპი. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია: ყავისფერი, რუხი ყავისფერი, ბარის და მთის შავმიწა, სუბტროპიკული ენერი, ყვითელმიწა, ყომრალი, წითელმიწა, ნეშომპალა — კარბონატული, ლამიან-ჭაობიანი, კორდიან-ტორფიანი, კორდიან-კარბონატული, ტორფიან-ჭაობიანი, მთა-მდელოს, ალუვიური, მთა-ტყის, ბიცობი და მლაშე ნიადაგები და სხვ.

საქართველოს ნიადაგების ტიპები თითქმის მთლიანადაა ათვისებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. იგი ვარგისია თითქმის ყველა სახის მარცვლეულის, პარკოსანი და ტექნიკური კულტურის, სხვადასხვა სახის ბოსტნეულის, საადრეო და საგვიანო კარტოფილის, ყველა სახის ბალჩეულის, პირუტყვის საკვები კულტურების საწარმოებლად. გარდა ნათესი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისა, საქართველოს ნიადაგებზე ინარმოება მრავალი სახის მრავალწლიანი კულტურები, მათ შორის — ჩაი, ციტრუსები, მრავალი სხვა სუბტროპიკული კულტურა; თხილი, კაკალი, პეკანი, ნუში. ქართულ მიწაზე ხარობს ვაზის 500-მდე ჯიშის და სახეობა, თითქმის ყოველნაირი თესლოვანი და კურკოვანი ხეხილოვანი მცენარე, მრავალი სახის კენკროვანი და წინვოვანი კულტურა და სხვ.

სუბალპურ და ალპურ ზონებში გადაადგილებული ნიადაგები საუკეთესო საკვებს იძლევა მეცხოველეობისათვის.



დასავლეთ საქართველოს ნიადაგების ოლქს უკავია ტერიტორია სურამის ქედიდან დასავლეთით. აქ გამოიყოფა: დაბლობი, გორაკ-ბორცვიანი მთისწინების, საშუალომთიანი და მაღალმთიანი ზონები. სოფლის მეურნეობაში გამოყენების მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტენიან-სუბტროპიკული ჰავის ზონას, რომელიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილს, უმეტესად კოლხეთის დაბლობს და კავკასიონის ქედის სამხრეთ მთიანეთის გორაკ-ბორცვიან ზოლს. **დაბლობი გასდევს შავი ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთით ქალაქ ზესტაფონამდე.**

დასავლეთ საქართველოში ნიადაგებს შორის სამხრეთით ჭარბობს ნითელმინა, ჩრდილოეთით — ყვითელმინა და აღმოსავლეთით ყომრალი ნიადაგები. კოლხეთის ბორცვიან ნაწილებში განვითარებული ნითელმინა ნიადაგები ტროპიკული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ლატერიტებს მიემსგავსება და ფრიად ხელსაყრელია ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად.

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების ბუნებრივ ოლქს უკავია ბარის, მთისწინებისა და მთიანი ზონების სურამის ქედიდან აღმოსავლეთისკენ. აქ გამოიყოფა: უდაბნო-ველებისა და ტყე-ზონა, დაბლობი ვაკეებისა და მთისწინების გარდამავალი ტყე-ველის ზონა, მთა-ტყის ზონა და მთა-მდელოთა ზონა.

აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ზონაში გვხვდება ტყე-ველებისა და უდაბნო-ველების მურა ნიადაგები, ალუვიური (დანალექი) და ნაბლა ნიადაგები, რუხ-ნაბლა ნიადაგები, შავმინა ნიადაგები, მდელოს შავმინისებრი ნიადაგები, ბიცობი და დამლაშებული ნიადაგები და სხვ.

საქართველოს სამხრეთ ნაწილის ფარგლებში, ნიადაგური პირობების მხრივ, მეტი თავისებურებით გამოირჩევა ჯავახეთისა და წალკადმანისის რაიონების ვულკანური ზეგნების მთის ველების ზონა, სადაც მთის შავი მიწებია გავრცელებული, სქელი ჰუმუსოვანი ფენით (60-80 სმ-ი და მეტი) და ჰუმუსის დიდი შემცველობით (6-9 და მეტი პროცენტი).

ზღვის დონიდან 2100-2200 მეტრზე უფრო მაღლა, სუბალპურ და ალპური მდელოების ზონებში შავმინებს ცვლიან მთა-მდელოთა შავმინები და კორდიანი ნიადაგები.

საქართველოს ბუნებრივი პირობების და მათთან დაკავშირებული ნიადაგების ტიპების დიდი მრავალფეროვნება, რაც მოკლედ იყო აღნიშნული, განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობებს.

მინამ შეიძლება მუდმივად მოგვცეს მოსავალი, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: აუცილებელია ფრთხილი მოპყრობა, აგრონესების სრული დაცვით დამუშავება და განოყიერება, ანგარიში უნდა გაენიოს ჰავისა და მიწის ზედაპირული ფორმების თავისებურებებს. ამ პირობების დაუცველად მინა კარგავს ნაყოფიერებას, ზოგან **ჭაობი ჩნდება, ზოგან — მლაშობი, იწყება ეროზია (ნიადაგის ჩამორეცხვა) და სხვ.**

სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დღის წესრიგში დადგა საქართველოში მიწის ნაყოფიერების ამაღლების საკითხი. 1866 წელს თბილისში გაიხსნა ნიადაგის ფიზიკური თვისებების შემსწავლელი ლაბორატორია, რომელშიც ნიადაგების გამოკვლევებთან ერთად ტარდებოდა ნიადაგების ქიმიური გამოკვლევები. 1898 წელს ამიერკავკასიის ნიადაგური პირობების შესწავლის მიზნით თბილისში მოწვეული იყო ცნობილი რუსი ნიადაგმცოდნე პროფესორი ვასილ დოკუჩაევი, რომელმაც კვლევების საფუძველზე აღნიშნა, რომ „ნიადაგობრივი ტიპების მრავალგვარობის მხრივ ამიერკავკასიას ვერ შეაძრება ვერც რუსეთი და ვერც დასავლეთ ევროპა... კავკასია ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია ნიადაგების რაციონალური გამოყენებით გამოკვებოს არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მთელი რუსეთიც“.

დოკუჩაევის შემდეგ საქართველოს იკვლევდნენ სხვა ქვეყნებიდან მოწვეული და ადგილობრივი მეცნიერები. ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევები ჩატარდა

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც შეიქმნა აგროქიმიური სამსახური, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ლაბორატორიული ქსელით.

ამავე პერიოდიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის დამლაშებული, ბიცობი და მჟავე ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების სამუშაოები, ეროზიის სანინააღმდეგო ღონისძიებები, კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნიადაგების დამშრობა — ათვისება, სისტემატური კონტროლი იყო დაწესებული ნიადაგების დაბინძურებაზე, რადიაციულ ფონზე, ნიადაგების ჰუმუსის და საკვები ელემენტების შემცველობაზე და სხვ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, პრაქტიკულად ყურადღების გარეშე დარჩა ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე — ნიადაგი. შედეგად, დაიწყო მისი დეგრადაციის პროცესი, ნაყოფიერების აშკარა დაცემა, მიწის მუქმად დავიდა მასში საკვები ელემენტების და ჰუმუსის შემცველობა, უარყოფითი პროცესები მიწის ბიცობ და დამლაშებულ, დაჭაობებულ და მჟავე ნიადაგებში, იზრდება ეროზიის პროცესები. ყოველივე ამის გამო იქმნება მიწების საკმაოდ დიდი ფართობების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნის საშიშროება.

ნიადაგების შერჩევითი გამოკვლევების ბოლო მონაცემებით, ქვეყნის მიწის სავარგულების 80%-ამდე ღარიბია მცენარისთვის ასათვისებელი ფოსფორით და კალიუმით, რაც გამოწვეულია ამ სახის მინერალური სასუქების გამოყენების თითქმის სრული იგნორირებით. ნიადაგში არსებული საკვები მარაგების შეუვსებლობით დაწყებულია საკვები ელემენტების მწვავე „მიმშილი“, რომელთა შევსებასაც დიდი დანახარჯები და დრო სჭირდება.

ნიადაგის ნაყოფიერების მთავარი მაჩვენებელი ჰუმუსის ბოლო 25 წლის მანძილზე რიგ რაიონებში შემცირებულია 0,8-1,5%-ით, რაც ძალზე პრობლემურია, ვინაიდან 0,5 პროცენტი ჰუმუსის ბუნებრივად შექმნას ერთი საუკუნეც არ ჰყოფნის. ასეთ პირობებში, სამწუხაროდ, პრაქტიკულად შეწყვეტილია მისი



შევსების ძირითადი წყაროს — ორგანული სასუქების წარმოება და გამოყენება.

ქვეყნის ტერიტორიაზე საკმაოდ და გავრცელებული ისეთი დაბალნაყოფიერი ნიადაგები, როგორიცაა: დამლაშებული და ბიცობი, მჟავა და ეროზირებული, დაჭაობებული და დაზიანებული ნიადაგები, რომელთა გაუმჯობესებისა და ნაყოფიერების ამაღლების გარეშე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მათ გამოყენებას უკუგება არ ექნება.

ნიადაგების ზემოთ აღნიშნული მდგომარეობის პირობებში აუცილებელია ნიადაგურ-აგროქიმიური გამოკვლევების განახლება, რომელიც ბოლო 2 ათეული წლის მანძილზე, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ნიადაგზე ყოველგვარი ზემოქმედება და მინერალური სასუქების ბალანსირებული გამოყენების მცდელობა, წინასწარი გამოკვლევების და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გარეშე დაუშვებელია. ამის განხორციელება შრომატევადია და შესაბამის დაფინანსებას მოითხოვს.

საქართველოს ყველა ტიპის ნიადაგების ჰუმუსის უარყოფითი ბალანსის უდევციტო ბალანსამდე აღსადგენად წელიწადში საშუალოდ 12 მილიონი ტონა ორგანული სასუქია საჭირო (**ნაკელზე გადაანგარიშებით**). **ორგანული სასუქი ამაღლებს ნიადაგის როგორც ეფექტურ, ისე პოტენციალურ ნაყოფიერებას.**

ორგანული სასუქების წარმოებისათვის ერთ-ერთი დიდი რესურსი საქართველოში გავრცელებული ტორფია. მასში დიდია ორგანული ნივთიერების შემცველობა, საკვები ელემენტების საერთო ფორმების რაოდენობა, მდიდარია სხვადასხვა ფიზიოლოგიური ჯგუფების მიკროორგანიზმებით, არ შეიცავს მცენარეთა დაავადებების გამომწვევ ბაქტერიებს, მისგან დამზადებული სასუქი ეკოლოგიურად სუფთაა. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუცილებელია ქვეყანაში ტორფის წარმოების რეაბილიტაცია, რომლის 45 საბადოა მოძიებული 1 მილიარდ კუბურ მეტრამდე მარაგით.

აღმოსავლეთ საქართველოს მინათმოქმედო ზონაში დამლაშე-

ბული და ბიცობი ნიადაგების 205 ათასი ჰექტარიდან 156 ათასი ჰექტარი ბიცობებია, მათ შორის 64 ათასი ჰექტარი სახნავია. **ბიცობი ნიადაგების მოთაბაშირებისთვის საქართველოს გააჩნია ადგილობრივი მოპოვების თიხა-თაბაშირის დიდი მარაგები, რომელიც ასამოქმედებელია.**

დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში, ჩაის პლანტაციების ფართობების გამოკლებით, 330 ათასი ჰექტარი მჟავა ნიადაგებია. მოკირიანების ღონისძიებათა შეწყვეტის გამო უკანასკნელ წლებში ამ ზონაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ძლიერ მჟავა ნიადაგების ფართობები და, ბოლო მონაცემებით, იგი 37 ათას ჰექტარს შეადგენს, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაბალია. აღნიშნული მჟავა ნიადაგების თითოეული ჰექტარის მოკირიანებისთვის საჭიროა დაახლოებით 500-550 ლარის დანახარჯი, მისი უკუგება კი, ამ ტიპის ნიადაგების იდენტურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად შენარჩუნებასთან ერთად, საკმაოდ დიდია.

ბუნებრივი ფაქტორების და ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედების (დიდქანობიანი ფერდობების ათვისება, ნიადაგის დამუშავების წესების დარღვევა, ტყისა და ბუჩქნარების უსისტემო კაფვა, სათიბების გადამეტებული ექსპლუატაცია ა. შ.) შედეგია ეროზია.

საქართველოში სხვადასხვა სახის ეროზიულ პროცესს განიცდის 1 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მათ შორის ძლიერ ეროზიას — 308 ათას ჰექტარზე მეტი, აქედან წყლისმიერია 206 ათასი და ქარისმიერი — 102 ათასი ჰექტარი. **წყლისმიერი ეროზია ვრცელდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, ხოლო ქარისმიერი ეროზია, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებზე.**

წყლისმიერი ეროზიის საზიანო მოქმედება შედარებით ძლიერად ვლინდება ფერდობებზე განლაგებულ სახნავ-სათეს ფართობებსა და გადაძოვილ საძოვრებზე. იგი გამოიხატება ნიადაგის ზედა ნაყოფიერი

ფენის ჩამორეცხვით, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ნიადაგში არსებული საკვები ელემენტების ჩამორეცხვას.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, გარე კახეთში, შირაქში, სამგორის ველზე, ქართლის ვაკეზე განვითარებულია ქარისმიერი ეროზია, რომელიც გამოიხატება ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის ამოქრავით, რაც ანადგურებს სახნავ-სათესი ფართობების დიდ მასივებს.

საქართველოში ეროზიული პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლითა და კვლევით მიღებული მასალების საფუძველზე, შემუშავებულია ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის წესები, რომელთა თანამიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს ამ პროცესის შეჩერებას.

ჭაობიან ნიადაგებს საქართველოში 220 ათასი ჰექტარი უკავია (საქართველოს მიწების საერთო ფართობის 2,9%). ჭაობიანი ნიადაგები აერთიანებს ლამიან-ჭაობიან ნიადაგებს.

მრავალწლიანი კვლევითი სამუშაოების საფუძველზე ჭაობიანი ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესებისა და დაშრობითი სამუშაოების ჩასატარებლად ქვეყანაში შემუშავებულია ღონისძიებები. შერჩეულია დაშრობილ მიწებზე მრავალწლიანი კულტურების გაშენებისა და ერთწლიანი კულტურების თესვა-მოყვანის აგროტექნიკა და ამ მიწების განოციერების სისტემა.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის მელიორაციული სამუშაოები ჯერ კიდევ 1925 წელს დაიწყო და მას ფართო პროგრამული ხასიათი 1932 წლიდან მიეცა. ეს პროექტი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე პრაქტიკულად შეჩერდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ნიადაგი, მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფასთან ერთად, პირდაპირ კავშირშია გარემოს დაცვასთან (ეკოლოგიასთან), მისი შენარჩუნებისა და ნაყოფიერების ამაღლების საკითხის გადაუდებლად გადაწყვეტა მიჩნეულ უნდა იქნეს ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად.

**თამაზ კუნჭულია,
შოთა კიკალიშვილი,
კავლე მახარაძე**



ეთნიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში

საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსთან უძველესი დროიდან ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის შესანიშნავი ტრადიცია ჩამოყალიბდა. როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნული, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართლში ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართლში, ქართველების გარდა, სხვა ეთნოსებიც დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ.

მცხეთა, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი ხდება, დასახლებული იყო ჯერ კიდევ ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში. მცხეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქ გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები და, ბუნებრივია, ეს ფაქტორიც დიდად განაპირობებდა მცხეთასა და მის შემოგარენში („დიდი მცხეთა“) სხვადასხვა ეთნიკური ერთეულის არსებობას.

ეროვნულ უმცირესობათა შორის ამჟამად ორი ეთნოსი — **ებრაელები** და **სომხები**, რომლებიც უძველესი დროიდან განუწყვეტლივ ცხოვრობენ საქართველოში. ებრაელები ჩვ.წ-მდე არიან მოსულები VI ან შეიძლება VIII საუკუნეშიც კი, ხოლო სომხები ჩვ.წ-მდე II საუკუნეში უნდა იყვნენ მოსულები. დანარჩენი ეთნოსები, ძირითადად, XVII-XVIII და განსაკუთრებით, XIX საუკუნეებში გადმოსახლდნენ საცხოვრებლად საქართველოში.

გასულ საუკუნეებში თბილისში მოხვედრილი ევროპელი მოგზაურები განცვიფრებას ვერ მალავდნენ იმ ფაქტის გამო, რომ თბილისის ერთ პატარა უბანში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებდა ქართული და სომხური ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. ევროპელმა მოგზაურებმა მსოფლიო ისტორიაში ეს უნიკალური ფაქტი, ქართველების მიერ სხვა რელიგიების შემწყნარებლობის შესანიშნავი მაგალითები, თავიანთ ნაშრომებშიც ასახეს. მაგალითად,

ფრანგი მოგზაური გრაფი ფერიერ-სოვბეფი, რომელიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებში იმყოფებოდა საქართველოში, აღნიშნავს: **„ქართველები მართალია მეტისმეტად მორწმუნენი არიან, მაგრამ სხვა სარწმუნოების ადამიანებს რელიგიის გამო არასოდეს აწყენინებენ“.**

განვითარების თანამედროვე დონეზე, ადამიანისთვის თავისი ქვეყნისა და ერის სიყვარული უაღრესად ფასეულია. ადამიანის გენეტიკური კოდი შერწყმული ნინაპართა ხსოვნის პატივისცემასთან, რომელშიც განივთებული არის ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მილიონობით ნინაპრის დაღვრილი სისხლი, სამშობლოს სიყვარულის შესანიშნავი მაგალითები, სახელოვანი ნინაპრების მთელი პლეადის მოღვაწეობა, პიროვნების ცხოვრების აზრის განუყოფელი და საუკეთესო ნაწილი ხდება.

ერთხელ არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჩაატარეს. სამხრეთ აფრიკული ფრინველის ერთ-ერთ სახეობას აქვს ცხოველის ბენვიდან ბუდის გარკვეული ფორმის გაკეთების გენეტიკურად დაპროგრამებული უნარი. ამ ფრინველის ხუთი თაობა მოკლებული იყო იმ მასალას, რომელსაც იყენებდა ბუდის გასაკეთებლად. მიუხედავად ამისა ამ ფრინველის მეექვსე თაობის წარმომადგენლებმა სწორედ ამოირჩიეს სხვადასხვა მასალის გროვიდან შესაფერისი ცხოველის ბენვი და გააკეთეს მათი სახეობისთვის დამახასიათებელი ბუდის ნიმუში. რა თქმა უნდა, მე-

ქანიკურად ამ მაგალითის ადამიანზე გადმოტანა გაჭირდება, რადგან მათ გენებში არ არის დაპროგრამებული ქცევის რთული სახეობები, მაგრამ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ურთიერთობები გარე სამყაროსთან, ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, საერთოდ ეროვნულ კულტურასთან და სულიერებასთან მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ახლავს პიროვნებას და იგი ამ კულტურის განუყოფელი ნაწილი ხდება (გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობს). ხომ ცნობილია, რომ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, სამშვილიშვილოდ გარდაეცემის“. სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა **მაჟა-ფშაველა: „ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუნაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშეპოჭილი“.**

დღეს ქართველ ხალხს დიდად აღელვებს დამაბუღი ურთიერთობა რუსეთთან. სწორედ ამ დამაბუღი ურთიერთობების შედეგად დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური პორტრეტი.

კავკასიაში გავლენის სფეროების ხელახალი განაწილება სერიოზული კონფლიქტების წყარო შეიძლება გახდეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ავტორიტეტული შეფასებებით XXI საუკუნეში კავკასიის რეგიონი იქნება ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ენერგორესურსების ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობას რეგიონში, რომელიც ზოგჯერ იღებს ღია დაპირისპირების სახეს და, სამწუხაროდ, რომლის დროსაც კავკასიის რეგიონის ინტერესები იჩრდილება.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო წარმოადგენს რეალური ინტერესის სფეროს, რადგან მის ტერიტორიაზე, როგორც ევრაზიის დერეფანზე, გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზები და ნავთობსადენები, რომელთა მეშვეობით გადაიქარება ამერიკული ფირმების მიერ ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი და გაზი შავ ზღვაზე და შემდეგ დასავლეთის ბაზარზე. უაღრესად მნიშვნელოვან ქვეყანას ამერიკისთვის კასპისპირეთის რეგიონიდან აზერბაიჯანიც წარმოადგენს, რადგან ძირითადად სწორედ აქ მოიპოვება ნავთობი და გაზი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლურმა სტრატეგიამ შეზღუდა რუსეთის როლი რეგიონში. საქართველო და აზერბაიჯანი არამარტო დაუმორღენ რუსეთს, არამედ აშშ-სა და თურქეთთან ერთად, ფაქტობრივად, გლობალურ რუსეთისთვის ხელსაყრელ მარშრუტებს. რუსეთი ამ მარშრუტს თავისი ნავთობმილსადენების სტრატეგიის სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს. თამაშგარეშე რჩება სომხეთი, რომელმაც, არაერთი შეთავაზების მიუხედავად, უარი თქვა, აზერბაიჯანელებთან ერთად მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ პროექტებში. ის ამ პროექტების განხორციელებაში საქარ-

თველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შესაძლო სტრატეგიულ ალიანსსაც ხედავს, რაც, მისი აზრით, შეიძლება მომავალში სომხეთის ინტერესებს შეენიწა-ალმდეგოს, ამიტომ რუსეთმა და სომხეთმა თითქოს საპასუხოდ სამხედრო პარტნიორობა განამტკიცეს.

აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, კასპიის ზღვის რეგიონში განლაგებულია მსოფლიოში გადაუმუშავებელი ნახშირწყალბადების უმსხვილესი მარაგი. მათ შორის, გამოძიებული მარაგი შეადგენს 17-დან 33-მდე მილიარდ ბარელ ნავთობს და დაახლოებით 232 ტრილიონ კუბურ ფუტ ბუნებრივ გაზს. პოტენციურმა მარაგმა შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 200 მილიარდი ბარელი ნავთობი და 350 ტრილიონამდე კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი.

ეს ფაქტორები განსაზღვრავს, ძირითადად, რეგიონის მნიშვნელობას, ამიტომ წარმოადგენს იგი არამარტო რუსეთის, არამედ ამჟამად უკვე მსოფლიოში ერთადერთი სუპერ სახელმწიფოს — აშშ-ს ინტერესების სფეროს. ასეთ სიმდიდრეს ადრე თითქმის მთლიანად რუსეთი განაგებდა, ახლა იგი იძულებულია მსოფლიო და რეგიონული სახელმწიფოებთანაც დააბალანსოს თავისი ინტერესები. ამისათვის მას, უპირველეს ყოვლისა, ჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი ზეგავლენის აღდგენა, რათა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა არა მარტო გაუწიონ არამედ აუცილებლად გაუწიონ ანგარიში მის ინტერესებს და ამით გარკვეული პრიორიტეტი მოიპოვოს რეგიონში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესთა დაბალანსების სფეროში. ამაზე და მოკიდებული რუსეთის ენერგეტიკული უსაფრთხოება. ყოველივე ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქამდე ჯერ კიდევ არ არიან შეთანხმებული კასპისპირეთის სახელმწიფოები — ირანი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი — კასპიის სამართლებრივი სტატუსის საკითხში. ასევე არ არიან ისინი შეთანხმებული

ზღვის ბიორესურსების ექსპლუატაციის უფლებაზე.

კასპიის ზღვის შუა და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილის განსხვავებით, ჩრდილოეთი ნაწილი უკვე მთლიანად გაყოფილია. სამმა კასპისპირეთის სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კასპიის ფსკერის 19 პროცენტი ეკუთვნის რუსეთს, 29 პროცენტი — ყაზახეთს და 19 პროცენტის ფარგლებში — აზერბაიჯანს. რაც შეეხება თურქმენეთსა და ირანს, მათ შესთავაზეს ვარიანტი — ან დაეთანხმებიან კასპიის გაყოფის შემუშავებულ პირობებს, ან დააყენებენ რა ეჭვის ქვეშ კასპიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში არსებულ საბადოებს, უცხოელ ინვესტორებს დააფრთხობენ პერსპექტიული სტრუქტურების შემუშავებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაწყებისთანავე დესტრუქციული ძალები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ნაციონალური სეპარატისტული ძალები, გაეღვივებინათ პოლიტიკური და რელიგიური ექსტრემიზმი პროექტის ჩასაგარდნად. ამ მოვლენათა ფონზე აზერბაიჯანმა გამოაცხადა თავისი მზადყოფნა განალაგოს ნატოსა და თურქეთის სამხედრო ბაზები აფშერონზე. აშშ უკვე დაიწყო მუშაობა ამ რეგიონის მომავლის ფორმირებისათვის. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლა კასპიის ნავთობისა და მისი ტრანსპორტირებისათვის ევროპაში. ამასთან შეთავაზებულმა კასპიის ნავთობის მილსადენმა, აშშ-ის აზრით, გვერდი უნდა აუაროს ირანის, სომხეთისა და რუსეთის ტერიტორიებს, ამავე დროს, მეტოქეობა უნდა გაუწიოს რუსეთს ტრანზიტული ტვირთების ალტერნატიული ტრანსციმპირული გზების შექმნაში ევროპიდან აზიაში და უკან. 1998 წელს ვაშინგტონმა მიიწვია აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პრეზიდენტები და ამერიკულმა მხარემ ხელი მოაწერა მთელ რიგ დიდი იმედის მქონე დოკუმენტებზე. ეს დოკუმენტები დიდ მნიშვნე-



ლობას ანიჭებენ არა მარტო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას, არამედ საერთოდ სატრანსპორტო დერეფანს, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენას და, მაშასადამე, შავ ზღვაზე გასასვლელს, რაც ზრდის საქართველოს ავტორიტეტს და აუცილებელს ხდის მის უმუშალო მონაწილეობას ტრანსნაციონალური კამპანიების მუშაობაში, სხვადასხვა ხელსაყრელი პროგრამის შექმნაში. ეს მით უფრო არსებითია, რომ ნავთობისა და გაზის მარაგების ამონურვის შემდეგაც, აბრეშუმის გზის ფუნქციონირება არასოდეს შეწყდება, რადგან ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნილება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და უკან მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა — დაწყებულია სარკინიგზო მაგისტრალის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს თურქული მონაკვეთის მშენებლობა. ეს გზა, რუსეთის გვერდის ავლით, აღმოსავლეთს დასავლეთთან დააკავშირებს. მომავალში შავი ზღვის საქართველოს მონაკვეთის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზრდება სარკინიგზო ტვირთბრუნვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამ შემთხვევაში, რუსეთი მიიჩნევს, რომ ის განზე რჩება და ეს მას მიაყენებს არა მარტო უდიდეს ეკონომიკურ ზარალს ახლო და შორეულ პერსპექტივაში, არამედ მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოლიტიკურ ზეგავლენას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე. ამიტომ, რუსეთი მიისწრაფვის კონტროლი დაანესოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე. ამასთან, რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესი დაძაბვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შავ ზღვაზე რუსეთის გასვლის პრობლემაა. მართალია, რუსეთს აქვს ზღვაზე გასასვლელი სევასტოპოლის სახით, მაგრამ მხოლოდ გარკვეული ვადით. სევასტოპოლი უკრაინის ნავსადგურია და უკრაინა უკვე მოითხოვს ამ ვადის გადასინჯვას მისი შემცირების მიზნით. რუსული ნავსადგური ნოვოროსიისკი კი წელიწადში ოთხი

თვე გამოუსადეგარია და ამიტომ იზრდება რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ.

ამავე დროს აშშ და დასავლეთის ქვეყნები უკანასკნელ წლებში ზრდიან თავიანთ კაპიტალდაბანდებას კავკასიასა და შუა აზიაში ეკონომიკის სხვა პერსპექტიული დარგების განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ოქროს, ქრომის, ნიკელისა და სხვა ნიაღისეული საბადოების ათვისება, რომელთა მარაგი მსოფლიოში სულ უფრო იზრდება. ეს კი ამ ნიაღისეულ სიმდიდრეებს ფასდაუდებელს ხდის XXI საუკუნეში.

ეთნოკონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს განვითარება. კონფლიქტების სანყის ეტაპზე ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. შეიარაღებულმა შეტაკებებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინინა, ასეული ათასობით ადამიანი კიდევ ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი გახდა.

ეთნოკონფლიქტებმა საქართველოში მთლიანად შეცვალა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება. უპირველეს ყოვლისა, უაღრესად შემცირდა შობადობის როგორც აბსოლუტური ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. საქართველოში განსაკუთრებით ამაღლდა მოკვდაობის დონე. იმდენად დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, კიდევ შემცირდება შობადობა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება, გააუარესა ყველა დემოგრაფიული მაჩვენებელი. პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძის მოსაზრებით, სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თბილისმა არაერთხელ აღნიშნა კონფლიქტების გადანყვეტაში რუსეთის გადამწყვეტი როლი, ხოლო რუსეთმა არაერთხელ აღნიშნა ამ პრობ-

ლემის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მოგვარების აუცილებლობის შესახებ, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დასრულებას ბოლო არ უჩანდა. სულ ბოლოს კი, რუსეთმა გადადგა უაღრესად არაგონივრული და უსამართლო ნაბიჯი. საერთაშორისო სამართლის, გაეროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული პრინციპებისა და თვით რუსეთის მოქმედი კანონების დარღვევით, რუსეთმა ოფიციალურად ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ავტომატურად რუსეთმა დაკარგა კონფლიქტის მოგვარების ხელშემწყობის სტატუსი და ის კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ იქცა. გარდა იმისა, რომ ეს ცუდი პრეცედენტია თვითონ რუსეთისათვის და ის მას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება, ამით მნიშვნელოვნად გაართულდა აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში იმპერიული ინტერესები სამართლიანობაზე გაცილებით მაღლა დგება და რეალიები, რომლებშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, გაუთვალისწინებელი რჩება. ამიტომ ამ პრობლემის შესახებ არაერთ უმაღლეს დონეზე შეხვედრას, მიღებულ გადანყვეტილებებსა და გაკეთებულ განცხადებებს შედეგი ფაქტობრივად არ მოაქვს. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს დევნილთა დემოგრაფიულ პოტენციალს და, საერთოდ, ეთნოპოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე, საგრძობლად აუარესებს დემოგრაფიულ ვითარებას.

დემოგრაფიული ვითარება კი საქართველოში, მართლაც, უმძიმესია. კრიზისულ ზღვრამდე დაცვა შობადობა, გაიზარდა მოკვდაობა, მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია, საზღვარგარეთის ქვეყნებში მილიონზე მეტი მოქალაქე ნავიდა. 1999-2007 წლებში ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ 1,4 ბავშვს აჩენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის გამრავლება უზრუნველყოფილია



მხოლოდ 65,1 პროცენტით. ცალკეულ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო, ე.ი. ფაქტობრივად ხდებოდა ერთი მშობლის ანაზღაურება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიარაღებული კონფლიქტები ძირითადად ეთნოპოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. ამის შედეგად არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. მაგალითად, 390 ათასიანმა სომხურმა თემმა აზერბაიჯანში და 84 ათასიანმა აზერბაიჯანულმა თემმა სომხეთში თითქმის მთლიანად შეწყვიტა არსებობა. „აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, აფხაზეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილი ეთნიკური წმენდის შედეგად, საქართველოს შიდა რაიონებში გაიქცა“ (ვ. მკომელი). ამასთან, რუსულენოვანმა მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვა კონფლიქტებით მოცული ყოფილი რესპუბლიკები და ძირითადად რუსეთში გადასახლდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ისე როგორც მთელ XIX საუკუნეში, კავკასიაში მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით საქართველო გამოირჩეოდა. 1926 წელს კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 35,1 პროცენტს უდრიდა, ე.ი. ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს შემდეგ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა კავკასიის მთელი მოსახლეობის 30,4 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის (ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის-ალანიას, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის რესპუბლიკები) მოსახლეობის წილი 22,9 პროცენტს არ აღემატებოდა.

2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ძირითადად ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილმა 19,8 პროცენტი შეადგინა ნაცვლად

35,1 პროცენტისა 1926 წელს. სამაგიეროდ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი — 30,4 პროცენტიდან 36,6 პროცენტამდე.

ქართველ მოსახლეობაში შობადობის სისტემური შემცირების შედეგად ქართველების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაშიც. თუ ისტორიულად სამხრეთ კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო სხვა მკვიდრ ერებთან შედარებით, შემდეგში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კერძოდ, 1926 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველები მეტნი იყვნენ სომხებზე 465 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებზე — 145 ათასი კაცით. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ქართველებს სომხები აღემატებოდნენ 107 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები — 2394 ათასით. მოსახლეობის ბოლო აღწერების მონაცემებით, სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები ქართველებს უკვე 3751 ათასი კაცით ჭარბობენ. ამასთან, აზერბაიჯანში 1989-1999 წლებში აზერბაიჯანელები 1400 ათასი კაცით გაიზარდა.

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა — 39,5-ს, ხოლო სომხეთისა — 15,0 პროცენტს. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა — სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და იგი 28,1 პროცენტი გახდა. აზერბაიჯანის მოსახლეობამ შეადგინა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი — 51,9 პროცენტი. ამალღდა სომხეთის მოსახლეობის წილიც — 20,0 პროცენტამდე.

საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის პირმანენტული შემცირებისა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რე-

გიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, ქვეყანას დიდად გაუჭირდება თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და საერთოდ ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე შეიქმნება მის სულიერ და ტარიტორიულ მთლიანობასა და ერთიანობას, აღრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ქართული ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გადაუვალა ხდება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი, ერის გენოფონდის ცვლილება. ყოველივე ეს კი განსაკუთრებით საშიშია ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც საკმაოდ მრავალი ინტერესთა გადაკვეთის წერტილები და, ამდენად, გაძნელებული საკუთარი ინტერესების დაცვა. ეს მით უფრო საგულისხმო ხდება გლობალიზაციის პირობებში.

გლობალიზაციის პროცესს ნაკლებად აინტერესებს ეროვნული ფასეულობები, და მაშასადამე, ასეთ პირობებში თითოეულმა ერმა უნდა იზრუნოს, უნდა მონახოს ძალა თავისი ზნე-ჩვეულებებისა, ტრადიციების, სულიერების დასაცავად და განსავითარებლად.


თუკი საინტერესოა მსოფლიოსთვის სხვადასხვა კულტურა, მაშინ უნდა შევინარჩუნოთ ამ კულტურების მატარებელი ეთნოსები. კულტურის გლობალიზაციას არ უნდა ემსხვერპლოს კაცობრიობის ეთნიკური მრავალფეროვნება. უფალმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“ და ჩვენც მოვალენი ვართ, გლობალიზაციის პროცესში შევინარჩუნოთ ეს ჰარმონია.

ანზორ თოთაძე,
წიგნიდან „საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა“, თბ., 2011

გურამ ფირცხალავა — მეზობელი კასი, ვაჟკასი, მართალი მოქალაქე და დიდი მსახიობი

74 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა. დაიბადა 1940 წლის 18 თებერვალს ფოთში. 1966 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1966 წლიდან მუშაობდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1972 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი იყო.

ბატონი გურამი „საქართველო და მსოფლიოს“ ხშირი სტუმარი გახლდათ. მისი გამოსვლები გაზეთის ფურცლებზე ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობით, შეუპოვრობით, ყოფილი ხელისუფლებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულებით: „ამ მთავრობას უფლება თუ მივეცი, ჰიტლერი კრემატორიუმებში ებრაელებს რომ წვავდა, დედას გეფიცები, ამასაც გააკეთებს“, — თქვა მან ერთ-ერთ თავის ინტერვიუში 26 მაისის აქციის დარბევის კვალზე რომ ჩამოვართვი. ამის განცხადებას სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გამბედაობა სჭირდებოდა.



გულჩვილიც იყო და გულკეთილიც ადამიანების მიმართ. 26 მაისის სააკაშვილის ზონდერებმა თავში ხელკეტები რომ ურტყეს, სმენა დაუქვეითდა ძალიან, მაგრამ ამას კი არ ნუხდა, გოგი ქავთარაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ადარდებდა: იმ დარბევის დროს ყურში „არალეგალური იარაღის“ ტყვია მოხვდა და ნეტავ, გადარჩეს დაყრუებას. კიდევ კარგი, საფეთქელში არ მოარტყესო.

სოსო ჯაჭვლიანის შიმშილობის გამო ნუხდა: ისეა დასუსტებული, კაცებს რომ მოვუყევი, იტირესო. სთხოვდა, შეენყვიტა პროტესტის გამომხატვის ეს უკიდურესი ფორ-

მა. რამე თუ დაგემართება, ამ კაცთმოძულეებს გაეხარდებათო, ამუნათებდა. მხოლოდ მაშინ შეეშვა, როცა სოსომ განუცხადა: არ შემოძლია, ამათ ისევ ვუყურო, საკუთარი თავი რაღაცით უნდა დავსაჯოო. ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებ ამასო, გურამიო.

ძალიან ანერვიულებდა ლუკა კურტიანიძის მდგომარეობა — არნახული შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ ვაჟკაცია და უნდა გადაიტანოსო.

ბავშვობიდან ზრდიდა დის შვილს — ყრუ-მუნჯ თამარს. ეუბნებოდა: ბედნიერი ხარ, რომ არ გესმის, რაც ჩვენს თავზე

ტრიალებსო. მუნჯის ენა დედამ იცისო.


ჰოლივუდის ვარსკვლავი პატარა ბავშვს რომ იშვილებს, თავს გადაჭამენ მსოფლიოს, ნახეთ, რამხელა სიკეთეს სჩადისო. გურამს ერთხელ წამოსცდა მხოლოდ.

მოღვაწე კაცი იყო. თავგადადებული მამულიშვილი. სჯეროდა იმისი, რისთვისაც იბრძოდა. ერთხელ ვკითხე, — თქვენ კი იბრძვით, მაგრამ ეს ტერორისტი ხელისუფლება თავის ადგილზე რომ რჩება, რისი იმედი გაქვთ-მეთქი?

— რასაც ახლა ვიტყვი, — მიპასუხა, — თუ ასე არ არის, მაშინ



„ცხელი კალდი“



„თეთრი ბაირალები“

მართლა დალუპულები ვყოფილვართ ჩვენიც და საქართველოც. სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ რაც ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინეს, ის დაუნდობლობა და უკანონობა, რასაც ესენი სჩადიან, საკუთარი ხელით ყელის გამოჭრააო.

„ნაცები“ ქართველ ხალხს სამოქალაქო ომისკენ უბიძგებენ. არა მგონია, ქართველები ამაზე წამოვდეთ. ვფიქრობ, წინააღმდეგობა და შეურიგებლობა მდუმარე და პირისპირებით უნდა გამოვხატოთ. ჩვენი ხმები არჩევნებისთვის შევიწინაბოთ.

ხომ გახსოვთ, „დათა თუთაშხიაში“ რაჟა სარჩიმელიას მიერ დაყარულულთაგან ერთი ქალბატონი მეორეს რომ მიმართავს, ვიკივლებ და ამყევი, ეგებ, ვინმემ გაიგონოს და მოგვეშველოსო. მე კი ვიკივლებ, მაგრამ ამყევიან ესენიო?

ამ დღეში ვართ: ან უნდა ვიკივლოთ, ვიბლავლოთ და მტკიცედ ვიდგეთ, ან ხელი დავიბანოთ, ჩვენვეთ ლოგინში, ვუყუროთ და შევეგუოთ ამათ.

ასეთ პოზიციაზე იდგა ბატონი გურამი.

მიხეილ სააკაშვილს პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარეს (ეს პიესა გენიალური ნაწარმოებიაო, უთქვამს არაერთხელ) ადარებდა. მაგრამ ამათთან შედარებით თუთაბერი ერთგვარად კეთილიც კია. საცოდავი იყო, თავის თავის უბე-

დური, მაგრამ როგორ შეიფერადიდაცობა, ჩვენი სააკაშვილის მსგავსად!

მის მიერ განსახიერებულ კინოგმირებს ადარებდა, მათ შორის, — ყაჩაღებს, და ამბობდა, რომ ეს ბობოლა ვაირეფორმატორები სულიერად გახრწნილი ბოროტმოქმედები არიან:

— რაჟა სარჩიმელიას, მაგალითად, თავისი წესები ჰქონდა და იმათ არ გადააბიჯებდა. ჩვენი მთავრობის სურვილსა და „გაქანებას“, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებს მოქმედი სახელმწიფო კანონები, ამიტომ არღვევენ. ეს არაერთხელ დაადასტურეს. ჩვენმა საზოგადოებამ ამათ უფლებას რომ მისცეს, როგორც გინდათ, მოიქეციოთ, დახვრეტასაც შემოიღებენ. ამათი მისწრაფება ბოროტებისკენ უსაზღვროა. არავითარი მორალური ნორმა და სამართალი ამათთვის არ არსებობს. **იმას, რასაც ხელისუფლება და სპეცრაზმი სჩადის, პირდაპირ გეტყვით, რაჟა სარჩიმელია არ იკადრებდა, არც რაჟა, არც ის მეორე ყაჩაღი — ბონდო. არც ერთი ყაჩაღი არ იკადრებდა. თვითონ ჭედენ კანონებს, როგორც ხელს აძლევთ, ისეთებს.**

— **ვაი, იმ ძველანას, იმ საქართველოს, სადაც ხალხია დაშინებული. მაგრამ როდემდე იქნება დაშინებული ხალხი? — ესეც აქვს ნათქვამი.**

დიდხანს არ დაგვჭირვებია ლო-

დინი: ნავიდნენ ყოფილები, გავუშვით.

ერთხელ გაიხსენა: — გოდერძი ჩოხელის ფილმში „ადამიანთა სევდა“ სარდალს ვთამაშობ. კინოსატირაა. სოფლებს ვიპყრობ ქალების „ლაშქრით“. მივადექით ერთ კულტურულ სოფელს. გოდერძიმ მკითხა, — რა ვქნათ, როგორ ავიღოთ ეს სოფელი ისე, რომ სხვების აღებას არ დაემსგავსოსო. კულტურული სოფელი უკულტუროდ უნდა ავიღოთ-მეთქი. როგორ? როგორ და სახით წინ კი არ შევუტოთ, არამედ უკან-უკან სვლით, ზურგშექცევით. მოეწონა. უკაცრავად და, ნავიკუზეთ და უკანა სვლით გადავედით შტურმზე. ავიღეთ ეს სოფელი.

ბევრი ვიცინეთ მაშინ ამ „ორიგინალური“ სამხედრო ფანდის გამო.

— ყმანვილობისას შოშიას ბუდე ვიპოვე და თითი რომ გავუნოდე, ბარტყებს ეგონათ, დედაჩიტი მოვიდაო, ანივნივდნენ, პატარა ნისკარტები დააბჩინეს. მოტყუვდნენ. ასე ატყუებდნენ ხალხს, მაგრამ ახლა ველარ მოატყუებენ.

და მგონი, არც არავინ ცდილობს ამის გაკეთებას.

ამ იმედით ნავიდა იქ — ზევით, სადაც არავინ იცის, არის თუ არა თეატრი და კინემატოგრაფი.

მებრძოლი კაცი იყო გურამ ფირცხალავა, ვაჟკაცი, მართალი მოქალაქე და დიდი მსახიობი.

არამაზ სანუბლიძე



თბილისელი ოქრომჭედლები

საქართველოში ძველი დროიდან განვითარებულ ხელოვნების მრავალ დარგს შორის ლითონის მხატვრულ დამუშავებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას უძველესი დროიდან მისდევდნენ და დღემდე ფართო გამოყენება აქვს. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები ცნობილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ. თავიდანვე საყოველთაოდ აღიარებული იყო და დიდ მონონებას იმსახურებდა შუა საუკუნეების ქედური ხელოვნების ძეგლები. გასაყიდად გასატან საქონელთა შორის ქართული იარაღი, თავისი ვერცხლის შემკულობით, ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა, ხოლო ქართული ვერცხლის ჭურჭლით არა ერთი ქვეყნის სუფრა იყო დამშვენებული.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოში ოქრომჭედლობის მნიშვნელოვანი კერები არსებობდა. ასეთები იყო შუა საუკუნეებში მონასტრებთან არსებული საოქრომჭედლო სახელოსნოები — ხობის, ოპიზის, ტბეთის, გელათის, აგრეთვე, საქართველოს მთიანეთში — სვანეთში, რაჭასა და ხევსურეთში. ამ სახელოსნოებში, ძირითადად, მაღალმხატვრული ღირებულების საეკლესიო რიტუალის ნივთები იქმნებოდა. გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში თითქმის ყველა დაბასა და ქალაქში ვხვდებით საოქრომჭედლო სახელოსნოებს. აქ გასული საუკუნეების ტრადიციებზე იზრდებოდნენ მომავალი ოქრომჭედლები. ოქრომჭედლობის წარმოების მნიშვნელოვანი ქალაქები იყო: **თბილისი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი, გორი და ახალციხე**. მათ შორის მთავარ ცენტრად თბილისი ითვლებოდა.

თბილისი, დიდი ისტორიისა და ტრადიციების ქალაქი, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (იგი გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც გადადიოდა სავაჭრო გზები), იმთავითვე ითვლებოდა ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ცენტრად. **თბილისში განვითარებული იყო ხელოსნობის ყველა დარგი: მხატვრული ხელსაქმე, ხალიჩის, ფარდაგის და ჯეჯიმის ქსოვა, ძვლის, ხის და ქვის კვეთილობა,**

კერამიკა, ლითონის მხატვრული დამუშავება და სხვ. ქალაქში მრავალი სავაჭრო სახელოსნო ნაგებობა და კერძო სახელოსნო იყო. ხელოსნები მუშაობდნენ კერძო დაკვეთებზე, ამზადებდნენ ნივთებს ბაზრისთვის, გასაყიდად. თბილისის საოქრომჭედლო სახელოსნოებში XVIII ს. ბოლოდან უმეტესად ვერცხლის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და ოქროსა და ვერცხლის სამკაულები მზადდებოდა. მათი მხატვრული და ტექნიკური შესრულების დონე ბევრად აღემატებოდა ამ პერიოდის საეკლესიო ნივთების მხატვრულ ღირებულებას.

ამ დროის ვერცხლის **ღვინის ჭურჭელი და სასმისები** — ყარყარები, კულები, აზარფეშები, ფიალები და სხვ., გამოირჩევა ფორმათა დახვეწილობით და მოხდენილი პროპორციებით. ისინი ან სრულიად სადად, შეუმკობლადაა დატოვებული, ან მეტად თავშეკავებულიადაა შემკული ვიწრო ორნამენტული ზოლით, რადგან აქ თავად ფორმა ჭურჭლისა, მისი აზიდული პროპორციები ქმნიან განუმეორებელ სილამაზეს.

მაღალი მხატვრული გემოვნებითა და შესრულების ოსტატობით გამოირჩევა ამ დროის **სამკაულები**. ქალისა და მამაკაცის **ნაციონალური ტანსაცმლის შემკულობა** — **შუბლის ქინძისთავები, გულსაკიდები, სამაჯურები, ვერცხლის ქამრები, მასრები, ქამ-**



ბ. ხანდამაშვილის ვერცხლის დეკორატიული ლარნაკი. 1937 წ.

რებზე ჩამოკიდებული სათუთუნეები და სხვ.

ქართველმა ოქრომჭედლებმა საუკუნეებით შემოგვინახეს მხატვრული და ტექნიკური დამუშავების ტრადიციები და დღემდე მოგვიტანეს იგი. რაც თავისთავად იმითაც იყო განპირობებული, რომ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას, კეთილშობილი ლითონების გადადნობის ტექნოლოგიურ პროცესს და მისი სინჯის დაყენებას, სევადის, მინანქრის, სხვადასხვა კავშირის შემადგენლობას და სხვ., მუშაობის პროცესში შემუშავებულ ჩვევებს, ხელოსანი საიდუმლოდ ინახავდა და მას მხოლოდ თავის შთამომავლობას, ამქრისა თუ სახელოსნოს წევრებს გადასცემდა. ასე გადადიოდა თაობიდან თაობაზე ლითონის მხატვრული და ტექნიკური დამუშავების თავისებურებანი.

ამ ტრადიციამ, თავის მხრივ, გარკვეული როლი ითამაშა ხელოსანთა ოჯახების ჩამოყალიბებაში, სადაც მამიდან შვილზე და მის შემდგომ თაობაზე გადადიოდა მშობლების ხელობა, ან ძმების რამდენიმე თაობა აგრძელებდა ამ ტრადიციას.



ასე, მაგალითად: **XVIII საუკუნის ბოლოდან ცნობილია მეუნარგებისა და ძაძამიძეების ოჯახი.** ძაძამიძეების ოჯახის ტრადიციების ბოლო გამგრძელებელი უკვე ხანდაზმული ოსტატი ფილუ ძაძამიძე 1960-იან წლებამდე (იგი გარდაიცვალა 1963 წელს) ახალგაზრდული გატაცებით აგრძელებდა წინაპრების დანყებულ საქმეს. **XIX საუკუნიდან ცნობილი არიან: მამა და შვილი მიხეილ და დავით მამულაშვილები, გიორგი და ყარამან ელიზარაშვილები, ძმები თეოფილე და არჩილ ასათიანები, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში მუშაობდნენ ძმები გუდაძეები და ჯიქიები. ასევე აგრძელებენ დღემდე ამ ტრადიციას მამა და შვილი ანდრიაშვილები და ძმები ქუთათელაძეები.**

ქართული ოქრომჭედლობა, რომელიც საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილებისა და ადგილობრივი ტრადიციების შემდგომი განვითარების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, ყოველთვის თანაბრად როდი ვითარდებოდა, ჰქონდა აღმავალი და დაღმავალი პერიოდები. იგი ხასიათდებოდა ხან მაღალმხატვრული გემოვნებითა და შესრულების მაღალი ტექნიკით, ხან ნაკლები პროფესიონალობით, ზოგჯერ ოსტატების მიერ ვხვდებით ტექნიკური ხერხების გამოყენების მრავალფეროვნებას, ზოგჯერ კი გაცილებით უბრალო, სადა შესრულებას.

განვითარებული შუა საუკუნეები ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე აყვავების ხანაა. ამ პერიოდის ჭედური ხელოვნების ძეგლები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო ხელოვნების ძეგლთა შორის. უმაღლეს საფეხურს აღწევს ამ დროს ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ძალა. გვიან შუა საუკუნეებში იგი თანდათან სუსტდება და XIX საუკუნის ბოლოდან, ქართული ოქრომჭედლობა, რომელიც ხელოვნების დამოუკიდებელ მხატვრულ დარგს წარმოადგენს, ხელოსნობად იქცევა.

მართალია, სპეციფიკური, ეროვნული ხასიათი განსაკუთრებუ-

ლი სიძლიერით სწორედ ხალხურ შემოქმედებაში იჩენს თავს, რადგან მასში ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებს, მაგრამ მას აქვს მიდრეკილება თანამედროვეობასა და სიახლესთან ერთად ეროვნული ხელოვნებისთვის უცხო ელემენტების შეთვისებისადმიც. ასე, მაგალითად: XVIII საუკუნის ქართულ ოქრომჭედლობაში თანდათან თავს იჩენს ევროპული და აღმოსავლური ელემენტები. ეს უცხოური გავლენები თავდაპირველად ტექნიკური ხერხების გამოყენებაში მჟღავნდება, მოგვიანებით გამოსახულებებსა და სიუჟეტებში, და ბოლოს ორნამენტული მოტივების გამოყენებაშიც იჩენს თავს. XVIII საუკუნის II ნახევარში ეს უფრო მატულობს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გავლენებს არასოდეს ჰქონია ისეთი ძალა, რომ მთლიანად დაექვემდებარებინა ქართული ოქრომჭედლობის საუკუნეებით შემუშავებული სპეციფიკური ეროვნული თავისებურებანი,

რომლებიც ყოველთვის განაგრძობდნენ არსებობას და ვითარდებოდნენ მეტ-ნაკლები სიძლიერით. XIX საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე განაგრძობდა განვითარებას ქართული ოქრომჭედლობის ძველი მხატვრული და ტექნიკური დამუშავების ხერხები და ხალხური ტრადიციები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თავს იჩენს XIX ს. I ნახევარში. ამის საუკეთესო ნიმუშს იძლევა **ცაიშელი ოსტატის პეპუ მეუნარგის** შემოქმედება, რომლის ზოგიერთ ნამუშევარში ვხვდებით ადგილობრივი ხალხური ტრადიციების და უცხო მხატვრული გადანყვეტის შერწყმას.

XIX საუკუნის II ნახევარში ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან დაკავშირებით გარკვეული გარდატეხა ხდება ხალხის ცხოვრებაში, მკვეთრად იცვლება ქართული ოქრომჭედლობის განვითარების სურათი. რუსეთში საფაბრიკო მრეწველობის განვითარება თავის დაღს ასვამს ქართულ ოქრომჭედლობას. მოსკოვიდან





შემოტანილი საფაბრიკო ნაწარმი თანდათან დევნის ადგილობრივ, საუკუნეობრივ შინამრეწველურ საქონელს, იცვლება დამკვეთის გემოვნებაც. შემოტანილი ნივთთა ძლიერი კონკურენციის გამო, ხელოსანი იძულებულია, დაექვემდებაროს მეშჩანური ბურჟუაზიის გემოვნებას და სურვილებს. იგი ფაბრიკის ნიმუშების უბრალო შემსრულებელი ხდება. თავისთავად ცხადია, ფერხდება ქართული მხატვრული ტრადიციების შემდგომი განვითარება.

საფაბრიკო მრეწველობის ძლიერი ზრდა და კონკურენცია იწვევს დაკვეთების შემცირებას და ამასთან დაკავშირებით ხელოსანთა დენადობას ქალაქიდან ქალაქში. უმეტესობა მოისწრაფის თბილისისაკენ. თბილისში თავს იყრიან კავკასიის სხვადასხვა მხრიდან გადმოხვენილი დაღესტნელი, აზერბაიჯანელი, სომეხი ხელოსნები. ხდება აღრევა სხვადასხვა ეროვნების ხელოსანთა შემოქმედების, იქმნება ეკლექტიკური ნაწარმოებები. ფართო გავრცელებას პოულობს ევროპული და რუსული ტიპის ჭურჭელი და სამკაულები. ცვლილებას განიცდის ქართული ტიპიური ვერცხლის ჭურჭელი, უცხო დეტალების დამატებით ვხვდებით ამ დროს ოქრომჭედლობის სხვადასხვა ტექნიკური ხერხების ერთდროულ გამოყენებას. ნივთები შემკულია როგორც ჭედურობით, ასევე გრაფირებით, სევადით, მინანქრით. ერთდროულად ოქროშია მოვარაყებული, ნაწილი ვერცხლისფრად არის დატოვებული და სევადითაა დამუშავებული. მსგავსი მიდგომა უცხო ქართველი ოსტატისათვის, რადგან იგი ნივთს, იქნება ეს საყოფაცხოვრებო, თუ საეკლესიო დანიშნულების, ყოველთვის ოქრომჭედლობის ერთი ტექნიკით ამუშავებს, მხოლოდ ჭედურობით, ან გრაფირებითა და სევადით, ან მინანქრით. სხვა ტექნიკური ხერხებით დამუშავებული ელემენტები ოსტატს მხოლოდ სამკაულების სახით შეაქვს მხატვრული ელფერის გასაძლიერებლად.



ბ. ხანდაშვილის ნამუშევარი: განიარპირიანი ქოთნის მოყვანილობის ლარნაკი ფოთლოვანი ორნამენტებით

ვერცხლის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი ამ დროს მთლიანად იფარება ჭედურობით შესრულებული ორნამენტული დეკორით. სტილიზებული მცენარეული ორნამენტი შერწყმულია ოთხყურა ყვავილოვან ორნამენტთან, ზოგჯერ ძველი ქართული ორნამენტის ცალკეულ მოტივებთან და



თომა ჯიქია: ვერცხლის სურა. 1950 წ.

ფანტასტიკურ, სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებებთან. ვხვდებით აგრეთვე საყოფაცხოვრებო სიუჟეტურ სცენებსაც — საქონილო წვეულებები, ქართული ცეკვები (მოცეკვავე ქალები და მამაკაცები), მამაკაცის ფიგურები ნაციონალური საკრავებით ხელში. ეს სცენები და ცალკეული გამოსახულებები მოცემულია ორნამენტულ ფონზე, ხშირად ჩაქსოვილია ორნამენტულ დეკორში. ასეთია მიხეილ და დავით მამულაშვილების მიერ შესრულებული ვერცხლის ჭურჭელი და ამ დროის სხვა ოსტატების ნამუშევრები, რომლებსაც ქართული დამღების — გაბრიელ, მამუკა, ნიკოლოზი, სტეფანე, იასე — სახელებით ან ინიციალებით ვიცნობთ.

მიუხედავად ამისა, საუკუნეებით შემუშავებული, ქართული ოქრომჭედლობის მხატვრული დამუშავების თავისებურებანი მაინც იჩენს თავს თბილისის სახელგანთქმული ოსტატების ნამუშევრებში, ხოლო საქართველოს მთიანეთი, რომელმაც არ განიცადა ეს გავლენები, ძველი ტრადიციით განაგრძობს ლითონის მხატვრულ დამუშავებას და ბოლომდე ინარჩუნებს თავისი კუთხისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებას.

ასე დასრულდა ქართული ოქრომჭედლობის „ხელოვნების დამოუკიდებელი დარგის განვითარების წრე რევოლუციამდე, რომელმაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი გაათავისუფლა და საფუძველი ჩაუყარა ეროვნული კულტურის თავისუფალ განვითარებას. მოაღწია მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ამ დარგის ტექნიკურმა ჩვევებმა. ამგვარად იშლება ახალი ფურცელი ქართული ოქრომჭედლობისა, დეკორატიული შემოქმედებისა და ახალი სიუჟეტური თემატიკის ფართო შესაძლებლობით“.

ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში სუსტად და არათანაბრად მიმდინარეობდა ქართული ოქრომჭედლობის განვითარება, მხოლოდ **30-იანი წლებიდან იწყება ხალხური შე-**



მოქმედების გამოცოცხლება.

ქართული ხალხური შემოქმედების შემდგომი განვითარების საქმეში გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ცნობილ თბილისელ ოქრომჭედლებს — **გიორგი ხანდამაშვილს, თომა და ამბროსი ჯიქიებს.**

გიორგი ილიას ძე ხანდამაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1882 წელს, მღვდლის ოჯახში. დედა — მელანია ცნობილი ოქრომჭედლის, გიორგი თეთრადის, ქალიშვილი იყო. მამა ფიქრობდა, შვილისათვის სასულიერო განათლება მიეცა, რისთვისაც იგი მიიზარა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ გიორგიმ სწავლა არ დაამთავრა, მესამე განყოფილების შემდეგ დატოვა სასწავლებელი. ბავშვობიდანვე იტაცებდა მას ოქრომჭედლობა. მამა იძულებული გახდა, დამორჩილებოდა შვილის სურვილს და მიეზარებინა იგი ოქრომჭედელ ივანე ბებურიშვილისთვის, რომელიც გიორგის პაპის გერი იყო. ბებურიშვილის სახელოსნოში გიორგიმ რამდენიმე წელი დაჰყო და საფუძვლიანად შეისწავლა ოქრომჭედლობა. 1902 წელს 20 წლის გიორგი მოსკოვს მიემგზავრება ცოდნის გასაღრმავებლად და ერთ-ერთი გერმანელი ხელოსნის საოქრომჭედლო სახელოსნოში ეწყობა შეგირდად. აქ იგი ოსტატდება ჭედურის ტექნიკაში. ამ პერიოდში ასრულებს იგი, თბილისის სიონის ვკლესიის შეკვეთით, ღვთისმშობლის ხატის მოჭედლობას.

მოსკოვიდან იგი ბაქოში გადის საცხოვრებლად, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლის გრაფირებასა და სევადის ტექნოლოგიას.

1918 წელს გიორგი ხანდამაშვილი ბაქოდან თბილისში ბრუნდება და საბოლოოდ რჩება თავის მშობლიურ ქალაქში. 1954 წელს იგი გარდაიცვალა.

ამრიგად, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან თბილისში გაატარა და, ბუნებრივია, მთელი მისი შემოქმედებაც ამ ქალაქთანა-



ბ. ხანდამაშვილი: ვერცხლის ლანგარი. 1939 წ.

ნაა დაკავშირებული. თბილისში ყალიბდება იგი, როგორც ოსტატი შემოქმედი.

მოსკოვში ყოფნამ, სადაც იგი გაეცნო მისთვის უცხო დასავლეთ ევროპული და რუსული ხელოვნების ნიმუშებს, ამასთანავე, გარკვეულ პერიოდში გერმანელი ხელოსნის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობამ, შემდეგ ბაქოში ცხოვრებამ და იქ სრულიად ახალმა, აღმოსავლური ხელოვნებით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა თავისებური გავლენა იქონია გიორგი ხანდამაშვილის მხატვრული აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ამ გავლენას ასეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა ოსტატის შემოქმედებისათვის, რომ მას შემდეგ იც არ ჰქონოდა სხვა, საამისოდ ხელშემწყობი პირობები. გიორგი ხანდამაშვილი თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ ფესვები აქვს გადგმული ეკლექტიზმს, ხელოსნები დაფანტული არიან ცალკეულ, კერძო სახელოსნოებში და კერძო დაკვეთებით ირჩენენ თავს, მივინყებულია შემოქმედებითი მუშაობა. ასეთ ვითარებაში უფრო ღრმავდება ის მხატვრული გემოვნება, რომელიც დასაწყისში

იჩენს თავს გიორგი ხანდამაშვილის ნამუშევრებში (სხვადასხვა ტექნიკის ერთდროული გამოყენება). ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ იგი ერთნაირი ოსტატობითაა დაუფლებული ოქრომჭედლობის სხვადასხვა დარგის ტექნოლოგიას, მუშაობს როგორც ჭედურობაში, ასევე გრეხილურში, დაუფლებულია გრაფირების, სევადისა და მინანქრის ტექნიკას. **შეიძლება ითქვას, რომ მის თანამედროვე ოქრომჭედლებს შორის იგი ერთადერთი იყო, რომელიც დიდი ოსტატობით ფლობდა ოქრომჭედლობის თითქმის ყველა დარგის რთულ ტექნოლოგიას; ამიტომ გიორგი ხანდამაშვილის შემოქმედება მეტად თავისებური და მრავალფეროვანია. იგი ასრულებს როგორც დეკორატიულ და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს, ასევე სამკაულებსაც.**

ამავე პერიოდში, და თითქმის ერთდროულად, იწყებენ მუშაობას ძმები ჯიქიები.

თომა ანდროს ძე ჯიქია დაიბადა 1888 წელს სოფ. ონოლიაში (მარტვილის რაიონში). პირველდანიებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, ათი წლის თომა ტოვებს მშობლების ოჯახს, ჩამოდის თბი-



ლისში და ენყობა შეეგირდად გრეხილურის ცნობილი ოსტატის — არჩილ ასათიანის კერძო სახელოსნოში. აქ იგი ეუფლება გრეხილურისა და სევადის ტექნიკას. სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი ხსნის თავის კერძო სახელოსნოს და უკვე საკმაოდ დაოსტატებული ხელოსანი მუშაობს კერძო დაკვეთებზე. ასრულებს ვერცხლის ქამრისა და ხანჯლის მორთულობას, ღვინის სასმისებს და სხვ.

თომასაგან სწავლობს ხელობას მისი უმცროსი ძმა **ამბროსი**. იგი დაიბადა 1892 წელს სოფ. ონოლიაში, 1902 წელს ჩამოდის თბილისში და სწავლას იწყებს ჯერ თბილისის სამოქალაქო პირველ-დანეებით სკოლაში, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ ძმასთან — სახელოსნოში.

თომა და ამბროსი ჯიქიები ოსტატებიან ოქრომჭედლობის ორ რთულსა და ფაქიზ დარგში — გრეხილურსა და გრავირებაში, ამასთან დაკავშირებით ეუფლებიან სევადის ტექნიკას.

თომა სამართლიანად ითვლება თბილისური გრავირების ხელოვნების ერთ-ერთი ნამყვან ოსტატად. იგი აგრძელებს თავისი მასწავლებლის — არჩილ ასათიანის ტრადიციებს. გადასცემს რა თავის გამოცდილებას და ტექნიკურ ჩვევებს თავის



თომა ჯიქია: მაგიდაზე დასადგმელი სევადით შესრულებული პორტრეტის დეკორატიული ჩარჩო

ძმას ამბროსის და შემდგომ თაობებს, ერთგვარად აყალიბებს და ამტკიცებს თბილისური გრავირების ხელოვნების ტრადიციებს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისისთვის გ. ხანდამაშვილი და ძმები ჯიქიები უკვე თბილისის სახელგანთქმული ოსტატები არიან. მათ თავიანთი სახელოსნოები აქვთ: გ. ხანდამაშვილს — ქართული კლუბის ეზოში (ამჟამადა. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო რუსული თეატრის შენობა), ჯიქიას — ვერცხლის ქუჩაზე. მუშაობენ ისინი

კერძო დაკვეთებზე. მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები განსაკუთრებული მონონებით სარგებლობს და დიდი მოთხოვნილებაც არის მათზე.

30-იან წლებში, როდესაც იწყება გამოცოცხლება ხალხური შემოქმედების ხაზით, ისინი აქტიურად ებმებიან ამ საქმეში და თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართული ოქრომჭედლობის შემდგომ განვითარებაში.

1936 წელს საბჭოთა გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ძველი ხალხური ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღდგენის, მისი შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის რიგი ღონისძიებებისა ტარდება როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკური ხაზით. საქართველოს მთავრობამ სპეციალური დადგენილება გამოსცა, რომლის საფუძველზეც ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან დაარსდა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელმაც თავისი მუშაობა მიმართა ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი მუშაობის პირობების შესაქმნელად. მას სათავეში ჩაუდგა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საქმის დიდი მოამაგე და ნამომწევი **არტემ გაბუნია**. ასეთი საორგანიზაციო ცენტრის ჩამოყალიბებამ შექმნა შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებისა.

1937 წელს ხალხური შემოქმედების სახლთან გაიხსნა ქართული ხალხური შემოქმედების გამოფენა. ეს იყო პირველი დიდი გამოფენა საქართველოში (წარმოდგენილი იყო ექვსასზე მეტი ექსპონატი), რომელმაც გვიჩვენა ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის განვითარება. ფართოდ იყო წარმოდგენილი ამ გამოფენაზე ლითონის მხატვრული დამუშავება. მან დიდი როლი ითამაშა დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების აღდგენა-დამკვიდრებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში. გამოფენამ გამოავლინა ხალხური ხელოვნების ყველა დარგის თვალსაჩინო ოს-



თომა ჯიქიას ხის ორი ჭინჭილა, შამპუნის სევადით და გრავირებით დამუშავებული სამკაულებით. 1949 წ.



ტატები და ცნობილი გახდა მათი ოსტატობის მაღალი დონე.

ამ გამოფენის მნიშვნელობა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ იგი არ შემოიფარგლა მარტო თანამედროვე თბილისელი ხელოსნებით. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქის ოსტატების ნახელავიც — XVIII საუკუნიდან მოყოლებული, მთელი საქართველოს მასშტაბით (თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი და სხვ.). გ. ხანდამაშვილისა და ძმების ჯიქიების გამოფენაზე გატანილ ნამუშევრებს დიდი წარმატება ჰქონდათ. 1937 წელს ეს ნამუშევრები გაიგზავნა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურეს ქართველმა ოქრომჭედებმა, რაც არაერთგზის იყო აღნიშნული პრესაში.

ამ გამოფენას კიდევ რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენა მოჰყვა. ყოველივე ამან ერთგვარი სტიმული მისცა ოსტატებს, გაეღრმავებინათ თავიანთი ტექნიკური ჩვევები, მაღალ დონეზე აეყვანათ თავიანთი შემოქმედება და საბოლოოდ დაეთმოთ ის ეკლექტიზმი, რომელმაც ასე მყარად მოიკიდა ფეხი XIX საუკუნის ბოლოდან. დაისვა მომავალი კადრების აღზრდის საკითხიც.

1938 წელს ხალხური შემოქმედების სახლთან ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული სამხატვრო სახელოსნო, რომელიც შემდეგში გადაიქცა ქართული ხალხური ხელოვნების სასწავლო კომბინატ-

ად. ამ კომბინატში პირველივე დღიდან იწყებენ მუშაობას გ. ხანდამაშვილი და ძმები ჯიქიები და მთელი მონდომებით ეწევიან შემოქმედებით მუშაობას. ყველაზე მეტი და მაღალ დონეზე შესრულებული ნამუშევარი მათ ამ კომბინატში შექმნეს. ისინი ითვლებოდნენ კომბინატის წამყვან ოსტატებად და შემოქმედებით მუშაობასთან ერთად პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდნენ. მათ არაერთი საუკეთესო ხელოსანი აღზარდეს, რომლებმაც დამოუკიდებელი მუშაობის დროს გამოიჩინეს მხატვრული ალლო და ტექნიკური ჩვევების ღრმა ცოდნა. ბევრი მათგანი დღესაც ღირსეულად განაგრძობს თავისი მასწავლებლის საქმეს. ამ სასწავლო კომბინატში შესრულებული ნივთების ბაზაზე, ხალხური შემოქმედების სახლთან დაარსდა თანამედროვე ხალხური ხელოვნების მუდმივი გამოფენა, შემდეგ მუზეუმი.

ამრიგად, ქართული ხალხური შემოქმედების აღმავლობისა და განვითარების ხაზით გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული. უკვე 1941 წელს, ხალხური შემოქმედების მეორე დიდ გამოფენაზე, განთქმული ოსტატების (რომელთა შემოქმედება კიდევ უფრო ამაღლდა და გაიზარდა) გვერდით ვხედავთ მათი ხელმძღვანელობით აღზრდილ ნიჭიერ ახალგაზრდობას — **გ. ლეკაშვილს, ი. ბურჩუკურს, გ. ანდრიაშვილს, რ. ზუბინაშვილს** და სხვებს.

აქედან მოყოლებული თბილისელი ოქრომჭედლები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე და ყოველთვის დიდ მოწონებასა და ინტერესს იმსახურებდნენ.

სამწუხაროდ, ასეთმა ნაყოფიერმა დასაწყისმა სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. საწარმოო კომბინატმა, რომელიც ხალხური შემოქმედებისა და ახალი კადრების აღზრდის კერას წარმოადგენდა, სადაც სათანადო კონსულტაციებსა და მითითებებს ლეზულბდნენ ოსტატები მხატვრებისგან (კომბინატის მთავარი მხატვარ-კონსულტანტი იყო მხატვარი დავით ციციშვილი), მხოლოდ 12 წელს იარსება. 1950 წელს კომბინატი დაიშალა და მასთან ერთად შეწყდა ქართველ ოქრომჭედელთა შემოქმედებითი მუშაობაც. ნაწილი ხელოსნებისა მუშაობას იწყებს (1934 წ. თბილისში დაარსებულ) საიუველირო ფაბრიკაში, ნაწილი ერთიანდება არტელეებში, ხოლო ნაწილი კერძო სახელოსნოს ხსნის.

თომა ჯიქიას ამის შემდეგ მუშაობა თითქმის აღარ გაუგრძელებია, იგი 1951 წელს გარდაიცვალა, ამბროსიმ კი არტელ „მხატვარში“ დაიწყო მუშაობა, სადაც ყანნების ვერცხლით შემკობაზე მუშაობდა. იგი გარდაიცვალა 1957 წელს.

რუსუდან ყენია

**დასასრული
შედეგ ნომერში**



გ. ხანდამაშვილის ლურჯი მინანძრით შესრულებული ვერცხლის საპუდრა

კორნელი სანაძის შემოქმედებითი პათოსი

„დავიბადე 1907 წლის 2 ოქტომბერს დაბა ხონში (ნულუკიძეში). ჩემი მამა ბარნაბე მერაბის ძე სანაძე მაშინ იყო რკინიგზის მუშაკი, დედაჩემი ეკატერინე სარდიონის ასული აფხაზავა, წარმოშობით გურულია, უბრალო გლეხის ქალი, უმნიცკლო, გულთბილი, განათლება არავითარი არ ჰქონდა მიღებული. სწერდა ლექსებს. ჩვენი ოჯახი მუდმივად ცხოვრობდა ქ. თბილისში. ვიყავით 5 და-ძმა, დედა და მამა. ხშირად ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ მამიდაშვილები და ბიძაშვილები. ჩემს ოჯახში გაიზარდა ფრანგული ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ივანე დიმიტრის ძე ჭავჭავაძე,“ — ასე იწყებს თავის ავტობიოგრაფიას მხატვარი.

1913 წელს შეიყვანეს თბილისის რკინიგზის სასწავლებელში, სადაც ხატვას ასწავლიდა გრიგოლ მესხი და გალობას — ია კარგარეთელი. „ამ ხანებში ძალიან ღარიბები ვიყავით. ფეხზე დახეული ფეხსაცმელი მეცვა და ხშირად თითები დაყინული მქონდა“, — წლების შემდეგ მოიგონებს ბატონი კორნელი. — ...1913 წელია. ვცხოვრობთ ნაძალადევის დასაწყისში. მალაკნის ბაზრის თავთან. ხიდს გასცდებით თუ არა, იქვე დიდ სამსართულიან სახლში. 1914 წელს შემიყვანეს დიდუბეში დაწყებით სკოლაში. ყოველ დილით უნდა გამევილო მთელი მალაკნის ქუჩა. დღესაც კარგად მახსოვს, ამ ქუჩაზე დავდიოდი თითქმის 1945 წლამდე, ყოველდღე. მალაკნის ქუჩაზე იყო სარდაფი „კარდანახი“, სადაც ერთხელ დავინახე მხატვარი ხატავა, მას შემდეგ მე ხშირად ვიყავი ამ სარდაფში, ჩავიხედავდი და შევეყურებდი მხატვარს, რომელიც მუშაობდა. ხშირად მხატვარი არ იყო სარდაფში და ნაღვილიანი ვბრუნდებოდი. მერე გავიგე, რომ ის მხატვარი იყო ნიკალა ფიროსმანაშვილი და ეს ლექსი ვუძღვენი მას, რომელიც შემდეგში შევასწორე და 1968 წელს შევიტანე ჩემი ლექსების კრებულში:

**...მახსოვს სარდაფი მალალი,
შიგ შესვლა მქონდა ნატვრადა,
მუდამ უკრავდა არლანი,
კედლებს ნიკალა ხატავდა...“**

1920 წელს მუშტაიდის ბაღში არსებობდა სტუდია-სახელოსნოები: სამხატვრო, სამსახიობო-თეატრალური, ლიტერატურული და სხვ. 13 წლის ხუჭუჭთმიანმა ბიჭმა გადამწყვიტა ერთ-ერთ სტუდიაში შესვლა. „მივედი თუ არა, ვილაცა შუახნის კაცი დამეტაკა და შემიყვანა სამხატვრო სტუდიაში, დამსვა სკამზე და სტუდენტებს გამოუცხადა: „დახატეთ ეს შესანიშნავი თავიო“. ის პიროვნება მოსე თოიძე იყო. იმ დღიდან მხატვრობამ გაიტაცა. მეორე დღეს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი გადმოხატა და მოსე თოიძეს აჩვენა. შემდეგ იყო აკაკი ნერეთლის პორტრეტი, რომელმაც გადამწყვიტა მხატვრის ბედი. მოსეს მოენონა და სტუდიაში ჩარიცხა.

სტუდიაში ფერწერას მოსე თოიძე ასწავლიდა, ხატვას — ირაკლი თოიძე, ხანდახან — ალექსანდრე ციმაკურიძე. სტუდიაში ტარდებოდა კონკურსები კომპოზიციის მიხედვით. სანაძის პირველი კომპოზიციის „სასადილო სარდაფში“ ისე მოსწონებიათ, რომ მოსე თოიძემ ერთი თვის გადასახადისგან გაათავისუფლა. მეორე ესკიზი, რომელმაც მალალი შეფასება მიიღო, იყო „მრეცხავი ქალი“. ამ სტუდიაში სწავლობდნენ შ. ბერიტაშვილი, უ. ჯაფარიძე, ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი და სხვები. საერთოდ მოსე თოიძის სტუდიაში



დიდი როლი ითამაშა ქართული მხატვრობის აღორძინებაში. სტუდია იყო ახლადგახსნილი სამხატვრო აკადემიისთვის აბიტურიენტთა მიმწოდებელი. მოსე თოიძე ყოველწლიურად აწყობდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას, როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში. სტუდიაში დაგვიანება და გაკვეთილების გაცდენა სასტიკად აკრძალული იყო.

1924 წელს კორნელი სანაძემ თბილისის მეორე ეკონომიკური ტექნიკუმი დაამთავრა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე შევიდა. აქ სამხატვრო ხელოვნებას ეუფლებოდა შესანიშნავი რუსი მხატვრების ე. ლანსერესა და ი. შარლემანის, საქართველოს სახალხო მხატვრის გიგო გაბაშვილის, მხატვარ თათე ვოსიანის ხელმძღვანელობით.

1927 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სახვითი ხელოვნების მოფენაში მიიღო მონაწილეობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრების, მათ შორის ფიროსმანის 21 ნამუშევარი, ასევე, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, სიდამონ



ერისთავის, მოსე თოიძის, ქეთევან მაღალაშვილისა და სხვათა ნახატები.

1929 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, სანაძემ დაიწყო დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობა, ხოლო 1934 წლიდან იგი ფერწერას ასწავლიდა აკადემიაში. აღსანიშნავია, რომ 1930 წელს, როდესაც მკაფიოდ ჩამოყალიბდა კორნელი სანაძის სახვითი და პოეტური მისწრაფებები, იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა ოთხი წლის განმავლობაში და ეუფლებოდა ვოკალს. კორნელი სანაძე იყო 1830 წლის მთებერვალს დაარსებული საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა საზოგადოების „სარმას“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

1924 წლიდან სანაძე უკვე ყველა რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა, ენერგიულად მუშაობს მხატვართა ასოციაციებში, მხატვართა კავშირის გამგეობებში. მას გაფორმებული აქვს კინოფილმები: „დარიკო“, „ქალი მწვანეში“. ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრში: „კარმენი“, „დაისი“, „მთების ძახილი“, „დედა და შვილი“. რუსთაველის თეატრში: „ტირიფის ქვეშ“. მარჯანიშვილის თეატრში: „კოლმეურნეს ქორწინება“, „შამილი“. ქუთაისის თეატრში: „ოტელო“, „გუშინდელნი“, „კიკვიძე“, ბათუმის თეატრში: „ფოლადაური“, „პური“.

კორნელი სანაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებშიც, კერძოდ, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში. მნიშვნელოვანია კორნელი სანაძის, როგორც პედაგოგის, როლი, ახალგაზრდა ქართველ მხატვართა აღზრდასა და ჩამოყალიბების საქმეში. მისი მოსწავლეები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები: გ. თოიძე, გ. თოთიბაძე, გ. ჯაში და სხვები. კორნელი სანაძის ნამუშევრები გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში, შოთა რუსთაველის სახელო-



ტირენტი ბრანელი

ბის დრამატული თეატრის მუზეუმში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, აჭარის ავტონომიურ მუზეუმში, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო მუზეუმში. კორნელი სანაძის ნაშრომებიდან განსაკუთრებით ცნობილია „მებაღე“ და „სინგაპურის საზამთროები“, რომლებიც 2007 წელს ბირმინგემის აუქციონზე იქნა წარდგენილი და საიდუმლო მყიდველის მიერ უცნობ ფასად შეძენილი.

1927 წელს გამოვიდა კორნელი სანაძის ლექსების პირველი კრებული, რომლის გამოცემაშიც ძალიან დაეხმარა გალაკტიონი.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ სანდრო მირიანაშვილის განთქმული სიმღერის „საყვარელ ქუჩაზე“ ტექსტი კორნელი სანაძეს ეკუთვნის. გახსოვთ ეს ლექსი? ღირსია გავიხსენოთ:

**„გაირღვა ღრუბელი
და მთვარე-გოლიათს
სხივები მოსტაცა,
ქუჩებში დაჰყარა,
მივდივარ, მივყვები
და ასე მგონია
ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა,
პატარა“.**

კორნელი სანაძე პოეტია, მაგ-

რამ თავისი პოეტური შესაძლებლობის ფხიზელი შემფასებელიც. მან კარგად იცის — „მხატვრობა პოეზიაა, მხოლოდ ტილოზე გადატანილი. ზოგჯერ სიტყვა ძღვეს საღებავს“. უეჭველად ასეა. თუმცა „ჩემთვისო, — დასძენს ავტორი, — გაცილებით ძნელია სიტყვების პოვნა ლექსის შექმნისას, მაგრამ, სამაგიეროდ, ამავე თემაზე ნახატის შექმნა მიადვილდება. ამიტომ, ნუ დამძრახავს მკითხველი, თუ ჩემი ლაბორატორიის ნაწილს — ლექსებს, ერთგვარად სინედლე დაჰკრავსო“.

ვის არ გაახარებს კორნელი სანაძის თანამედროვეთა პორტრეტები — დიდი სიყვარულით წარმოსახული ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ციციშვილი, შურა თოიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ნუცუბიძე, სერგო ქობულაძე, მერი ნაკაშიძე, კოლაუ ნადირაძე, ნინო ლაფაჩი, მაია პლისეცკაია, ნატალია ბურმისტროვა... ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება, იმდენი სახე აღუბეჭდავს შთაგონებული მხატვრის პალიტრას. ვერავითარ წუნს ვერ დადებ იოანე პეტრიწის, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშა-



ველას, იოსებ გრიშაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის მშვენიერ პორტრეტებს. შეუძლებელია არ მიგიზიდოთ **ზაქარია ფალიაშვილის, ანდრია ბალანჩივაძის, თამარ ჭავჭავაძის, ლატავრა ფოჩიანის** სანაძისეულმა ფერწერულმა სახეებმა.

პორტრეტული ჟანრიდან ზოგიერთი ნარმოდგენილია მთელ სიუჟეტად, როგორც უნიჭიერესი ევგენი მიქელაძე, დაუვიწყარი ბათუ კრავეიშვილი, დიდი რეჟისორები **კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი**. შესანიშნავია ვახტანგ ჭაბუკიანის განუმეორებელი ოტელო ბალეტში. თითოეულ ამ ნამუშევარზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მოკლედ კი მხოლოდ ასე:

ივანე მიქელაძის პირველ პორტრეტში შემოქმედებითი გაქანებაა ფრთაშესხმული, მეორე — მწვერვალს გამოხატავს, მაგრამ დირიჟორის შინაგანი წვა ცეცხლის ენებად ქცეულა და მალე დაიფერფლება (ტრაგიკულის სამინელი შეგრძნება);

ალექსანდრა ახმეტელის — მამაკაცის ქართული სილამაზის განსახიერებას ვუცქერით, როგორც იგი გვინახავს საბედისწერო წლამდე, მომღიმარს, ფართო სახით, შემოქმედებითი სიხარულის ელვარებით;

ბათუ კრავეიშვილი მთელი ტანით დგას ტორეადორის ტრადიციულ ტანსაცმელში, კარმენტან ცნობილი დუეტის შესრულებისას;

კოტე მარჯანიშვილი ნითელ ფონზე ზის, ხელები მოკუმშულად მუხლებზე დაუდვია, სარკასტული ირონიით იხედება, თითქოს სამსჯავროს წინ იდგეს, კანონიერად თვითდაჯერებული თავის სიმართლესა და ბავშვურად მიმდობი ზოგიერთი მოწაფის ცდომილებაში. ეს უკანასკნელი პორტრეტი არამარტო კორნელი სანაძის, მთელი ქართული საბჭოთა ფერწერის ბრწყინვალე გამარჯვებაა. მისი მხატვრული ღირებულება ნამდვილად განუზომელია.

კორნელი სანაძის ბრწყინვალე

შემოქმედებითი მიღწევაა ზეთში შესრულებული **ილია ჭავჭავაძის** მოზრდილი პორტრეტი, რომელიც არაჩვეულებრივი სისწორით გამოხატავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის „საქართველოს მამას“.

პორტრეტული ჟანრის ნამუშევართა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ ჩვენი დროის გენიოსი პოეტის **გალაკტიონ ტაბიძის** სახე, რომელიც სანაძემ ფერწერული ტილოების სერიაში ნარმოგვიდგინა.

მსგავსად გალაკტიონის პორტრეტისა, ფერმწერმა ტილოების სერია მიუძღვნა ქართული თეატრის მშვენებას — გენიალურ **უმანგი ჩხეიძეს**. ანალოგიურ პრობლემებთან გვაჭიდებს დიდი ტილო — „უმანგის ჰამლეტი“. აღებულია „ყოფნა-არყოფნის“ განთქმული სცენა.

ორიგინალურია ფართო ტილო **„ივანე ჯავახიშვილი მცხეთაში, სვეტიცხოველის ფონზე“**. ჩვენი დიდად სახელოვანი ისტორიკოსი, რომელმაც დასაბამი მისცა თავისი უნიკალური მიგნებით ბაგინეთისა და არმაზის ნარმართული კულტურის არქეოლოგიურ გათხრებს, ნარმოდგენილია არამარტო პორტრეტულ ჟანრში, შინაგანი სულიერი ქვეყნითაც.

ცნობილი ქართველი პოეტი ტერენტი გრანელი სანაძის შემოქმედებაში ორი ნახატიტაა ნარმოდგენილი. ერთი პორტრეტია, სახეობრივი ადეკვატურობის შემცველი, მეორე სიუჟეტური ტილოა — პოეტის ტრაგიკული აღსასრულის გამომხატველი. ეს აღსასრული, სილატაკისა და სრული გამოფიტვის მაუწყებელი, მხოლოდ შიშველი სხეულით გვაგრძობინებს ახალგაზრდულს, ხოლო აყრილი იატაკი, ხის უბრალო ტახტი, უქვემსაგებოდ, მარტოდენ მენამული ფერის ქსოვილი, რითაც სიშიშველე იფარება — ამაზრდენია. **„გრანელის სიკვდილი“** უეჭველად ფერმწერლის დიდი ნარმატებაა.

და ამ ფონზე ვხედავთ ტრაგიკულის საპირისპირო, ცხოვრებისეული სიხარულის მომგვრელი

ჯანსაღი ოპტიმიზმით სავსე ნამუშევრების მთელ წყებას, რომელშიაც ლალი, ბედნიერი, ლამაზი, შთაგონებული სახეები აღტაცებას გვანიჭებენ. სიცოცხლით დამშვენებული შრომა და შრომით განდიდებული სიცოცხლე კორნელი სანაძის შემოქმედების ერთი უმთავრესი ძარღვია, როგორც იდეურ-თემატური, ისე, მხატვრულ-ფორმალური მიმართულებით. ამ აზრის გამოხატვას მრავალი ნამუშევარი ეძღვნება, მაგალითად, **„სასიძო“, „მობუცი ხევსური ნიგნით“, „გულიკომ ჩადრი მოიხსნა“, „აჭარელი რძალი“** და ულამაზესი ქალიშვილების შიშველი ფიგურებით განსახიერებული **„მზიანი საქართველო“**.

აკად. გიორგი ჯიბლაძემ ასე შეაფასა დიდი მხატვრის ნაღვანი: „როცა ხატავს შატლის არქიტექტურულ ანსამბლს თუ დაღესტნის აულს, ზარზმის მონასტერს თუ სვანურ კოშკებს უშგულში, ჭიათურელ მეშახტეს თუ ვაჟას ხევსურთა შორის, აჭარელ საპატარძლოს თუ ყაზბეგის მწყემსს, კორნელი სანაძე არსად სტილიზაციას არ მიმართავს, ყველგან მხატვრული ჭეშმარიტების ერთგული რჩება... კოლმეურნეების, მუშების, ინტელიგენციის ნარმომადგენელთა პორტრეტები შესრულებულია რეალისტური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ფერწერით, რაც საერთოდ გამოარჩევს კორნელი სანაძეს, როგორც მხატვარს. სინათლე, გამჭვირვალობა, ფერთა გამა ბუნებრივად ისეა აქცენტირებული, რომ მნახველს არამარტო იზიდავს, ხელოვნებით გამოწვეულ საზეიმო განწყობილებასაც აძლევს. გიხარია, რომ ხედავ ყოველივე ამას და იძირები მშვენიერი სამყაროს მრავალფეროვან სინამდვილეში. ეს უკვე ჯანსაღი, იდეურ სანყისებზე მთლიანი ესთეტიკური სიამოვნების დაუვიწყარი განცდაა, ფერმწერლის უეჭველად დიდი შემოქმედებითი გამარჯვება“.

ლევ სვანიძე



აღ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ლიტერატურული სერიის „რუსები საქართველოში“ პრეზენტაცია.

სერიის პირველი ოთხი წიგნი ეძღვნება გენიალურ პეტრე ჩაიკოვსკის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფუძემდებელს — ანდრეი კრასნოვს, ნობელის პრემიის ლაურეატ მწერალს — ბორის პასტერნაკსა და გრიბოედოვის თეატრის ვარსკვლავს — ნატალია ბურმისტროვას.

წიგნებში შესულია უნიკალური მასალები, რომლების ასახავს ამ გამოჩენილი მოღვაწეების საქართველოში ცხოვრების პერიოდს.

პროექტის ორგანიზატორია საერთაშორისო კულ-

ტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“. ლიტერატურული სერია „რუსები საქართველოში“ — რუსული ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის მოღვაწეების საქართველოში ყოფნის მდიდარი ისტორიის სისტემატური გაშუქების პირველი მცდელობაა. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში რუსული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. სამომავლოდ დაგეგმილია წიგნების გამოშვება ალექსანდრე პუშკინზე, მიხეილ ლერმონტოვზე, ალექსანდრე გრიბოედოვზე, ლევ ტოლსტოიზე, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინზე, ვსევოლოდ მეიერხოლდზე, გიორგი ტოვსტონოგოვსა და რუსული კულტურის ბევრ სხვა გამოჩენილ მოღვაწეზე.



ISSN 1987-5908



9 771987 590006